სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# განათლება

(წელიწადი მეხუთე)

8(05)
გ 20

IV აპრილი 1912 წ.



ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი.

დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო, 1912 წ. აპრილის 5.

**შინაარსი:** 1. ბავშვის ასაკის ფსიხოლოგია—ექიმ. **მიხეილ გედევანიშვილისა.** 2. ვილიამ ჯემსი, საუბარი ფსიხოლოგიაზე, **დ. ო—ძისა.** 3. ჰიგიენა. **ილ. ალხაზიშვილისა.** 4. მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა.** 5. ვახტანგ ორბელიანი და მისი პოეზია **ილ. ფერაძისა.** 6. როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ჭაობი. **ი. ევდოშვილისა.** 7. ოცნება და სინამდვილე (ფანტაზია თუ სურათად); **დ. თურდოსპირელისა.** 8. გახრწნილი მთის. **მიხ. ბოჭორიშვილისა.** 9. მარტოობა. **ვაჟა-ფშაველასი.** 10. „უკვდავია სუყველა“ (თარგმანი) **მესხი ვ. მიქელაძისა.** 11. სიზმარი—**კიკნა-ფშაველასი.** 12. ტყვე (ესკიზი) **ბარონაშვილისა.** 13. შინაური მიმოხილვა 14. რუსეთი. სახალხო სკოლის მასწავლებელთა სასესხო კასსა. 15. მოწოდება **ლადო ბზვანელისა.** 16. წერილი რედაქციის მიმართ, სამრევლო სკოლების საბჭოს საყურადღებოთ **დ. ლ—სა.** 17. ბიბლიოგრაფიები. 18. განცხადებანი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# „სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

**ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი  დ ა მ ა ტ ე ბ ა**

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისათვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ პრემიად მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. პირველი ტომი **„გრდემლი“**, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება **იანვარშივე.**

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ბათუმის გაზეთი“

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან., წინდაწინ 4 მანეთის შესრულებამდი.

**ადრესი:** Батумъ „Батумисъ Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. მ. ჭელიძე.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# განათლება

(წელიწადი მეხუთე)

IV აპრილი 1912 წ.

| | | |
|---|---|---|
| ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.<br>ნახევარი წლით . . 2 მან.<br>სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომრის ფასი<br>35 კაპ. | ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе. |

P 25299

ექიმი მიხეილ გედევანიშვილი.

## ბავშვის ასაკის ფსიხოლოგია

ბავშვის სულის ვითარების ცოდნა რომ საჭიროა ყველასთვის, ვისაც მოზარდ თაობის აღზრდის საქმე უკისრია, ამის მტკიცება დღეს მეტად მივაჩნია, რადგანაც მისი საჭიროება საზოგადოთ აღსარებულია. მაინც ყველამ ვიცით, რომ ჭეშმარიტების აღსარებასა და მისს განხორციელების შუა დიდი მანძილია. ეს არსად არ არის ისე შემჩნეული, როგორც იმ მეცნიერებაში, რომლის საგანია ფსიხიურ მოვლენათა შესწავლა. ეს იმის გამოა, რომ ფსიხიური მოვლენები მეტად რთულია და სჭარბობს ბუნების ყველა მოვლენათა, მაშასადამე მათდამი დაკვირვებაც ერთგვარს სიძნელეს წარმოადგენს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში მაშინდელი ცნობილი მეცნიერი ოგიუსტ კონტი, ფსიხოლოგიას, როგორც მეცნიერებას, უარჰყოფდა. რაც შეეხება ბავშვების ფსიხოლოგიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე XVIII საუკუნის დასასრულს დაწერილს ერთს თხზულებას ტიდემანისას, რომელიც მცირედ ცნობილია, პირველი ცდა ბავშვისა და მისი სულისადმი დაკვირვებისა და მეცნიერულად შესწავლის შესახებ უნდა ვეძიოთ წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან მიაქციეს ამ საკითხს საზოგადო სერიოზული ყურადღება და,

მგონია, არ არის არც ერთი კულტურული სახელმწიფო, სადაც „პედოლოგიის“, ამ მეოცე საუკუნის პირმშო შვილის შესწავლას არ ახმარებდენ ბევრს ძალასა და საშუალებას. პროფესორები, ექიმ-ფსიხიატრები, პედაგოგები სხვა და სხვა სახელმწიფოში ერთმანეთს ეცილებიან ამ საქმეში. ჟურნალები, რომელსაც დასახული აქვს მიზნად აღზრდის საკითხის გამორკვევა, სოკოსებრ მრავლდება. ყველგან აარსებენ პედაგოგიურს აკადემიებს, სპეციალ ლაბორატორიებს ბავშვის სულის ექსპერიმენტალურად გამოსაკვლევად. თითქმის კერძო სკოლებიც კი ჰმართავენ თავისთვის პატარა ლაბორატორიებს. მიუხედავად ამისა პედოლოგია ჯერ კიდევ ნორჩია, მას ჯერ არ შეუმუშავებია აღზრდისათვის მწყობრი სისტემა, რომლის სარგებლობა უშიშრად შეეძლოს ყველა პრაქტიკის ხალხს.

## ფსიხიური ფაქტორის დანიშნულება აღზრდაში.

ეს მით უფრო გასაოცარია, რომ დიდი ხანია ცხოველთა გაწრთვნის სისტემაში და მედიკურ-ფსიხოლოგიურს ინსტიტუტში ფსიხიურად ჩამორჩენილ ბავშვების და თითქმის რეგვენთა სწავლების მეთოდებიც არსებობს, რასაც ხშირად გასაოცარი შედეგები მოჰყვება ხოლმე. საქმით სჩანს, რომ ნორმალური ბავშვის აღზრდა გაცილებით უძნელესი ყოფილა რეგვენთა აღზრდაზე და ცხოველთა გაწრთვნაზე. ამის მიზეზი ერთს რამეშია, რასაც ყურადღებას არ აქცევენ რეგვენთა სწავლებისა და ცხოველთა გაწრთვნის დროს და რაც არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ნორმალურ ბავშვების აღზრდის დროს, სახელდობრ: ფსიხოლოგიური ფაქტორი. ეს არის ძირითადი განსხვავება გაწრთვნასა და აღზრდას შორის. როცა ლამაზი და ნაპატიევი ცირკის ცხენი მოხდენილად თავს უკრავს ხალხს ჰაერში მათრახის გატყლაშუნებაზე—ეს არის მექანიკური შედეგი იდეის ასოციაციისა, მათრახის ხმისა, რაც მას მოაგონებს ცემა-ტანჯვას და თავის დაკვრის საჭიროებას. არც ერთი სხვა შინაგანი აზრი ცხენს არ ებადება და არც შეუძლია იგი შეუერთოს თავისს საქციელს.

## ფიზიკური დასჯა და ფსიხიური დაჩაგვრა.

მაგრამ ბავშვების დასჯას განა მოუცია როდისმე კეთილი ნაყოფი? რასაკვირველია, არა. დიდი ხანია დასჯის სისტემა, რაგვარიც უნდა იყოს იგი, დაგმობილია და სალი პედაგოგიის მიერ სამუდამოდ უარყოფილი. აღზრდის დროს უნდა მივმართოთ ბავშვის ფსიხიურს ფაქტორს — შინაგან სტიმულს. მაგრამ დაშორებული ვართ ჩვენ ასეთს აღზრდას; თუმცა ბავშვებს ფიზიკურად არ ვსჯით, მაგრამ ფსიხიურად კი, როცა ვცდილობთ ამოვფხვრათ ბავშვში თავისუფალი განვითარების ნიშანი, განა უარესს ბოროტებას არ ჩავდივართ, ვიდრე ფიზიკურად დასჯაა? რამდენი დედა და აღმზრდელი გვინახავს ყოველს ფეხის გადადგმაზე, ისეთი დედები, რომლებიც ხელს უშლიან ბავშვის სულის განცდის თავისუფალს განვითარებას და თავის ავტორიტეტით სჩაგრავენ ბავშვის ფსიხიკას; რამდენი აღმზრდელია ისეთი, რომელიც აღტაცებულია თავისი მოწაფე-ბავშვის მორჩილებით, რომელსაც თითქმის აკვნიდანვე შეუგნია „თავისი მოვალეობა“. საილუსტრაციოთ მოვიყვან ცხოვრებიდან ამოღებულს მა-

გალეთს. თბილისის მახლობლად აგარაკზე ბავშვები თამაშობენ, მათ შორის ერთი 11 წლის ყმაწვილია, ფერ მიხდილი, გამხდარი, ამხანაგების თამაშობაში იგი მონაწილეობას არ იღებს. მახლობლად აუზია თევზებით. ბავშვები მიდიან აუზთან თევზების სანახავად, უნდათ ეს ყმაწვილიც წაიყვანონ, მაგრამ იგი უარზედ სდგას: „დედა აუზთან მისვლის ნებას არ მაძლევსო“. და თან ეუბნება: დედა-ნებას არ მაძლევს ჩემდა სასარგებლოდ, მან უკეთ იცის რა არის ჩემთვის მავნებელი და რა სასარგებლო“. იგივე ბავშვები მატარებლის მოახლოვების დროს თავქუდ მოგლეჯილი მირბიან ლიანდაგისკენ, უკან დედები და გამდლები მისდევენ, ძლივსლა იჭერენ; მხოლოდ ერთი „აღზრდილი“ ბავშვი წყნარად მიდის ლობესთან, იქით ფეხს არ გადადგამს და დედაც, დარწმუნებული ყმაწვილის კეთილგონიერებაში, სრულიად დამშვიდებულია. ეს მაგალითი ცხადათ გვიჩვენებს, რომ ფიზიკურად დაუსჯელადაც შეიძლება ბავშვის დაჩაგრვა, როცა მისს შეგნებაში საკუთარი „მე“-ს ადგილს დედის „მე“ იჭერს. ასეთი ბავშვები — მომავალი ნევრასტენიკები და ფსიხასტენიკები — განა დღესაც ბევრი დედისა და აღმზრდელისათვის იდეალს არ შეადგენენ?

### აწინდელი პედაგოგიის იდეალი.

აწინდელი პედაგოგიის იდეალი ასეთი არ არის, როგორც ზემოთა ვსთქვით, იგი, თხოულობს ფსიხიურ ფაქტორებისკენ მიმართვას, თვითონ ბავშვში გამოწვევას შინაგანი სტიმულისას, რაც ხელმძღვანელობს მისს საქციელს ხასიათის და თაოსნობის განვითარებას და მთელი პიროვნების შემუშავებას. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? ცხადია ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის სულის შეგნებით, მისი ფსიხოლოგიის შესწავლით. ეს არის საგანი აწინდელის პედოლოგიისა.

### წარსულის დიდებული პედაგოგები.

მიუხედავად ამისა, წინადაც, ვიდრე შეიგნებდნენ ბავშვის სულის განვითარების მეცნიერულად შესწავლის საჭიროებას, იყვნენ ისეთი ადამიანები, ბუნებით დაჯილდოვებულნი, რომელთაც შეეძლოთ ბავშვის სულის შეგნება, რომ მათი ინტერესებით დაინტერესებულიყვნენ. ესენი იყვნენ დიდებული პედაგოგები კომენსკი, რუსსო, პესტალოცცი, ფრებელი, ყველანი ერთხმად ურჩევდნენ პედაგოგებს შეეგნოთ ბავშვის სული, შეთვისებოდნენ ბავშვებს. ისინი იმავე დროს აღზრდის სისტემათა გენიოსი შემომქმედნი იყვნენ; ეს სისტემები შემდეგში უკუგდებულ იქმნენ, რადგან მათს მიმდევრებს აკლდათ უმთავრესი — ბავშვის სულის შეგნება, უამისოდ კი ყოველგვარი აღმზრდელობითი სისტემა უსულო საშუალებად გადიქცევა, თუმცა ის მოკლებული არ იქნება ძველი სკოლის დამახასიათებელს თვისებებს. აღზრდის საჭიროება მეტად საარსებო საკითხია, აუცილებელი საზოგადო მოთხოვნილებაა; რომ მოველოდეთ და ვეცადოთ ჰენიოსების მოვლინებას, რაზედაც ბუნება სიძუნწეს იჩენს, შორს ვერ წავალთ. აწინდელი პედაგოგიის საქმეა გააშუქოს ბავშვის სული, შეძლება მისცეს ყველას მისი გაცნობისა და გათვალისწინებისა, მოითხოვს პედაგოგისაგან არა გენიალობას, არამედ ინტელიგენტობას, საქმის ცოდნას და ბავშვებისადმი გულითადს სიყვარულს.

ერთის შეხედვით, თითქოს ბავშვის შესწავლა ძნელი არ უნდა იყოს, განა ბავშვი ჩვენივე სისხლი და ხორცი არ არის, იგი მუდამ თვალწინ გვყავს, მთელის თავისი ინტერესებით და სულიერის განცდით. ნამდვილად კი ეს ასე არ არის და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნორმალური ბავშვების აღზრდა უძნელესია, ვიდრე რეგვენთა სწავლება და ცხოველთა გაწრთვნა, რომელნიც თავისი ნერვოფსიხიური აგებულობით გაცილებით შორს სდგანან ბავშვებზე. ამასთან ბავშვის ფსიხიკა, როგორც დამტკიცებულია აწინდელის ფსიხოლოგიის მიერ, იმდენად თავისებრივია, იმდენად განირჩევა თვისებით ჩვენ მოზრდილთა ფსიხიკისაგან, რომ ჩვენა და ჩვენი ბავშვები წარმოვადგენთ ერთმანეთის გაუგებარს სხვა და სხვა ქვეყანას. აი რას ამბობს ამის შესახებ კლაპარედი თავისს „Psychologie de l'entent"-ში: ბავშვი არ არის პატარა კაცი, როგორც ჰგონიათ, მისი ფსიხიკა არა თუ რაოდენობით, თვისებითაც განირჩევა ჩვენის ფსიხიკისაგან: იგი არა თუ ნაკლებია, სხვა გვარიც არის. ამიტომ მეტად უნდა ვერიდებოდეთ მოზრდილის ფსიხიკის მიხედვით ბავშვის ფსიხოლოგიის შესახებ რაიმე დასკვნა გამოვიყვანოთ. არ შეგვიძლია აგრეთვე წარმოვიდგინოთ ბავშვის სული ჩვენის საკუთარის მოგონებით, ჩვენს ბავშვობაზე: გარდა იმისა, რომ ეს მოგონებანი ნაწყვეტ-ნაწყვეტია, ისინი სინამდვილეს მოკლებულია და დროს განმავლობაში შეცვლილიც არის" ჩვენ მიუახლოვდით აწინდელი პედოლოგიის ძირითადს საკითხს, აღსარებას, რომ ბავშვი არის არსება Sui generis და ამიტომ არავითარი აპრიორული დასკვნა, არავითარი მსგავსება დიდსა და პატარებს შორის არ შეიძლება იყვეს. მხოლოდ წინასწარ განუძრახველს ნამდვილ დაკვირვებას ბავშვის ცხოვრებისა და მისი თამაშობისადმი, ბავშვის ნერვოფსიხიურ აგებულობის შესწავლას შეუძლია, ცოტად თუ ბევრად, უზრუნველ ჰყოს ამა თუ იმ აღმზრდელობითი მეთოდის ხმარება და შეცდომისაგან ცოტაოდნად მაინც თავის დაღწევა.

**ჩჩვილ ბავშვთა ფსიხოლოგია.**

შეხედეთ ახლად დაბადებულს ყმაწვილს, თითის ტოლა სუსტ არსებას და სთქვით, განა შეიძლება ჩვენი მსგავსება მასთან? „იმის გრძნობა, რომ ჩვენც ოდესღაც ბავშვი ვიყავით, ჩვენში სრულიად არ არსებობს,—ამბობს ფიზიოლოგი გერცენი, იმ იდეამდის, რომ ჩვენ იმ ბავშვის გაგრძელებას შევადგენთ, რომელიც დედამ ჰშობა, მივაღწევთ მხოლოდ ბოლო დროს მსგავსებით, სხვების სიტყვებით და დასკვნით: დამოუკიდებელს გრძნობას არ შეუძლია ეს გვიკარნახოს" (საზოგ. ფიზ. სულისა).

თუ ბავშვი, ახალ დაბადებული არ არის, არამედ რამდენიმე თვისა, მას უეჭველად აქვს შთაბეჭდილება, მაგრამ მას არ შეუძლია ერთს ადგილს დაიმყაროს. აი ბავშვი ფეხებ აშვერილი ჰგორავს საწოლში; როგორ ადევნებს თვალყურს იგი თავისი ფეხების მოძრაობას, ხელებს იშვერს ფეხებისკენ, უნდა ხელი სტაცოს და პირისკენ გააქანოს. თვალები, თითები, ტუჩების შეხებითი შეგრძნებანი ხელს უმართვენ ბავშვს გააგებინოს, რომ ეს არა გარეშე საგანია, რომელიც მის თვალის წინ ჰკრთის, არამედ მისი საკუთარი სხეულის ნაწილია. „უეჭველია,— ამბობს ჰერცენი, რომ ბავშვს აქვს შეგრძნება, მაგრამ უეჭველია აგრეთვე, რომ არ შეუძლია მისი ერთს ადგილს დამყარება. ამისთვის საჭიროა რამდენიმე გრძნობათა

ერთურთი მოქმედება, რაც შესაძლებელია მხოლოდ პირობათა განსაზღვრულ შეჯგუფების დროს, რასაც იგი მოკლებულია. განცალკევებული შეგნებანი, გამოსული სხეულის ორ სხვა და სხვა წერტილიდან, რასაკვირველია, ახლად დაბადებულ ბავშვებშიაც კი შეინარჩუნებენ თავის განსაკუთრებულ თვისებებს. მაგრამ, რომ შეგვეძლოს მათი გარჩევა, მათი დასაბამის მითვისება გარეგან საგნებისათვის, საჭიროა ხანგრძლივი ცდა. ამიტომაც ბავშვი, ცოტად თუ ბევრად, მხოლოდ თან და თან იძენს თავის სხეულის ტოპოგრაფიის სრულს ცნობას, სხეულის კერძო ნაწილების და გარეგან საგნების გარჩევას". გარეგან საგნების თავისი სხეულის ნაწილებისაგან გასარჩევად ბავშვს აქვს ესრედ წოდებული—„ორგვარი შეხება". როცა ბავშვს ხელში უჭირავს რაიმე საგანი, მაშინ ის იღებს შეგრძნებას, რომელიც ხელიდან გამოდის; როცა ბავშვს ხელში თავისი ფეხი უჭირავს, მაშინ იგი ხელიდან და ფეხიდანაც იღებს ერთსა და იმავე დროს შეხებითს შეგრძნებას. აი მეორე ბავშვი, რომელსაც ხელში ეჟვანი უჭირავს და გამდელს უზის კალთაში. რაკი ბავშვის ყურადღებას მიიპყრობს რომელიმე გარეგანი საგანი, თითებს ჰშლის, ეჟვანი ვარდება ძირს; იგი მას მყისვე, ივიწყებს, თითქოს არასოდეს არ სჭეროდეს ხელში. სწორედ ისე, როგორც ეს ემართებათ მოზრდილებს, შეპყრობილებს ისტერიის დროს ესრედ წოდებულის ფსიხიური ანესტეზიით, რომლის დროსაც თავის ტვინი შეგრძნებას ვერ ღებულობს. მაგრამ თუ ბავშვმა შემთხვევით ყურადღება მიაპყრო დავარდნილ ეჟვანს და ხმას, რაც დავარდნას მოჰყვება, იგი უკვე ხელახლავ განძრახ გადისვრის იატაკზე ეჟვანს, რომ თვალი და ყური მიაპყრას იმის დავარდნას და ხმას. ამას რამდენჯერმე გაიმეორებს, რადგანაც ბავშვებისთვის საჭიროა მოახდინოს რამდენიმე ცდა საგანზე, ამ საგნისა და წარმოშობილ ხმათა შორის დამოკიდებულებათა გამოსარკვევად. მაგალითად ერთი წლისა და სამი თვის ბავშვი, როცა მის ყურადღებას უკუ აქცევენ, თავისუფლად უძლებს ისეთის ძალის ელექტრონულ ნაკადს, რასაც მოზრდილი ადვილად ვერ აიტანს. ამასთან ბავშვი ტიკტიკებს, იცინის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღების უკუქცევით, ყველა სხვა შთაბეჭდილებათათვის, რაც გარედან მიდის, ბავშვის ტვინში იხშვება კარები და მაშასადამე ბავშვი რჩება მხოლოდ ერთის სახის უფლებაში, რომელიც იპყრობს მთელს მისს გულისყურსა. თერთმეტი თვის ბავშვი, მაგალითად, ვერ ცნობილობს თავისს მამას, რომელიც მას განშორებია სულ ორი კვირის წინად. რომელი ფსიხოლოგიური მოვლენა გვეხატება თვალწინ ამ შემთხვევაში? აქ ჩანს პიროვნების დანაწევრება: ერთი შეხედვით ფიზიკურად მთლიანი არსება, ფსიხოლოგიურად დაცალკევებულია, ამიტომაც ბავშვს უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე სახარების ეშმაკეულს, უპასუხოს მკითხველს, რომ მისი სახელი „ლეგეონია". ჩვენ ვხედავთ აქ შემეცნების სრულს დამორჩილებას ერთის სახის, ერთის იდეის, ესრედ წოდებულის მონოიდეიზმის მიერ; იმ დროს, როკა ჩვენი სულის ნორმალური მდგომარეობა გამოიხატება შემეცნების მდგომარეობათა სიმრავლეში (პოლიიდეიზმში), „ასოციაციით, — ამბობს რიბო, —ჩვენი შემეცნება მიმართულია ყოველგვარ საგნებისაკენ. ყველა ამ არსებულ წარმოდგენილებათა შეჯგუფებაში, არც ერთს მათგანს დიდხანს არ

უჭირავს პირვანდელი ადგილი. იგი გაძევებულია სხვა წარმოდგენილებათა მიერ, რომელნიც, თავის მხრით, ადგილს უთმობენ ახალს, წარმოშობილს შეუგნებელის სფეროდან“ (Опытъ творческаго воображенія).

## ბავშვის ნერვო-ფსიხიური აგებულება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ფსიხოლოგიურს დებულებას, რომელიც გვამცნევს, რომ „ყოველ ფსიხიურ მოქმედებას ნერვების ელემენტებში თან ახლავს ნივთიერი ცვლილებაც და იმის გარეშე არა მოხდება რა“, უკვე აპრიორულად უნდა მოველოდეთ, რომ ბავშვის ფსიხოლოგიურად დანაწევრებას პასუხს გასცემს მისი ნერვების აგებულობის დაცალკევება, რაც ნამდვილად მტკიცდება. ახლად დაბადებული ბავშვი წარმოადგენს ხერხემლის ტვინიან არსებას, დაუსრულებელი ტვინით; მისი ტვინი გართხმულია და შეიცავს ბევრს წყალს; ამ ორგანოს ნერვის ფიბრების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს მიელინოვის გარსი; რუხვი ქერქის მავვარ ნივთიერების სამოძრაო სისტემა ძლივსღა ისახება; გრძნობათა ცენტრები დაუნაწილებელია და საასოციაციო სისტემებიც, დაბადების შემდეგ, დიდხანს რჩება გაცალკევებული. ამიტომ ბავშვს არ აქვს ერთიანობა „მე“-ს შესაგნებლად, არამედ აქვს სიმრავლე შემეცნებისა, რომლის მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ. მაგრამ რომ გახდე ფსიხიური არსება, როგორც ადამიანია, საჭიროა ჰქონდეს ეს საასოციაციო ცენტრები. ამნაირად ბავშვი განსაკუთრებით ხერხემალ-ტვინიანი არსებაა; ამიტომაც მისი მოძრაობა რეფლექტორულია, ჩქარი, უწესო; იმას ვერ განაგებს და ვერ შეაკავებს თავის ტვინის ცენტრები; ის ვერც შეჩერდება, რადგან ჯერ კიდევ არ სჩანს ის გზა, რომელზედაც შემდეგში გაივლის თავის ტვინიდან გამოსული ნების იმპულსები, ერთის სიტყვით ბავშვის ხერხემლის ტვინი ავტონომიურად, თავის ტვინზე დამოუკიდებლად, მუშაობს; მაგრამ თავის ტვინის ცალკე კუნჭულებიც, რაკი მოკლებულია შემაერთებელს ელემენტებს, ავტონომიურად ცხოვრობენ და მუშაობენ. მაღალი რიგის ცენტრებზე — თავის ტვინის შემკავებელ ელემენტებზე არც ვლაპარაკობთ, რადგანაც ისინი არც არსებობენ. თავის დროზე ყველაფერი გაჩნდება, მაგრამ ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი დრო ყმაწვილობისა, ხანა, რომლის დაგვიანებას ვერ ურიგდებიან არა გონებით გულმოდგინე აღმზრდელები და მშობლები. უდროვოდ განვითარებული ბავშვები იზრდებიან თავის და საზოგადოების დასაღუპავად. რამდენადაც უფრო ხანგრძლივია ბავშვობის დრო, იმდენად უფრო უკეთესი მოქალაქენი შეეძინებიან მათს აღმზრდელს სამშობლოს. ბუნება თვითონ ცდილობს მრავალსახოვან არსებიდან, როგორიც ბავშვია, შექმნას არსება ერთიან შემეცნებისა და აღმზრდელის მოვალეობაა ბუნების ამ მისწრაფებას თავის დროზე ხელი შეუწყოს და უდროოდ არ აჩქარდეს. რა უნდა ვსთქვათ ისეთს დედაზე, რომელიც ჯერ კიდევ უკბილო ბავშვს მაგარ საჭმელს აწვდის იმ აზრით, რომ მიაჩვიოს მისი კუჭი ასეთის საჭმლის მონელებას, ან ისეთს დედაზე, რომელიც ბავშვს სიარულს აწყებინებს, ვიდრე მას ძვლები გაუმაგრდებოდეს?

ამ უგუნურებას, საბედნიეროდ, არავინ ჩაიდენს. მაშინ როცა თითქმის ყო-

ველს ნაბიჯზე შეხვდებით გონებით ჩქარა-მოწიფებულს ბავშვებს და ამგვარი აღზრდის ვნებაც კაცობრიობისათვის უთვალავია.

**ავტომატიური მოძრაობანი და ფსიხიური პროცესების დაგვიანება ბავშვებში.**

თუ ნათლად წარმოვიდგენთ ბავშვის ტვინს, რომლის ნერვების ფიბრები გახვეული არ არის გამაცალკევებელ გარსში და რომელსაც აკლია შემაერთებელი ელემენტები, ცხადი იქნება, რომ ასეთს ტვინში რთულს, ესრედ წოდებულს ავტომატიურს მოძრაობას და იმ ფსიხიურს მოვლენას, რომელიც თხოულობს ერთსა და იმავე დროს ტვინის სხვა და სხვა ნაწილების მოქმედებას—გულის ზრახვასა და ფიქრს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სპენსერი ამბობს: „ჯერ შეუკავშირებელი და ნებსითნი თვისებანი თუ ხშირად გამეორდებიან,—შეკავშირდებიან და გახდებიან არა ნებსითნი. მთელი რიგი ფსიხიური ცვლილებისა, რომელსაც თან ახლავან მეხსიერება, მსჯელობა და გრძნობანი,—შეუგნებელი, არა გონიერი და არა ემოციონალური ხდება, რაკი ხშირი გამეორებით მკვიდრად შეერთდებიან და იმ დროსვე ჰკარგავს იგი ნებსითი ხასიათს. მეხსიერება, გონება, გრძნობა ჰქრებიან ერთი მეორის მიყოლებით, იმის დაკვალად, როგორც შეჩვეული აღდგენა ერთი და იმავე ფსიხიური ცვლილებისა ჰხდის მათ ავტომატიურად. ამ რიგათ, ბავშვს, რომელიც სიარულს სწავლობს, ჯერ დაებადება სურვილი თითოეულის მოძრაობისა, ვიდრე შეუდგებოდეს ამ მოძრაობას, მაშინ როდესაც მოზრდილი კაცი, სიარულის დროს, თავისს ფეხებზე კი არ ფიქრობს, არამედ—თავისი მოგზაურობის მიზანზე და მის მიერ გადადგმული მიყოლებული ნაბიჯი მცირედ თხოულობს სურვილისა და ნების მონაწილეობას, როგორც ჰაერის თანდათანობით ჩასუნთქვა ან ამოსუნთქვა. იგივე ითქმის ლაპარაკზე, წერაზე და სხვა შეჩვეულ მოქმედებებზე“ (საფუძ. ბიოლოგიისა). რომ მალე შეიმუშაოს ბავშვმა ეს ავტომატიური მოძრაობა, რომ შეგნების ფარგალი მალე გაანთავისუფლოს შესაგნებელ პროცესებისაგან, რაც წინ უსწრობს ამ მოძრაობათა მოხდენას და ხელს უშლის ტვინის რთულს ფუნქციებს, ბავშვისთვის საჭიროა—მუდმივი და ხანგრძლივი ვარჯიშობა ამ მოძრაობაში და რაკი იგი დაეჩვევა სიარულს და ლაპარაკს, დარბის და ტიტინებს დაუცხრომლად. ცხადია, როცა შეგნებას ასეთი ძალა ადგას, როცა ტვინის ცალკე ნაწილები სრულად დაკავშირებული არ არის, ბავშვის ფსიხიურ პროცესებს არ შეუძლია თავისუფლად და სწრაფად იჩინოს თავი. „ფსიხიური რეაქციის დრო ბავშვებში ნელ-ნელა მიდის,—ამბობს ჰერცენი:—თავდაპირველად გაოცებული ვიყავი ამ დაგვიანებით. რასაც იჩენენ ბავშვები თითქმის იმ შემთხვევაშიაც, როცა მათ უბრალო მოძრაობა უნდა მოეხდინათ ისეთს მარტივს გარეგან შთაბეჭდილების დროს, როგორც მაგალითად ხელის გაწევაა მიკარების დროს“.

**ოცნება, ფანტაზია და შემოქმედება. სახეები და მათი წარმოშობა.**

საჭიროა ხანგრძლივი, მრავალ წლობით მუშაობა გულის ზრახვისა, საგონებელისა, რომლითაც ასე უხვად დაუჯილდოებია ბუნებას ბავშვები, რომ აზრია

მსვლელობა თავისუფლად, შეუკავებლად სწარმოებდეს. „გულის ზრახვათა თვისება იმაში მდგომარეობს, რომ რეალობასთან ერთად, რასაც ბუნება ჰქმნის, შეჰქმნათ რეალობა, ნაყოფი ადამიანის სულისა“ (რიბო). ორი წლის ბავშვს უკვე აქვს ანატომიური პირობები გულის ზრახვათა სამუშაოდ, რომლის წყალობითაც გარეგანი შთაბეჭდილებანი და შინაგანი შეგრძნებანი გადიქცევიან სახეებად. სახეების შექმნაში, როგორც ფსიხოლოგია გვასწავლის, ორი მომენტი ღებულობს მონაწილეობას; პირველი მომენტი—განმტკიცება სახისა, როგორც რეალობისა ბავშვის შემეცნებაში ყველაფერს შეადგენს, მეორე მომენტი კი შესწორება—არაფერია. მოზრდილთა ცხოვრებაში გამოცდილებისა და ჩვეულებათა გამო სულ წინააღმდეგს ვხედავთ—ე. ი. განმტკიცება სახისა, როგორც რეალობისა ხდება ნამდვილ მოჩვენებად“ (რიბო). ეს პირველი ძირითადი განსხვავებაა ბავშვის გულის ზრახვისა ანუ ფანტაზიისა და მოზრდილთა გულის ზრახვასა და შემოქმედების შორის. უკანასკნელი ჯერ კიდევ იმიტომ არ აქვს ბავშვს, რომ მის გულის ზრახვა მარტივი ასოციაციაა იდეებისა და რადგან აკლია ფსიხოლოგიური ერთობა, ბავშვის შემეცნებაშიაც არ არსებობს ის ძირითადი ელემენტი შემოქმედებისა, ურომლისოდაც შემოქმედება შეუძლებელია, სახელდობრ არ არის ხელმძღვანელი პრინციპი, რომელიც თადარიგობს და თხოულობს ერთობას, ხოლო „იქ, სადაც ერთობის პრინციპი არ არის,—ამბობს რიბო,—შემოქმედებაც არ არსებობს“. მაშინ როდესაც ჩვენს შემეცნებაში ერთსა და იმავე დროს მრავალი იდეაა და არც ერთი მათგანი ხანგრძლივ არ უფლობს, ბავშვის გულის ზრახვაში პირველ ელემენტად ჩნდება მფლობელი იდეა, ანუ სახე, სახეთა ჯგუფი, რომელთაც დაუპყრია შემეცნება, გამოუდევნია ყველა დანარჩენი (რიბო). ეს მდგომარეობა მოგვაგონებს ჰიპნოზის გავლენის ქვეშ მყოფის მდგომარეობას, ამასთან ჰიპნოზი გამოწვეულია თვით ბავშვის მიერ—ეს არის თვით შთაგონება. წარმოდგენილ სახეების რწმენა ბავშვებში აბსოლუტურია; ისინი ცხოვრობენ ოცნებათა, ილუზიათა ქვეყანაში, რომელიც შექმნილია ცდის ნაკლებულობით და არეულ გულის ზრახვის მიერ, ჩვენთვის არა რეალურს ქვეყანაში, მაგრამ ბავშვებისთვის კი სრულიად რეალურში. ამიტომაც ბავშვის გულის ზრახვა, როგორც გულის ზრახვა ველურებისა, სრულიად თავისუფალია, მოკლებული შეკავებას, თავის წმინდა სახით შეუვიწროებული შესაძლებლობით და შეუძლებლობით, შეურყვნელი მიმბაძველობის, მსჯელობის, ბუნების კანონების და მათი წესიერების ცოდნის გავლენით“ (რიბო). აი რატომ არის ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც, რომ მოზრდილმა გაიგოს ბავშვის მდგომარეობა და მისი სულის განცდანი; აი რატომ მოგვდის ხშირად გაუსწორებელი შეცდომები და ისეთი ზარალი მოგვაქვს ბავშვის განვითარებისათვის, რაც მთელს მის სიცოცხლეში გასტანს, როცა ჩვენ სააღმზრდელო მეთოდებით ვვარჯიშობთ ბავშვის სულზე. ამიტომაც საუკეთესო პედაგოგიურ საშუალებად მიაჩნიათ ბუნების მიერ ნაჩვენები გზა: „ბუნება,—ამბობს კლაპარედი,—რასაც აკეთებს, კარგად აკეთებს; ყველაზე უმჯობესი ისევ ბიოლოგიაა, ვიდრე მთელი ქვეყნის ყველა პედაგოგები, და ის წესი, რომელსაც ბუ-

ნება სარგებლობს, რომ ბავშვისგან მოზრდილი ადამიანი გახდეს, უნდა იქმნეს ერთად ერთ გზის მაჩვენებლად". ორგანიულ მიზეზების გამო, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ბავშვის ტვინში მცირე სახეებია, ნიჭი აბსტრაქციისადმი სულ მცირეა, ინტელექტუალური განვითარება რეფლექტორულ, მიმბაძველობითის, ინსტიქტიურ და იმპულსიურ მოძრაობის განვითარებასთან შედარებით, მეტად უმნიშვნელოა", ამიტომ ბავშვების აზრი, მათი მარტივი და უსრული წარმოდგენილებანი მიისწრაფვიან მოძრაობაში გამოსახვას. რომ არა ვსთქვათ რა ბავშვების თამაშობაზე, რომლის დროსაც მოძრაობას უპირატესი ადგილი უჭირავს, თითქმის ბავშვის შემოქმედებაშიაც კი უპირატესი მნიშვნელობა უწესრიგო მოძრაობას აქვს, ბოდვა კი ან არ არის, ან სუსტად გამოიხატება. ავადმყოფ ბავშვების უგუნური გულის ზრახვა უმთავრესად უგუნურს მოძრაობაში გამოიხატება" (რიბო). ამ სახით ბავშვის გულის ზრახვა, მოზრდილთა გულის ზრახვასთან შედარებით, განსხვავდება სუსტი შემოქმედებით, სახეების საილუზიო ხასიათით, ფანტაზიის მიერ შექმნილ სახეების სინამდვილის ღრმა რწმენით, სახეების ჯგუფის შემეცნებაში ხანგრძლივ ბატონობით და მისწრაფვით მოძრაობის გამოხატვაში. მიუხედავად ამისა არ დავასახელებ უსრულობას, არამედ ბავშვის ფანტაზიის თავისებურობას, მის ილიუზიებს და ოცნებებს, რასაც ყველა მოაზრე მკვლევარი ბავშვის სულის განცდისა, სიფრთხილით მოპყრობას ურჩევს.

„უფრთხილდით,—ამბობს პიროგოვი,—არ შეუშალოთ ბავშვს თქვენის მოქმედებით ფანტასტიური სათამაშო. თქვენს ხელოვნურს მოწყობილობაში, რამდენადაც მოსახიბლავიც იყოს, თქვენ მაინც ვერ შეუცვლით იმ საკვირველ სახეებს, რასაც ბავშვის ფანტაზია ჰქმნის. სამწუხაროდ ბავშვის ფანტაზია ჩვენს განათლებულს წრეშიაც „იშვიათად ვითარდება თავისუფლად და სრულიად; რადგანაც, რაკი ფანტაზია გადაცდება საშუალო წრეს, მშობლები და აღმზრდელები ცდილობენ გამოიჭირონ, დაიმორჩილონ, და ალაგმონ ეს ფანტაზია (რიბო). ხელოვნური სასკოლო მოწყობილება, სათამაშოების არჩევა, სკოლის მოთხოვნილებანი, სწავლების ხასიათი, ყველა თითქოს იქითაა მიმართული, რომ მალე შეიპყრან ბავშვი, დაიმორჩილონ, გაწრთვნან თავისებურად, ფრთები შეაკვეცონ მისს ფანტაზიას, ალაგმონ მისი მოძრაობა. სწორედ ამ მუდმივს მოძრაობაში, მდიდრულ აღმაფრენაში და ფანტაზიის სხვა და სხვაგვარობაში, დამოუკიდებელ შემოქმედებაში,—ვითარდება ბავშვის ორგანიზმი სრულიად და ფართოდ, როგორც ორგანიულად, ისე ფსიხოლოგიურადაც, და თუმცა თანდათან, მაგრამ გაუბრუნებლად უახლოებს მას სრულს ზნეობრივს პიროვნებას. საუკეთესო საშუალებით, გარდა ფანტაზიისა, ბუნებამ ამისთვის ბავშვი დააჯილდოვა თამაშობისა და მიბაძვის ინსტიქტებით.

## ცხოველების თამაში.

მარტო ბავშვები არ თამაშობენ; თამაშობა ცხოველებშიაც გავრცელებულია. ცხოველების შვილები პატარაობიდანვე ერთობიან ყოველგვარ გასართობით და თამაშობით; ისინი დარბიან, ცელქობენ, დახტიან, ჰიდაობენ, გამოედევნებიან დასაჭერად ერთმანეთს. აღსანიშნავია

ისიც, რომ ამა თუ იმ მოდგმის ცხოველს მხოლოდ თავისი შესაფერი თამაშობა აქვს. თამაშობაში ცხოველები ივითარებენ იმ თვისებათა, რაც შემდეგში გამოსადეგია მათთვის არსებობისათვის ჭიდილში. კატის კნუტი კვალდაკვალ მისდევს ბურთს, როგორც დიდი კატა თაგვს; ამავე დროს კატის კნუტი სრულიად არ კნავის; ლეკვები კი, პირიქით, თამაშობაში ხმა მაღლა ჰყეფენ, ჭიდაობენ; აგრეთვე ჭიდაობენ დათვის ბელებიც, კრავი ირქინება; ახალგაზდა ირმები აკეთებენ ფართო ნახტომს, როცა ერთმანეთს გაურბიან; არჩვი კი, რომლის საცხოვრებელია სალი კლდეები, ერთსა და იმავე ადგილზე ახტის და დახტის. როცა უცქერი ახალგაზდა ცხოველების თამაშობას, ადვილად შენიშნავ, რომ მათ თამაშობის დროს არც ერთი კუთი ანუ ნერვი არ რჩება განუვითარებლად, ამასთან ვითარდებიან სწორედ ის მიდრეკილებანი, რაც საჭიროა ცხოველთა არსებობაში. ამ სახით თამაშობას, როგორც მემკვიდრეობითს ინსტიქტს, აქვს დებულებითი ღირებულობა; მაგრამ ეს მემკვიდრეობა დაბადებისას კი არ ჰქრება, ის მხოლოდ ჩნდება; ბევრი ინსტიქტი მხოლოდ დაბადების შემდეგ ვითარდება.

### საბავშო სათამაშოები და მათი პედაგოგიური მნიშვნელობა.

ამიტომ ბავშმა, როგორც დაუსრულებელმა არსებამ, უნდა განივითაროს თავისი ნიჭნი და ამას იგი თამაშობის საშუალებით მიაღწევს; თამაშობა კი უვითარებს ბავშვს ბუნებრივს მიდრეკილებას შედეგში სამოქმედოთ. თამაშობას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს; იგი ბუნებრივი და ინსტიქტიური საშუალებაა პრაქტიკულად დახელოვნებაში, თამაშობა უვითარებს ბავშვს ჭკუისა და კუთების მოქნილობას, რაზედაც დამოკიდებულია შედეგში წარმატება ინდივიდუალურსა და სოციალურს ცხოვრებაში. ბავშვების თამაშობა კი ყველა ამ მიზანსა და მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

### თამაშობა და მოძრაობა.

მოძრაობას ბავშვების თამაშობაში უპირატესი ადგილი უჭირავს; იგი აღძრავს და აქეზებს ნერვების, კუთების და ძვლების სისტემას, იწვევს ნივთთა შეცვლას სხეულში, ხელს უწყობს სხეულის გაძლიერებულს საზრდოობას და ზრდას. ამიტომაც ბავშვები დიდის ხალისით და გატაცებით მიეცემიან ხოლმე თამაშობას.

### თამაშობა და მხიარულობა.

სიამოვნება და მხიარულობა თან ახლავს ყველა საბავშო სათამაშოებს, იგი ახალი და ენერგიული წყაროა პიროვნების გასავითარებლად და გასამაგრებლად. ბავშვები იცინიან, ხარხარებენ, ტაშს უკრავენ, ჰკივიან; მათს სახეზე განსაკუთრებული „ბრწყინვალე“ გამომეტყველება სჩანს; კანი უწითლდებათ, ენთებათ სიამოვნებისაგან. ყველაფერი გვიჩვენებს ნებაყოფლობითი სამოძრაო მანქანის გაძლიერებულს მუშაობასა და იმავე დროს სისხლის მატარებელი წვრილი ძარღვების გაფართოებას. უხვად მოწოლა სისხლისა სხეულის ორგანოებთან ხორცთან ბუნებრივად გამოიწვევს საზრდოების პროცესის ძლიერსა და გაცხოველებულს მოქმედებას.

### თამაშობა და განკაფულება.

თუმცა ბავშვები დილიდან საღამომდე თამაშობენ, მაგრამ მაინც არ იქანცებიან; თუ იგრძნობენ დაღლილობას, ეს დაღლილობა საზღვარს არ გადაშორდება: ბავშვები არ იქანცებიან. ცხადია, რომ დაქანცულობა, ანუ განკაფულება მოჰყვება არა იმდენად მძიმე შრომას, რამდენადაც უსიამოვნო სამუშაოს.

მოქანცულობა, ანუ განკაფულება არის სხეულის მოშხამვა ნივთთა შეცვლის ნაწარმოებით. ხშირად მოძრაობისა და მხიარულობის დროს, სისხლის გაძლიერებულის ტრიალის გამო, სხეულისათვის მავნე ნივთიერება ,სხეულში კი არ რჩება, არამედ თავის დროზე შორდება მას. სხეული არ იშხამება, მაშასადამე არც მოიქანცება.

### თამაშობა და გიმნასტიკა.

გიმნასტიკური ვარჯიშობა სულ სხვაა, რაც გიმნასტიკის მომხრეებს მიაჩნიათ ნორჩი სხეულის გასამაგრებლად. სხვა რომ არ იყოს რა, უაზრობაა გიმნასტიკის შემოღება რადგანაც ბავშვის სხეულის გასამაგრებლად და გასავითარებლად, თამაშობა ბუნებრივი და მშვენიერი საშუალება, და გიმნასტიკა კი ტანჯვა და საზარალო ბავშვის აგებულობისათვის. მხიარულობის გაჰქრობა, მოძრაობის შედარებით შეზღუდვა, ძალდატანებითი მოძრაობა ბრძანების გაცემით, მოსაწყენია და არა სახალისო ბავშვებისათვის, რადგანაც თვითონ ბავშვები არ არიან მისი ავტორები, გიმნასტიკის დროს მალეც იქანცებიან. კუთების ცალკე ჯგუფი არა ნორმალურად ვითარდება, გაჭიმულია და რაკი მიკრულია ძვლების ბოლოებზე, ამ უკანასკნელს ზრდას უშლის. ძარღვებიანი ჩაფსკვნილი კაცი ყოველთვის პატარა ტანისაა. ამასთან, როგორც გვამცნევს ლაის დაკვირვება გერმანიაში, მაღალი ტანის ბავშვები, ყველა თანასწორ პირობებში, უფრო ნიჭიერები არიან პატარა ტანის ბავშვებზე. გულის გაგანიერებაც ხშირად შედეგია უზომო გიმნასტიკურ ვარჯიშობისა. ვერაფერს ამის მსგავსს ვერ შენიშნავთ ბავშვების თამაშობაში, თუმცა ისინი დიდის თავგამოდებით და დაუღალავად მიეცემიან ხოლმე ყოველგვარ თამაშობას; ამასთან ბავშვის სხეულის ყოველის მხრით განვითარებისათვის თათამაშობის სასარგებლო მხარე ყოველს ეჭვს გარეშეა.

გიმნასტიკა და ისიც ზომიერი შესაძლებელია მხოლოდ ჭაბუკთათვის, რომელთა სხეულის ზრდა უკვე დასრულებულია. სხეულის ზრდის დროს კი გიმნასტიკა სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როცა, ავადმყოფობის გამო, სხეულს ეტყობა სწრაფი ზრდა, ან ამა თუ იმ კუთების ჯგუფის განუვითარებლობა. მაგრამ ეს ექიმის და საექიმო გიმნასტიკის საქმეა და არა პედაგოგისა და სკოლისა.

### თამაშობა და ფანტაზია.

მოძრაობისა და მხიარულობის გარდა, რაც დამახასიათებელი თვისებაა ბავშვების თამაშობისა, უკანასკნელი ადგილი თამაშობაში არც ბავშვის ფანტაზიას უჭირავს. ბავშვის ფსიხოლოგიის შესახებ ნაშრომებში აუარებელი ფაქტია ნაჩვენები, რომ ბავშვის აზრი ყველაფერს სულიერად ჰხდის, უსულო საგნებშიაც გულისხმობს სურვილებს, გულისთქმას, ნებას, ისეთებს, როგორც ჩვენა გვაქვს, მომქმედს განსაზღვრულის მიზნით. ეს პროცესი განსახულებაა, ანუ ანიმიზმი;

ბავშვებთან ერთად ეს შეადგენს მოზრდილ ველურების თვისებასაც. მითებში და ზღაპრებში, ამ კაცობრიობის ბავშვური აზრის ნაყოფში, ეს პროცესი უკანასკნელ როლს არ ასრულებს და მიტომაც ზღაპრები ასე მოსწონთ ბავშვებს, თუმცა ბევრი პედაგოგი და მშობლებიც სდევნიან ზღაპრებს საბავშვო ოთახიდან, როგორც მავნებელს. ბავშვის მიერ გაკეთებულს სათამაშოებში და დახატულს სურათებშიაც მისი ფანტაზიის ნაყოფი გამოჰკრთის. ერთი სიტყვით ფანტასტიური ქვეყანა, რაც ბავშვის წარმოდგენილებას შეუქმნია, ავსებს მთელს მისს სიცოცხლეს, ხელმძღვანელობს ყველა მის მოქმედებას და საქციელს, იპყრობს მთელს მის ყურადღებას. უყურეთ ბავშვებს, რომლებიც ძაღლობანას თუ ცხენობანას თამაშობენ, ოცნებაში წარმოდგენილი ძაღლები ჰკბენენ ერთმანეთს, ცხენები ბალახსა სწიწკნიან. შენიშვნაზე—როგორ შეიძლება ბალახის წიწკნა, ან კბენაო. ბავშვები გულუბრყვილოდ გიპასუხებენ: „ჩვენ ძაღლობანას და ცხენობანას ვთამაშობთო". ამ შემთხვევაში ბავშვები იმდენად შეპყრობილნი არიან თავიანთი ფანტაზიით, რომ ლეკვზე და კნუტზედაც დაბლა დგანან, რომლებიც, ბავშვებთან თამაშობის დროს, არ იკბინებიან, თუმცა ისეთს მოძრაობას იჩენენ, თითქოს კბენა უნდათო. ეს „თვალთმაქცური-რწმენითი" მდგომარეობა, ძლიერი ფანტაზიის გამო, ბავშვისთვის მიუწდომელია. მაგრამ, ცხადია, ხანდახან ბავშვებსაც ეჭვი შეეპარებათ ხოლმე იმ სახეების რეალობაში, რაც მათ ფანტაზიას შეუქმნია,—ჩნდება რიგი სახეებისა, როგორც რეალობის მტკიცებისა, ან უარყოფისა. უამისოდ პროგრესიც შეუძლებელი იქნებოდა. ბავშვები, როცა ფანტასტიურ სახეების ქვეყანაში ცხოვრობენ, და არ განიცდიან იმას, რასაც ჩვენ მოზრდილები მსგავს შემთხვევებში ვგრძნობთ და განვიცდით. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როცა ლაპარაკია საბავშვო სათამაშოების ამა თუ იმ მავნებლობის შესახებ. როცა ბავშვები ყაჩაღობას, ან ომიანობას თამაშობენ, მორბიან და გიამბობენ თუ რამდენი მტერი დახოცეს, როგორ გაიმარჯვეს, მათ წარმოდგენილი არ აქვსთ კაცთა მკვლელობის სისაძაგლე. ამის თავდებია მათი სიამოვნებისაგან გაბრწყინვებული სახე, სათნოებით სავსე თვალები. ბავშვებს მართლა შეუძლიათ ავაზაკი ჩამოახრჩონ, მიცვალებულის გასვენების თამაშობაში—ამხანაგი ჩაჰფლან მიწაში, ან ომიანობის თამაშობაში მოჰკლან ამხანაგი, თუ გაუფრთხილებლობით საომარ იარაღს მისცემთ ხელში.

ყველა ეს მათ შეუძლიათ მოიმოქმედონ იმ იდეის გავლენით, რომელსაც ბავშვები შეუპყრია და ასეთი მაგალითები ყველას მიერ ცნობილია, მაგრამ ამით მაინც ბოლოს ბავშვები არც ჯალათები გამოვლენ და არც კაცის მკვლელები. ფანტაზია ისეთსავე როლს ასრულებს გონების პროცესების განმტკიცებაშიაც, რასაც ბავშვის მუდმივი მოძრაობა მის სხეულის განვითარებაში.

### თამაშობა და ნება.

რადგანაც ბავშვის ტვინში შემაჩერებელი ცენტრო არ არსებობს, ამის გამო მათი წარმოდგენილებანი დაუყოვნებლივ მოძრაობაზე გადადიან. მაგრამ განათლებულ ადამიანს უნდა შეეძლოს თავის მისწრაფებათა შეჩერება. „აზროვნება,—ბეკის სიტყვით,—ნიშნავს სიტყვისა და

მოქმედებისაგან თავის შეკავებასა. ყოველი საქმე, იმის შესრულებამდე, მოფიქრებული უნდა იქმნას; ყოველი საქციელის შედეგი სასტიკად აწონილ-დაწონილი უნდა იყოს. ერთი სიტყვით ბავშვმა ნება უნდა შეიმუშაოს. ამას ბავშვი ვერც ისე ადვილად სძლევს. „ყოველი ნება,—ამბობს რიბო,—ნელ-ნელა მყარდება, თანდათანობით, პროგრესიულად და დაბრკოლებებსაც შეეჩხება; ინდივიდი უნდა ბატონობდეს მუსკულებზე და მათის შემწეობით გაავრცელოს თავისი უფლება სხვა საგანზე. რეფლექსები ინსტიქტიური და ემოციის გამომხატველი მოძრაობანი, წინასწარ განძრახულ მოძრაობათა პირველ-წყარო არიან. ნებას, მისი დამახასიათებელი, მემკვიდრეობით მიღებული მოძრაობანი არა აქვს. იგი ბატონობს გამარჯვებისა და გაჩენის უფლებით". ამ უსაჭიროეს ფუნქციის განვითარებას ხელს უწყობს მთელი რიგი სათამაშოებისა. როცა ბავშვები ჯარისკაცობანას თამაშობენ, ან დარაჯად სდგანან, ხელი ქუდის კაზიროკის ქვეშ დაუჭერიათ, ან როცა ქანდაკებასა წარმოადგენენ, მოვალეობის ასრულების გამო ისე უძრავად სდგანან, რომ არც ერთი კუთი არ იძვრის. როცა სწრაფად გაიწვდიან ხელებს წინ, თხოულობენ თვალი არ დაახამხამონ, ან არ გაიცინონ, არ დაიმანჭონ. როცა ბავშვის ბუნებას წარმოიდგენ, გაკვირვებს აუარებელი კარგვა ენერგიისა, რასაც ისინი ხარჯვენ სასურველი შედეგის მისაღებად. ეს კი ბავშვებს სრულიად არ უძნელდებათ. ამასთან შედარებით რა მცირე ნაყოფი სჩანს, როცა მკვირცხლის და მოძრავ ბავშვისაგან კლასში უძრავად ჯდომას მოითხოვენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ წყნარად და უძრავად ჯდომის მოთხოვნით ბავშვის სულიდან მიერეკებიან ყველა სხვა საგნებს, აზრს, ინტერესებს და მისი გონება მიქცეულია საკუთარს მოძრაობაზედ. ყურადღება კი, რაკი მიისწრაფის მოქმედება გამოიწვიოს იმ აზრზე, რაზედაც მიქცეულია, ხელს უწყობს ბავშვის ურჩობას. „მგონია დამტკიცებულია,—ამბობს ჯემს ბალდვინი,—რომ უარყოფითი ხასიათის შთაგონებას, ე. ი. შთაგონებას; რომ არ ჩაიდინონ ესა თუ ის საქმე, არა აქვს უარყოფითი ძალა, პირიქით, პატარაობისას იგი შედეგად მხოლოდ უფრო ძლიერს შთაგონებას იძლევა დებულებითის მხრით. რადგანაც იგი აძლიერებს აკრძალულ ნივთის შეძენის სურვილს". შინაგანი ძალა, რაც ხელმძღვანელობას უწევს ბავშვებს თამაშობაში, იძლევა იმას, რასაც ვერ მიიღებენ დასჯის, დატუქსვის და მკაცრი წესიერების მომხრეები.

### თამაშობა და მიმბაძველობა.

ბავშვი იბადება, ცხოვრობს და ვითარდება საზოგადოებაში. ადრე თუ გვიან იგი სოციალური არსება ხდება. „საზოგადოება—მიმბაძველობა არისო"—ამბობს ტარდი, ეს აზრი სრულიად მართალია. მიმბაძველობა რომ არ ყოფილიყო, ადამიანს რომ არ ჰქონოდა გარშემო მყოფთან შეთანხმების ნიჭი, არ იქნებოდა არც არავითარი საზოგადოებრიობა. მიმბაძველობა ადამიანის თან დაყოლილი ინსტიქტია, როგორც მაიმუნებისა, ადამიანის მახლობელ მონათესავებისა, იგი თანდაყოლილი აქვს ყოველგვარ საზოგადოებრივს ცხოველსაც. ბავშვებში რომ ძლიერ ხშირია მიმბაძველობა, არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს. ბავშვს სოციალური გრძნობა უვითარდება მიმბაძველობით, ესრედ წოდებულს „საზოგადო

თამაშობაში". ამ საერთო თამაშობაში ბავშვები იღებენ მონაწილეობას, და მოზრდილებს ჰბაძვენ. აქ ფესვები გადგმული აქვს მაგალითის პედაგოგიურს ძლიერ მნიშვნელობას. ბავშვი თავის რიგზე ხან ჯარის კაცია, ხან მეზღვაური, ყაჩაღი, ვაჭარი, მეეტლე და სხ. იგი თამაშობის დროს ჰბაძავს ჯარის კაცს, მასწავლებელს, მღვდელს. „ბავშვის პიროვნება ვითარდება, განვითარება ყოველთვის მოქმედების საშუალებით სწარმოებს; ბავშვი ადგენს სცენებს მშობლების ცხოვრებიდან" (ბალდინი); ბავშვის რა ბრალია თუ იგი ცუდს მაგალითებს ხედავს თავის გარშემო და იგი ბრმად ჰბაძავს მათ. საბედნიეროდ ბავშვების მიმბაძველობა მხოლოდ გარეგანის მხრით განისაზღვრება, იგი არ განიმსჭვალება იმ საბუთით, რომელიც ხელმძღვანელობს მოზრდილთა საქციელს. როცა საზოგადოებაში სცხოვრობ, ცუდს მაგალითებს თავს ვერ დააღწევ. ამიტომ საჭიროა ცუდი გავლენის დასაძლევად წინ დაუყენო კარგი მაგალითები, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ბავშვები სხვა და სხვა გვარ სოციალურ გავლენას განიცდიან. ბავშვს გარს უნდა ეხვიოს მთელი გუნდი ამხანაგებისა, მისი ცხოვრება სხვა და სხვა ფერობით უნდა იქმნას აჭრელებული და მაშინ წამქეზებელ შთაგონებით და გავლენით მტკიცე, დამოუკიდებელი და ორიგინალური პიროვნება განვითარდება. საზოგადო სათამაშოები საუკეთესო საშუალებაა ბავშვში სოციალური გრძნობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. საჭიროა ფართოდ გამოიყენონ თამაშობა—ეს ბუნებრივი საშუალება სწავლებისა. სხვა ყველა საალმზრდელო ზომები ისე უნდა იხმარონ, რომ გონივრულად შეავსონ დანარჩენი, მიმართულება მისცენ ბავშვის მოქმედებას და გააფართოონ ფარგალი ამ მოქმედებისა. „თამაშობა უბრალო საქმე არ არის—ამბობს ფრებელი,—იგი იმავე დროს იმდენად მეტად სერიოზულია, რამდენადაც ღრმა არის მისი მნიშვნელობა. გაუფრთხილდი, ასაზრდოვე იგი, დედავ. დაიცავი მოუარე მას, მამავ. ბავშვის ასაკის დროის თამაშობა მთელი მომავალი ცხოვრების გულია, რადგანაც მთელი ადამიანი მაშინ ვითარდება და იგი თავს იჩენს ნიჭში, თავის უღრმეს არსებაში.

### ევოლიუცია „წინაუკმო".

ბავშვის ასაკის საგულისხმიერო ფსიხოლოგიურ მხარეს შეადგენს ასეთი გარემოება: როცა ბავშვები რაიმე ნივთს დაინახვენ, ერთიანად განსჭვრეტენ; მათთვის ყოველი საგანი მთელს, განუყოფელს წარმოადგენს; იგი არ შესდგება სხვა და სხვა ნაწილებისაგან; ბავშვი ნაწილებს გაიცნობს მხოლოდ შემდეგში. ამაზედ არის დამყარებული, სხვათა შორის, წერა-კითხვის სწავლების დაწყება პირდაპირ სიტყვებიდან და წინადადებიდან და არა ასოებიდან და მარცვლებიდან, როგორც წინად იყო; დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ ამ გზას გაცილებით უფრო უკეთესი ნაყოფი მოსდევს, ვიდრე ძველ მეთოდს. მოზრდილ ადამიანის თვალსაზრისით ეს ეწინააღმდეგება სალ პედაგოგიურ მოთხოვნილებას, რომლის მიხედვით სწავლება უნდა სწარმოებდეს მარტივიდან დაწყებული რთულზე გადასვლით; მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს კლაპარედი, „რაც მარტივია ჩვენთვის, არ შეიძლება მარტივი იქმნეს ბავშვებისათვის, ამიტომ უნდა ვერიდოთ ჩვენის საზომით მსჯელობას

ბავშვის მიმღეობაზე და არ ვაიძულოთ იგი გადავიდეს რთულიდან მარტივზე იმ წესით, რომელიც ჩვენ გვეჩვენება მარტივიდან რთულზე გადასვლად." ამას დაუმატოთ კიდევ ის შედეგი, რომელიც მოჰყვა ყველა ასაკის ბავშვების აუარებელი სურათების შესწავლას, სახელდობრ ის, რომ ბავშვები უპირატესობას აძლევენ და თავდაპირველად უფრო ხალისიანად ხატვენ ადამიანებს, შემდეგ ცხოველებს, ბოლოს მცენარეულობას და უსულო საგნებს; აქედან მივიღებთ საინტერესო დასკვნას: ბავშვები თავიანთ წარმოდგენილებაში ქვეყნის ბუნებრივს კანონს წაღმა-უკუღმა ატიალებენ, ასე რომ მივიღებთ „წინაუკმო" ევოლუციას. ამის გამო კაცობრიობის ბავშვური აზრის ნაწარმოებში—მითებში და ზღაპრებში უმთავრეს როლს ასრულებენ ადამიანები და ბავშვებიც გატაცებით ისმენენ ბებიის ზღაპრებს. მთლიანი რამე და ადამიანი, როგორც უფრო ცნობილი, ბავშვისათვის არის ნაკლები რთული და ნაკლებ განშორებული, ვიდრე მთელის ნაწილი, ან მკვდარი ბუნება, რაც მას ნაკლებ აინტერესებს. ეს უნდა ვიხელმძღვანელოთ და ვისარგებლოთ, როდესაც გვინდა ბავშვებს გავაცნოთ მის გარშემო არსებული ბუნება და ცხოვრება.

### ეგოიზმი და ზნეობრივი მოვალეობა. ინტერესი—საფუძველი ბავშვის საქციელისა.

ყურადღებით დაკვირვება ბავშვის ცხოვრებისა საბავშვო ოთახში გვიჩვენებს, რომ მათ ძლიერ უყვართ ერთმანეთში დავა და ჩხუბი და საზოგადოთ ეგოისტური გრძნობათა გამომჟღავნება. ეს იმის გამო დება, რომ ზნეობრივ მოვლენათა საფუძველში არსებობს აგრეთვე ორგანიული მიზეზებიც. რამდენადაც მეტს ანალიზს უკეთებთ, ამბობს გერცენი, ზნეობრივ მოვლენებს, როგორც ფრიად უსრულს, აგრეთვე ალმატებულს ხარისხში გამოხატულს, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ისინი არა თუ დაფუძნებულნი არიან გამოუჰერელ აბსტრაქციების მერყეობითს ნიადაგზე, პირიქით, დამყარებულნი არიან ყველა ცხოველ არსების ორს ძირითადს ფუნქციაზე—საზრდოობაზე, ანუ ცხოველთა თავის დაცვაზე (წყარო ეგოიზმისა) და მოდგმის წარმოშობაზე. ანუ შენარჩუნებაზე; (წყარო ალტრუიზმისა)". ცხადია, რომ ყოველი მიმართვა ბავშვის ზნეობრივის შემეცნებისა და მოვალეობისაკენ, სქესობრივი სიმწიფის დაწყებამდის შეუფერებელია და უნიადაგო, ასეთს სიტყვებს: „შენ უნდა შეიგნო, გესმოდეს, გიყვარდეს, სწავლობდე, შრომობდე", არ უნდა მიმართოს პედაგოგმა. ბავშვი კიდეც შეიყვარებს, ისწავლის და იშრომებს, თუ თქვენ აღუძრავთ მას შრომისა და სწავლის ხალისს. „დიდი შეცდომაა,—ამბობს კლაპარედი,—როცა ამბობენ,—ბავშვმა თავის მოვალეობის შეგნებით უნდა გააკეთოს რამე; ამ შემთხვევაში ავიწყდებათ, რომ ბავშვი მოზრდილი არ არის და წინააღმდეგ მოზრდილთა ღირებულობისა, მას თავისი საკუთარი ღირებულება აქვს. ღირებულებანი, რომელნიც შეეხებიან სოციალურს და შრომით ცხოვრებას, მოქმედების ზნეობრივსა და ესტეტიურს მხარეს, იდეალებს და მეცნიერების ჭეშმარიტებას, ზნეობრივს მოვალეობას—ეს ღირებულებანი ბავშვისთვის არ არსებობენ და არც უნდა არსებობდნენ. ერთად ერთი უბრალო მოქმედება იჭერს ამათ ადგილს:—ეს არის

თამაშობა, ბავშვისათვის თამაშობა შრომა არის, სიკეთე, მოვალეობა და ცხოვრების იდეალიც.

ეს ერთად ერთი ატმოსფეროა, სადაც ბავშვის ფსიხიკას შეუძლია თავისუფლად სუნთქვა და მოქმედება“.

### კრიტიკული ხანა და პიროვნების ტრანსფორმაცია.

მაგრამ ჰი ბავშვის ცხოვრებაში დადგა ერთსა და იმავე დროს ფიზიოლოგიური და ფსიხიური ხანა—ბავშვი სიჭაბუკეში გადადგა. „პიროვნების ფიზიოლოგიურად განახლების ერთს საუკეთესო თვალსაჩინო და საგულისხმიერო მაგალითს,—ამბობს ფსიხიატრი გრიზინგერი,—წარმოადგენს ფსიხიური ცვლილება სქესობრივის სიმწიფის ხანაში. აქამდის ორგანოები სრულიად დამშვიდებული იყო; ორგანოების მოქმედებაზე გადასვლასთან, ცვლილებასთან, რაც მოხდება ამ დროს მთელს სხეულში, აუარებელი ახალი შეგრძნებანი, მიდრეკილებანი, ცოტად თუ ბევრად ცხადი წარმოდგენილებანი და სქესობრივი ლტოლვილებანი, სულ ცოტა ხანში, შეგნებული ხდებიან, ისინი თან და თან გადაებმიან ძველ წარმოდგენილებათა ჯაჭვს და ხდებიან პიროვნების შემადგენელ ელემენტებად. უკანასკნელი ამის გამო სულ იცვლება და ჩვენს გუნებაშიაც ძირითადი ცვლილება იწყება. მაგრამ, რასაკვირველია, სანამ ასიმილაცია დაიწყებოდეს, ახალი ელემენტების შექსოვას ძველს „მე“-თან და უკანასკნელის დანაწილებას თან ახლავს შემეცნების მღელვარებითი შერყევა, ე. ი. სულის სხვა და სხვა მოძრაობანი. ამიტომაც ეს ხანა ცხოვრებისა მდიდარია აფექტებით, რაც ჰბუდობს თვით პიროვნებაში და მოკლებულია გარეგანს აფექტებს“. ამ ასაკში ბავშვების ყურადღება მიპყრობილია პირად ემოციონალურ განცდაზე; იდეებს და წარმოდგენილებათა, რომელთაც დამოკიდებულება აქვს მათ „მე“-სთან, განსაკუთრებული საქირო მნიშვნელობა აქვსთ. რაკი ბავშვებს თავის თავზე, თავის „მე“-ზე გადაჭარბებული წარმოდგენილებანი აქვსთ, ამიტომ ჭაბუკები განსაკუთრებულ გრძნობიარობას იჩენენ, როცა მათ თავმოყვარეობას შელახვენ. ისინი იწყებენ თავიანთ მოვალეობის შეგნებას, თავის პასუხისმგებლობას, შეიგნებენ იმ როლს, რაც უნდა აასრულონ საზოგადოებაში,—მათი ინდივიდუალური „მე“ ცდილობს შეუერთდეს სოციალურ „მე“-ს.

### სქესობრივი, ესტეტიური და რელიგიოზური გრძნობანი

ძლიერ სქესობრივს ინსტიქთან ჩნდებიან ესტეტიური და რელიგიოზური გრძნობანიც, რომელთაც, როგორცა სჩანს, ერთი და იგივე ფსიხოლოგიური ძირი აქვსთ. სქესობრივ მომწიფების დროს, მაგალითად, ხმაშიაც ცვლილება ეტყობათ, ან ამოსდის თმა იქ, სადაც წინად არ ჰქონდათ, კერძოთ ყმაწვილებს —ულვაშები და წვერი ამოსდით, რომლის ბიოლოგიური მნიშვნელობა მათს ესტეტიურს სარგებლობაში გამოიხატება, როგორც ცხოველთა ფაფარში, ან მამალ ფრინველების ლამაზ ბუმბულებში, დედლის დაპატრონებაში, მოდგმის დაცვაში და განგრძობაში. ჩვენს ცეკვასაც, როგორც მთელს რიგს მოძრაობისას, რასაც ფრინველები სჩადიან პეპვლის დროს, საფუძვლად აქვსთ სქესობრივი მიდრეკილება. როცა ფარშევანგი თავის მშვენი-

ერს ბოლოს ჰშლის, იმ დროს უჩვენებს დედალს რამდენსამე მოხდენილს სათამაშო მიხრა-მოხრას,--მისი მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია. რელიგიოზური გრძნობაც შეხურდება ხოლმე ცეკვითა და სიმღერით, გაუნათლებელ ბრბოში მას სქესობრივი მიდრეკილების ნიშანი აქვს. ჭაბუკთა შორის რელიგიოზური ეკზელტაციის ხშირი მოვლენა, რელიგიოზური შეშლილობა, რასაც ჩვეულებრივ მოჰყვება სქესობრივი გრძნობის დამახინჯება — ნათლად გვიჩვენებს სქესობრივის, ესტეტიურის და რელიგიოზურ გრძნობათა ფსიხოლოგიურს კავშირს. ძლიერი სქესობრივი ინსტიქტი თავდაპირველად შეკავებას თხოულობს. სქესობრივი გრძნობის დაუყონებლივ დაკმაყოფილებას მოჰყვება ნერვების სისტემის განკაფულება, განლევა და ყველა საშიში შედეგები, რასაც კავშირი აქვს განკაფულებასთან. პირიქით სქესობრივ მიდრეკილებასთან ბრძოლა ამაგრებს ზნეობრივს ნებას. ამასთან ბრძოლაში საუკეთესო საშუალებად აღსარებულია ყურადღების მიპყრობა ესტეტიურის, ზნეობრივის და ინტელექტუალური ინტერესებისკენ. თვითონ ბუნებასაც უზრუნვია ამის შესახებ—მან. სქესობრივს ინსტიკთან ერთად შეჰქმნა უმაღლესი რიგის გრძნობებიც. მაგრამ თავის შეკავება სქესობრივს მიდრეკილებაში საჭიროა მხოლოდ პირველ ხანებში, გამუდმებულს და ხანგრძლივს ბრძოლას ამ გრძნობასთან ნერვების მოშლა, სულით ავადმყოფობა, ფარისევლობა და თავის დამახინჯება მოჰყვება.

### **შემოქმედებითი გულის ზრახვა.**

ბავშვის ასაკის კრიტიკულ ხანას თან ახლავს გულის ზრახვათა გაძლიერებული მუშაობა, რომელიც ამ დროს მიიღებს შემოქმედებითს ხასიათს. „კარგად ცნობილიაო,—ამბობს რიბო,—რომ სქესობრივს მომწიფებას გავლენა აქვს ორსავე სქესის გულის ზრახვაზე, რაც გამოიხატება ოცნებაში, მიუწდომელ იდეალისკენ მისწრაფებაში; ცნობილია აგრეთვე გენიალური გამოგონება სიყვარულის გავლენით მცირე ნიჭის პატრონ ადამიანთა შორისაც. სიჭაბუკეს თან ახლავს ფანტაზიის აყვავილება, რომელიც, ბავშვობის ასაკიდან გამოსული, ჯერ კიდევ კეთილგონიერებას და მსჯელობის გავლენას მოკლებულია". სიჭაბუკის გულის ზრახვათა შედეგია იდეალის შემუშავება, მისწრაფება მისდა გასახორციელებლად და მასთან შეერთებული მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნება. მაგრამ ეს იდეალი, ვიდრე ჭაბუკი ცხოვრების პირობებთან ბრძოლას შეუდგებოდეს, მხოლოდ პირველი წუთია შემოქმედებითის აქტისა. როგორც ამბობს რიბო,—„ეს მხოლოდ შინაგანი მხედველობაა ინდივიდუალურის სულისა, რასაც ჯერ კიდევ გარედ არ გამოუხედნია, არ შეუსხამს არც ფორმა და არც ხორცი". ცხოვრების პირობები მძიმეა; იდეალური კონცეპცია კი გაუმაგრებელი შემოქმედებითი აქტია; აი რატომ არის, რომ იდეალისკენ მისწრაფებაში, ცხოვრების პირობებთან ბრძოლის დროს, ჭაბუკები ასე ხშირად მარცხდებიან. ეს დიდი უბედურებაა ახალგაზდობისათვის, რადგანაც, თუ ბრძოლას ვერ გაუძლებს, ზოგს მათგანს ნერვები ეშლებათ და სულიერად ავადმყოფდებიან, ან თავსაც იკლავენ; ზოგი კი, უმეტე-

სობა ურიგდება ცხოვრების სიბინძურეს: იდეალების დამსხვრევას ჭაბუკი ფატალურად მიჰყავს გარყვნილებისა და პორნოგრაფიისაკენ. მოლუნებული საზოგადოებრივი ფორმა ამას არ სჯერდება: იგი დამნაშავეთა სკამზე წამოასკუპებს ყველას სხვანაირად მოაზრეს, მომქმედს და შეუბრალებლად შეიწირავს მათ მსხვერპლად თვისდა საკეთილოდ, უდიერად სჯის მათ და მიერეკება საპყრობილეში; იგი თავის კალთას აფარებს ახალთაობას, ზრდის მოზარდ თაობაში მონურს ინსტიქტებს მორჩილებისას. აღზრდა, სისხლის სამართალი, ეტიკა და სარწმუნოება დარაჯად უდგანან მისს ინტერესებს.

## კრიტიკული აზრი. ზნეობრივი რწმენა. პიროვნების ერთიანობა.

მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი რჩება ახალგაზდობისა, რომელიც უშიშრად და ბედნიერად გაივლის სიჭაბუკის ხანის ქარ-ცეცხლს და რომელიც კრიტიკული აზროვნების ძალით შეიმუშავებს მაგარს ზნეობრივს სიმტკიცეს, შეურყეველს ზნეობრივს რწმენას, პიროვნების ერთიანობას—კაცობრიობის განვითარების და თავისუფალ აღზრდის დასაწყისს და დასასრულს, ამ ერთად ერთს საწინდარს კაცობრიობის საუკეთესო მერმისისას. „ადამიანი იმდენად უფრო აღწევს პიროვნების ერთიანობას, რამდენადაც მისი ხასიათი უფრო მთლიანია, რამდენადაც ნაკლებად მძაფრია და ღრმა ის ცვლილებანი, რაც მას უნახავს ცხოვრებაში, რამდენადაც მცირე განსხვავებაა მისს ნამდვილსა და მოჩვენებულს „მე“-ს შორის და დასასრულ რამდენადაც უფრო მეტი ჰარმონია არსებობს მისს ზნეობრივს რწმენასა და საქციელს შორის. აღზრდის ერთს უმთავრესს მიზანს ამ ერთიანობის განმტკიცება უნდა შეადგენდეს? (ჰერცენი). *)

---

*) ეს სტატია, რუსულად დაწერილი, დასტამბული იყო ამ წლის „Закавказ. Рѣчь-ის № 8, 9, 10. ავტორს თავდაპირველად იგი წაუკითხავს საჯაროდ „ახალს კლუბში“ და კამათიც გამოუწვევია. ბ-ნს მიხეილ გედევანიშვილს ფსიხოლოგიურს საკითხებში უტყუარი, საღი და თანამედროვე მეცნიერული მომზადება ეტყობა. შეიძლება ავტორს მხოლოდ ის ვუსაყვედუროთ, რომ ამ სტატიაში მან აღძრა მრავალი საკითხი, რომელზედაც იძლევა საბუთიანს, მაგრამ მოკლემოკლე პასუხს, რაც ზოგიერთებს ვერ დააკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა ბ-ნი გედევანიშვილის აზრი საბუთიანად მიგვაჩნია, ამიტომაც ვთარგმნეთ ქართულად და ვაწვდით ჩვენს მკითხველებს. შემდეგში იმედია ბ-ნი გედევანიშვილი ფსიხოლოგიურ საკითხების წერას განაგრძობს ქართულად, რითაც ხელს შეუწყობს, როგორც ქართულს მეცნიერებას, აგრეთვე გადაგვარებულ ქართველთა გადმოგვარებასაც.

რედ.

# ვილიამ ჯემსი

## საუბარი ფსიხოლოგიაზე

### XI. მეხსიერება

Თითოეული ნიჭიერება მთლიანათ, ან ნაწილათ მაინც, ასოციაციათა თამაშის ნაყოფია; ამიტომ ასოციაციების შემდეგ ჩვენ შეგვეძლო გვესაუბრა მეხსიერებაზე ისეთივე უფლებით, როგორც ინტერესსა და ყურადღებაზე.— მოვლენანი მეხსიერების ფარგალში ეკუთვნიან იმ პირდაპირს და მარტივ შედეგებს, რომელნიც გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი გონება არსებითად ასოციაციურ მექანიზმს წარმოადგენს. მეხსიერებაზე უკეთესი მაგალითის მოყვანა ძნელია იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ ნაყოფიერია, როგორც პრინციპი ფსიხოლოგიური ანალიზისა, ასოციაციათა კანონი. ამას გარდა, მეხსიერება ფრიად დიდ როლს თამაშობს სულის ცხოვრებაში.

ძველათ რომ ვისთვისმე გვკითხათ, რატომ ამა თუ იმ წუთს განსაზღვრულ მოვლენას იგონებ შენის წარსულიდანაო, გიპასუხებდათ, ეს ჩემი სულის თვისებაა, რომელსაც მეხსიერება ჰქვიან, რომ ამ ნიჭის განუშორებელ ფუნქციას შეადგენს მოგონება, გახსენებაო. ასეთი ახსნა სრულებით საჭირო აღარაა ასოციაციური თეორიის შემდეგ. ჩვენში არის ძალა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მოვიგონოთ წარსული, მაგრამ თუ ამ ძალაში, ამ ნიჭში ჩვენ ვხედავთ პრინციპს, რომლის მიხედვით ვითომ შეგვიძლია განვმარტოთ მოგონების ზოგადი ნიჭი, მაშინ ჩვენი ფსიხოლოგიაც შემცდარია. ფსიხოლოგია, რომელსაც საფუძვლათ ასოციაციური თეორია უძევს, მოგონების თითოეულ შემთხვევას ცალ-ცალკე განიხილავს და ამით ხსნის მეხსიერების ნიჭს საზოგადოთ. წარმოდგენილებათა ასოციაცია არის ის გასაღები, რომელიც შეგვახედებს მეხსიერების შინაგან შეცულობაში.

ცოტა სიჩუმის შემდეგ რომ მოგმართოთ ბრძანებით: „მოიგონეთ! გაიხსენეთ!"—ასეთ ბრძანებას რასაკვირველია, თქვენი მეხსიერება არ დაემორჩილება: იგი დაგეკითხებათ, რის გაგონებას მოითხოვ ჩემგანო. მაგრამ სულ სხვაა: თუ მე გთხოვეთ მოგონება, მაგ., თქვენი წარსულიდან დღეობისა, რომელიც გაატარეთ მეგობართან, ან მსგავსი რამ,—ამ შემთხვევაში მეხსიერება მოგვცემს სასურველ პასუხს. აქ საჭირო ხდება ერთგვარი რეპლიკა, რომლის საშუალებით ეს ნიჭი გზას იკვლევს და საჭირო წერტილზე ებჯინება. თუ დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ეს რეპლიკა შეკავშირებულია იმასთან, რაც თქვენ გაიხსენეთ მიჯნაობითი ასოციაციის საშუალებით. ასოციაციათა კანონები არსებითად განაგებენ ჩვენი აზროვნების მსვლელობას, თუ ეს მსვლელობა არ წყდება რომელიმე გარეგანი შთაბეჭდილებით. რაც რამ თავს იჩენს გონებაში, უნდა მასშივე შეტანილ იქმნას და ეს კი შეიძლება ასოციაციით. ეს ზოგადი კანონია, რომელიც ერთნაირად ეხება როგორც მოგონებებს, ისე იმას, რაზედაც ჩვენა ვფიქრობთ.

მეხსიერებას აქვს ისეთი თვისებანი, რომელთა ახსნა-განმარტება შეუძლებელი იქნება, თუ მათ შევხედავთ როგორც სულიერ

ძალთა ნაყოფს. მეხსიერება რომ ისეთი ნიჭი იყოს, რომელიც მარტო პრაქტიკულ სარგებლიანობისთვისაა გამოსადეგი, მაშინ ჩვენ შეგვეძლებოდა ყველაზე ადვილათ გახსენება იმისა, რაც აუცილებლათ საჭიროა, მაშინ ხშირათ გამეორებას, დროისა და სივრცის მანძილს აღარ ექნებოდათ მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით გაუგებარ ანომალიათ უნდა ჩაგვეთვალა ის ფაქტი, რომ ჩვენ უკეთ გვახსოვს, რაც ხშირათ მომხდარა, ან ახლო წარსულში ჰქონია ადგილი, და, პირიქით, გვავიწყდება შორეული რამ, ან ერთ გზის განცდილი, თუ ჩვენი მოგონებანი დამოკიდებულია ასოციაციაზე, ხოლო უკანასკნელი კი — როგორც ამტკიცებენ ფიზიოლოგიური ფსიხოლოგიის მომხრენი — ორგანიზაციულათ მოწყობილ ტვინის ძაფებზე, მაშინ ჩვენ ადვილათ გავიგებთ, თუ რატომ აქვს დროის სიახლოვეს და გამეორებას ასე დიდი მნიშვნელობა. ის გზა, რომელზედაც ხშირად უვლია ჩვენს აზროვნებას, უფრო ხელმისაწვდომია და მოსალოდნელიცაა, რომ ამ გზებით უფრო ჩქარა მივაღწევთ სასურველ მიზანს. ამ რიგათ, ჩვენი მეხსიერების კანონები შედეგია ჩვენის აგებულებისა, როგორც ასოციაციური მექანიზმებისა; უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სხეულისგან გათავისუფლებისათანავე ამ კანონებსაც დაეკარგებათ მნიშვნელობა.

უნდა მივიღოთ დებულება, რომ მოგონება, გახსენება ნაყოფია ჩვენის ასოციაციურის პროცესებისა თვით ეს პროცესები კი ბოლოს და ბოლოს, ალბათ, დამოკიდებულია ტვინის მოქმედებაზე.

უფრო დაწვრილებით განხილვა მეხსიერებისა აღმოაჩენს მასში ორ მხარეს: ერთი მხრით, ის წარმოადგენს ყოველგვარ მოგონებათა საწყობს, მეორე მხრით იგი თავს იჩენს, როგორც მოგონება რომელიმე განსაზღვრული ფაქტისა. მეხსიერებაში ბევრი მასალაა თავმოყრილი, ამ მასალას ჩვენ ამა თუ იმ წუთს ვერ აღვადგენთ, ვერ გავიხსენებთ, თუ ამისათვის საკმაო გამაღიზიანებელი ძალა არ მოქმედებს. როგორც მეხსიერებაში დაცვა, აგრეთვე თითოეული კერძო შემთხვევა მოგონებისა აიხსნება ასოციაციით. მეხსიერების გასაწრთვნელად საჭიროა ასოციაციათა ორგანიზაციული სისტემის შექმნა. მეხსიერების ძალა დამოკიდებულია ასოციაციების სიმკვიდრესა და რიცხვზე. — განვიხილოთ.

სიმკვიდრე ასოციაციისა. — ამაზე დამოკიდებულია ის თვისება, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ მეხსიერების თანშობილი ძალა. თუ ჩვენ შევხედავთ ტვინს, როგორც ისეთ ორგანოს, რომლის შეოხებითაც ჩვენ მიერ განაცადის კვალნი ერთმანეთს ეკავშირებიან (მე ვგონებ, სწორეთ ასე ვუყურებდეთ ტვინსა), მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის ტვინი, „მიმღები, როგორც სანთელი და შემნახავი, როგორც მარმარილო". ასეთი ტვინი თვით სუსტ შთაბეჭდილებასაც დიდხანს ინახავს. სახელები, რიცხვები, ფასები, ანეგდოტები, ციტატები — ყველა ეს წაუშლელათ ინახება იმიტომ, რომ სხვა და სხვა ელემენტები მჭიდროთ შეკავშირებულია ერთმანეთთან. ასეთი მეხსიერების პატრონი მალე მოსიარულე დავთრათ ჰხდება; ამასთანავე შესაძლოა, ამ პირს სრულებითაც არა ჰქონდეს მისწრაფება შეთვისებულის მასალის ლოგიკურათ დასისტემებისა. ანეგდოტების კრებულებში და ხშირად ფსიხოლოგიურ თხზულებებშიაც შეხვდებით ასეთი დაუკავშირებელი მეხსიერების მაგალითებს; ასეთი ადამიანები ხშირად სულელები არიან. რასაკვირველია, მეტია იმის თქმა, ვითომ ასეთი მეხსიერება არ შეესაბამებოდეს ფილოსოფიურ გონებას, ვინაიდან სულიერი თვისებანი სულ სხვა და სხვა რიგათ ეკავშირებიან ერთმანეთს. როდესაც ადამიანი ძლიერი მეხსიერების პატრონიცაა და გონებაც მისი იჩენს ფილოსოფიურ მიდრეკილებას, მაშინ ჩვენ ვმზერთ

უმაღლეს შემოქმედებითი სულიერ ძალთა განხორციელებას. ვალტერ-სკოტი, ლეიბნიცი, გლადსტონი, გიოტე და სხვა დიდი წარმომადგენელნი კაცობრიობისა ეკუთვნიან სწორეთ ამ ტიპს. დიდი შემოქმედებითი ძალისათვის საჭიროა დიდი მეხსიერებაც. ფილოსოფიური ჭკუის, მაგრამ ასეთ მეხსიერებას მოკლებულმა ადამიანმა იცის, თუ რა გზითაა შესაძლო ამა თუ იმ შედეგის მიღწევა, იცის, სად და რომელ წიგნში მოძებნოს საჭირო მასალა, მაგრამ ეს ძებნის დრო ხომ დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს მოაზრისათვის; ეკონომიური თვალსაზრისით უპირატესობა უფრო ცოცხალი გონების პატრონისკენაა.

მოწინააღმდეგე ტიპის უკიდურეს წარმომადგენელთ ეკუთვნიან ის ადამიანები, რომელნიც თითქმის სრულებით მოკლებული არიან ასეთ მეხსიერებას. და ესენი მოკლებული არიან ლოგიკურ ნიჭსაც, მაშინ ამათი სახელია სუსტი გონების პატრონი. იმათი ტვინის ნივთიერება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც თხელი ცომი, რომელზედაც ადვილათ აღიბეჭდება რამე, მაგრამ ადვილათვე გაქრება, გადილესება, და ტვინი ისევ პირველ-ყოფილ გაურკვეველ მდგომარეობას უბრუნდება.

აქ, როგორც სხვა მოცივო ნივთიერებაში, შესაძლოა, რომ აღბეჭდილისაგან გამოწვეული მერყეობა გაკრძელდეს და ტალღა ტვინის სხვა ნაწილებშიაც გადაგორდეს. თუმცა ამ შემთხვევაშიაც პირდაპირი შთაბეჭდილება მალე ქრება, მაგრამ მისი მეოხებით ტვინი მაინც განიცდის ცვალებადობას,—კვალი, რომელსაც ეს შთაბეჭდილება გაავლებს, შეიძლება დაცულ იქმნას და მისი გაღიზიანებით შესაძლოა თვით შთაბეჭდილების განახლებაც. ამ განახლების სიადვილე დამოკიდებულია თვით იმ კვალის, იმ გზების სხვა და სხვაობაზე. ნამდვილათ კი თითოეული ასეთი გზა წარმოადგენს ასოციაციის პროცესს და ამ ასოციაციების რიცხვის სიმრავლეს შეუძლია გასწიოს თვით შთაბეჭდილების სიმკვიდრის მაგიერობა. ასოციაციის თითოეული ელემენტი ანკესია, რომელზედაც ჰკიდია შთაბეჭდილება და რომლის საშუალებითაც შესაძლოა იგი შთაბეჭდილება ძირიდან ზევით ამოვატივტივოთ. ასოციაციის ყველა ელემენტი, ერთად აღებული, წარმოადგენს ჩაქსოვს რასმე, რომლის საშუალებითაც ესა თუ ის შთაბეჭდილება ჩაქსოვილია ჩვენი აზრების საერთო ბადეში. ამ რიგათ „კარგი მეხსიერების საიდუმლო“ მდგომარეობს სასურველი საგნის სხვა და სხვა მრავალი ასოციაციებით შემოზღუდვაში. მაგრამ ეს „შემოზღუდვა“ ნიშნავს სწორეთ ხშირათ „ფიქრს“ ამ საგანზე. ორს ერთგვარ გამოცდილების მქონე ადამიანში უკეთესი მეხსიერების პატრონი იქნება ის, რომელიც უფრო ბევრსა ფიქრობს განვლილზე და კერძო შემთხვევებს უფრო სისტემატიურად აკავშირებს.

რაკი ჩვენი მოგონების ნიჭი ასე მძლავრათაა დამოკიდებული ერთი საგნის მეორისადმი ასოციაციაზე, აქედან გამოგვყავს დიდს შესანიშნავი პედაგოგიური კანონი: ზოგადის თუ ელემენტარული მეხსიერების ნიჭის განვითარება შეუძლებელია; ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ მეხსიერება მხოლოდ განსაზღვრულ სისტემებზე დამოკიდებით, იმ სისტემებზე, რომლებშიაც შედის ასოციაციურათ ქმნილი მასალა. ამ უკანასკნელი რიგის განვითარებაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ეს მასალა რა რიგათ ეკავშირება ერთი მეორეს გონებაში. თუ იგი რთულათ და ღრმათ ჩაქსოვილია ერთი მეორეში, გონებაშიაც დიდ ხანსა რჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში—გაქრება. ვერავითარი გამეორება და საზოგადოთ ის საშუალება, რასაც ჩვენ მივმართავთ, მაგ. ისტორიის სწავლების დროს, ვერ გვიშველის, ვერ გაგვიადვილებს, მაგ., ქიმიის შესწავლას, რომელიც დამოუკიდებლათ უნდა და-

მუშავდეს გონებაში. ქიმიის რომელიმე დებულება მხოლოდ მაშინ რჩება მეხსიერებაში, როდესაც იგი ამავე საგნის სხვა დებულებებთანაა შეკავშირებული აზროვნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ქრება და სტოვებს ცარიელ ადგილს.

ამ რიგათ, ცხადი ხდება, რომ ჩვენა გვაქვს არა თუ ერთი ნიჭი მეხსიერებისა, არამედ მრავალი. ეს ნიჭი რიცხვით იმდენივეა, რამდენიც საგნები, ჩვენს აზროვნებაში ერთმანეთთან დაკავშირებული. რომელიმე საგანი მეხსიერებაში იჭერს ადგილს ამავე სისტემის საგნებთან ასოციაციის წყალობით. შესწავლა ფაქტებისა, რომელნიც ეკუთვნიან სხვა სისტემას, სრულებითაც ვერას უშველის მას ამ შემთხვევაში. მაგალითი მრავალია.

უმრავლესობა შესანიშნავ მეხსიერებას იჩენს იმ საგნებისადმი, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ცხოვრების მიზნებთან. მოწაფე ფალავანი, რომელიც სრულს გონებრივს სიბლუნგეს იჩენს სასწავლო საგნებში, გაგაოცებთ იმ ფაქტების ცოდნით, რომელნიც საფალავნო საქმეს ეკუთვნიან, იგი მალე სპორტის სტატისტიკოსად გამოდგება! ეს იმით აიხსნება, რომ იგი მუდამ ამ საგანზე ფიქრობს, კრებს საყვარელ ფაქტებს და ყოველივე ეს მოყავს სისტემაში. ამ რიგათვე ახსოვს ვაჭარს საქონლის ფასი; პოლიტიკურ მოღვაწეს ყველა სიტყვები თავის კოლეგებისა და სხვ. თქვენ გაოცებული რჩებით ამ ადამიანების მძლავრი მეხსიერებით. მაგრამ ეს ძლიერება, ეს სიმდიდრე მეხსიერებისა ადვილი ასახსნელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითოეული სპეციალისტი ასე ბევრს ფიქრობს და ჩაჰკირკიტებს თავის საგანს.

ადვილად შესაძლოა, ის საოცარი მეხსიერება, რომელსაც იჩენენ დარვინი და სპენსერი თავიანთ თხზულებებში, ამავე მეცნიერთა ტვინის ფიზიოლოგიური შემთვისებლობითი ძალის შუათანა საფეხურს შეესაბამებოდეს. თუ კი ადამიანი ყმაწვილობითვე დაისახავს მიზნათ ფაქტიურათ დასაბუთებას თუნდა ევოლიუციონურ თეორიისას, საჭირო მასალაც მალე დაწყობდება იმის გონებაში. ფაქტები შეკავშირდება ერთმანეთს იმდენათ, რამდენადაც დამოკიდება აქვთ თეორიასთან; და რამდენათაც მეტ რიცხვს ამ ფაქტებისას განიხილავს მეცნიერი, მით მისი ერუდიციაც ფართო იქნება. ამავე დროს შესაძლოა, თეორეტიკოსები ძლიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მეხსიერების პატრონნი იყვნენ, ან სრულიადაც მოკლებულნი ამ უკანასკნელს. თავის მიზნებისთვის გამოუსადეგარ ფაქტებს თეორეტიკოსი ან სრულიად ყურადღებას არ აქცევს, ან მალე ივიწყებს. ენციკლოპედიური ერუდიცია და თითქმის ენციკლოპედიურივე უმეცრება შესაძლოა ერთად მოთავსდეს. ვისაც საქმე ჰქონია მეცნიერებთან, მაგალითებისთვის შორს არ წავა.

ყველაზედ უკეთესი სისტემაა — სისტემა რაციონალური, ანუ „მეცნიერება“. მოათავსეთ საგანი თავის ადგილზე იმ ჯგუფში, რომელსაც იგი ეკუთვნის, მოსძებნეთ მისი მიზეზების ლოგიკური განმარტება, გამოიყვანეთ აქედან დასკვნა, გაიგეთ, ბუნების რომელ კანონს ემორჩილება იგი და მაშინ ამ საგანს შეითვისებთ საუკეთესოთ. მეცნიერება — ეს ის გზაა, რომელზედაც უფრო იზოგება შრომა. იგი ათავისუფლებს მეხსიერებას ბევრი წვრილმანისაგან, სცვლის რა მიჯნაობითი ასოციაციებს მსგავსებისა და იგივეობის ლოგიკური ასოციაციებით. რაკი ერთხელვე იცით კანონი, შეგიძლიათ გაათავისუფლოთ მეხსიერება მრავალ კერძო მაგალითებისაგან, ვინაიდგან კანონის დახმარებით თქვენ საჭირო დროს ყოველთვის აღადგენთ ამ მაგალითებს. მაგალითად, თუ იცით კანონი სხივთა ტეხილობისა, ხელათ გაიგებთ, თუ როგორ ფორმას მიიღებს საგანი, როცა მას

განსწვრეტი ამობერილ თუ ჩაღრუკილ მინაში, ან კიდევ პრიზმაში. თუ ეს კანონი არ იცით, საჭირო გახდება თქვენი მეხსიერების დამძიმება თითოეულ ამ შემთხვევების ცალცალკე შესწავლით და შედეგების დამახსოვრებით.

„ფილოსოფიური“ სისტემა, სადაც ყველა საგანი ჰპოვებს თავის რაციონალურ განმარტებას და ერთმანეთს დაუკავშირდება როგორც მიზეზი და შედეგი, იდეალური სისტემა იქნებოდა მნემონიკისა *). ამ გზით უდიდეს ნაყოფს მივიღებდით ნაკლები ხარჯით. მაშასადამე, სუსტი მეხსიერების პატრონი უნდა ცდილობდეს ფილოსოფიური მსჯელობის განვითარებით აისაზღაუროს დანაკლისი.

არის ბევრი ხელოვნური მნემონიური სისტემა, ზოგი ამათგანი ყველასათვის ხელმისაწვდომაა ზოგი კი ცხრა კლიტულშია ჩამწყვდეული და მას ფას გაუდებლათ ვერავინ იხილავს. აქ მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებულ წესს, რომლის მიხედვით ადამიანი ეჩვევა მეთოდიურათ მსჯელობას იმაზე, რის დამახსოვრებაც სურს. აქ ჩვენი საუბარი შემოვფარგლოთ უბრალო მაგალითით, ავიღოთ ქ. წ. ციფიროვანი ანბანი. ამ სისტემაში თითოეულ ციფირის ქვეშ იგულისხმება თანხმოვანი ასო: 1—ბ, 2—გ, 3—დ, 4—ვ, 5—ჰ, 6—ჩ და სხვ. დასამახსოვრებელ რიცხვს აღნიშნავენ იმ ასოებით, რომლებიდანაც უფრო ადვილად შეიძლება სიტყვის გამოყვანა; სიტყვებს კი ისეთებს არჩევენ, რომლებიც რითიმე მოგვაგონებდეს იმ საგანს, რომელსაც ეს რიცხვი ეკუთვნის.

ლაპარაკიც მეტია იმაზე, თუ რა სიძნელეს და უხამსობას წარმოადგენს ამ გვარი წესი. კაცილებით უმჯობესია ის წესი, რომლითაც სარგებლობენ ისტორიკოსები: მათ ახსოვთ რამდენიმე ქრონოლოგიური რაობა და ეს არის მათი მაჩვენებელი მთელი ისტორიის სავრცეზე.—ისტორიკოსმა იცის, რა გვირგვლია, გარემოებათა ისტორიული მსვლელობა და, აი, აქედან ის ანგარიშობს. მსჯელობს, უფარდებს ერთი მეორეს სხვა და სხვა გარემოებებს და ამ რიგათ სისწორით გამოყავს ამოცანა — საჭირო წელიწადი. ზემოთ აღნიშნული ხელოვნური სისტემა დამახსოვრებისა შეიძლება მოიმველიოს კაცმა პირველ ხანებში, ან უფრო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე ფაქტები სრულიად დაუკავშირებელი რჩება უკვე არსებულ მასალასთან.

ახლა თქვენ ხედავთ, თუ ზეპირობა ზუთხვა რატომ წარმოადგენს. ყოვლად უვარგისს წესს სწავლებისას. განსაკუთრებით იზეპირებენ გამოცდის წინად, რომ განსაკუთრებული მეცადინეობით ჩაიბეჭდონ რამე მეხსიერებაში. ასე შესწავლილი საგანი ძალიან ცოტა ასოციაციას შექმნის. პირიქით. თუ საგანს ხშირად დაუბრუნდებით, შეხვდებით მას სხვა და სხვა თხზულებებში ან ბაასის დროს, ვაკავშირებთ სხვა საგნებთან და ვამოწმებთ სხვა მხრით,—მაშინ ეს საგანი ღრმათ ჩაექსოვება ჩვენს სულიერს შეცულობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ თანაბარი მეცადინეობის უნარის გამომუშავებას ყმაწვილებში. ზეპირობაში ზნეობრივად ცუდი არაფერია; იგი საუკეთესო საშუალებაც იქნებოდა, რომ ამ გზით სასურველ შედეგს ვღებულობდეთ. ნათქვამიდან გამოდის, რომ სრულებით შემცდარია ის აზრი, თითქო „მეხსიერება“, როგორც ზოგადი ელემენტარუ-

---

*) კანტის ფილოსოფია განიხილავს სამ რიგს დამახსოვრებისას: **მექანიკური**—აქ პირველ როლს თამაშობს გამეორება, საგნების შინაგან ნათესაობას ყურადღება არ ექცევა. **ხელოვნური**—როდესაც ცნებები ერთმანეთს ეკავშირებიან ხელოვნურათ, გარეშე საშუალების შეხებით, და **ლოგიკური**—აქ ცნებანი უკავშირდებიან ერთმანეთს გონებითი მსჯელობის გზით.

დ. უზნაძე. (თ

ლი ნიჭი, შეიძლება გასწორდეს ვარჯიშობითაო.

განსაზღვრული რიგის ფაქტებისათვის მეხსიერების გაწრთვნა დიადაც შესაძლებელია და ეს იმიტომ, რომ ყოველი ახალი ფაქტისათვის მზად გვექნება შესაფერი ანალოგია, და ასოციაცია, მაგრამ შესაძლოა, მეორე რიგის ფაქტებმა ჩვენს მეხსიერებაში ასეთი ნიადაგი ვერა ჰპოვონ, თუ ჯერ კარგათ არ გაგვეცანით იმ წრეს, რომელსაც ეს ფაქტები ეკუთვნიან. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დამახსოვრება დამოკიდებული იქნება მეხსიერების თანშობილ ნიჭზე. ხშირათ კი გაიგონებთ საყვედურს მასწავლებლების მიმართ: სიყმაწვილეში მეხსიერებას არ მივარჯიშებდენო. აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ლექსების დაზეპირება ისევ ლექსების დაზეპირებაში თუ მოგვეხმარებათ, თორემ სხვა არაფერში; ეგევე ითქმის ქრონოლოგიასა, ქიმიასა და სხვებზედაც.

რაკი ზეპირობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება ერთი პრაქტიკული შენიშვნაც გამოვთქვათ ამის შესახებ. ძველი მეთოდის უკიდურესობამ, რაცა გამოიხატება სიტყვასიტყვით დაზეპირებაში, და თვალსაჩინო სწავლების დიდმა უპირატესობამ გამოიწვია ძლიერი რეაქცია იმათი მხრით, ვინც სერიოზულათ მსჯელობს სწავლების მეთოდებზე, და დაზეპირებასაც ზედმეტი უარყოფით ეპყრობიან, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა აღვიაროთ, რომ სიტყვიერი მასალა ყველაზედ უფრო გამოსადეგი იარაღია მსჯელობისათვის. განყენებული ცნებანი ჩვენთვის სიტყვებშაა ხორც სხმული. სტატისტიკური გამოკვლევა უეჭველად გვიჩვენებდა, რომ ადამიანი რამდენაც ხანში შედის, უფრო ნაკლებ სარგებლობს ხედვითი სურათებით და უფრო მეტათ კი—სიტყვებითა. გალტონის პირველმა აღმოჩენამ უტყუარ ჰყო ეს ფაქტი. ამიტომ უნდა ვთქვა, რომ გამუდმებული ვარჯიშობა ზეპირობაში შესაფერ ადგილს იჭერს ნორმალური აღზრდის საქმეში. იმ ტიპის ადამიანებზე უსაცოდავესი არაფერია, რომელნიც ვერ გარკვეულან მათს თავში არსებულ ქაოსში; აპათ თითოეულ შემთხვევისათვის მზათა აქვთ რომელიმე ციტატა, რომელიმე ანეკდოტი, მაგრამ ერთხელაც კი ვერ შესძლებენ გარკვევით გადმოსცენ იგი. მეორე მხრით, თვით ამის პატრონისა და მსმენელთათვისაც იმაზე სასიამო არაფერია, როცა ლაპარაკში მოყავთ დიალოგები და ციტატები სავსებით და უნაკლულოთ. თითოეულ დარგში გამომუშავებულია მოკლეთ და მკაფიოთ შესაფერი ფორმულები, რომლებშიაც შეუდარებლათ გამოიხატვის ამა თუ იმ დარგის მეცნიერების დასკვნა. ვისაც ეს ფორმულები მეხსიერებაში წაუშლელათ დაუცავს, იგი ერთი საფეხურით მაღლა დგას ამ მხრით და მასწავლებელიც უნდა ცდილობდეს შეათვისებინოს იგი მოწაფეებს.

არსებობს სხვა და სხვა მეთოდი დაზეპირებისა,—ამათგან ზოგი აღწევს მიზანს და ზოგი ვერა, ამათში საუკეთესო მეთოდია უეჭველად ის, რომლის საშუალებით უმაწვილები არა თუ სწავლობენ ზეპირად რასმე, არამედ ამ მასალას ანალიზსაც უშვებიან და მსჯელობენ მასზე.

ფსიხოლოგიურ ლაბორატორიებში მომხდარმა გამოკვლევამ ამ ბოლო დროს მოგვცა კიდევ რამდენიმე ცნობა მეხსიერების შესახებ. ბევრი დაინტერესებული მკვლევარი სხვა და სხვა აპარატით ზომავს უმაწვილების ელემენტარულ ნიჭს. ერთი ასეთთაგანია ე. წ. დამოუკიდებელი მეხსიერება. უჩვენეთ უმაწვილებს განსაზღვრული რიგით ასოები, სურათები, ციფრები და შემდეგ თანდათანობით 5, 10, 15 წამის შემდეგ აღადგინონ მეხსიერებაში ეს რიგი. ამ ცდის შემდეგ შეგიძლიათ უმაწვილები დაჰყოთ ჯგუფებათ მათი მეხსიერების მიხედვით. აქ მასწავლებელი

უნდა ცდილობდეს თითოულ მოწაფის მეხსიერებას შეუხამოს, შეუფარდოს სწავლების მეთოდი.

აქ უნდა გავიმეორო იგივე, რაც ვთქი ზევით, როდესაც ყურადღებაზე გვქონდა ლაპარაკი: ადამიანი მეტად რთული არსებაა და ამიტომ შეუძლებელია ნამდვილი წარმოდგენა შევადგინოთ იმის სულიერ ძალებისა მხოლოდ ერთი რომელიმე სულიერი ნიჭის გამოკვლევით, გათვალისწინებით, ცხოვრებაში ალბათ არასოდეს არ გვექნება შემთხვევა—საქმე ვიქონიოთ ისეთ ერთიმეორესთან დაუკავშირებელ საგნებთან, რომელიც ვახსენეთ ზევით და რომელთაც მხოლოდ მნიშვნელობა აქვთ ცდისათვის, პრაქტიკულ აზრს კი მოკლებულია. ნამდვილად მეხსიერება ემსახურება რომელსამე ინტერესს: ჩვენ გვახსოვს სწორედ ის საგანი, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ან დაკავშირებულა არის ჩვენთვის საყურადღებო საგნებთან. ყმაწვილი, რომელიც ხშირად სუსტ მეხსიერებას იჩენს ამა თუ იმ ცდისა და დაკვირვების დროს, ძალიან ხშირათ შესამჩნევათ იმახსოვრებს იმ საგნებს, რომელთაც ასე თუ ისე მიიზიდეს მისი ყურადღება. ასეთი ბავშვი საზოგადოთ რიგიანათ სწავლობს სკოლაში, უკეთესათ, ვიდრე რომელიმე თუთიყუში, რომელსაც „მეცნიერული სისწორით“ შედგენილ სიაში ხშირათ პირველი ადგილი უჭირავს. ეს გადამეტებული მნიშვნელობა ინტერესისა და გატაცებისა თავს იჩენს ადამიანის ყოველ მოქმედებაში და ხშირადაც განსაზღვრავს ამ მოქმედების შედეგს. რომელიმე ელემენტარული ნიჭის გაზომვა, რაიცა შესაძლოა მხოლოდ ლაბორატორიაში, ვერასოდეს ვერ მოგვცემს ჩვენ ნამდვილ წარმოდგენას ადამიანის სულიერ ძალთა შესახებ, რადგანაც მისი უფრო არსებითი თვისებანი, როგორიცაა ემოციალური და მორალური ენერგია, აგრეთვე სიმტკიცე და შეურყევლობა—შესაძლოა გავეცნოთ მხოლოდ როგორც შედეგი დიდის და ხანგრძლივის მოქმედებისა. ბრმას, რომელიც დაინტერესებულია მაგ., ფუტკრის მოვლით, გინდ ჭიანჭველების ცხოვრებითა, უფრო კარგათ შეუძლია ისარგებლოს სხვისი თვალებით, სხვისი მხედველობით, ვიდრე, ხშირად, ამ უკანასკნელს თავის საკუთარითა. ასეთი იყო სწორედ გუბერი. ან კიდევ წევრი პარლამენტისა კევენა, უხელ-ფეხოთ შობილი! უნდა წარმოიდგინოთ, რა უარყოფით პასუხს მივიღებდით ლაბორატორული საშუალებით მისი მოძრაობის ფუნქციათა გამოკვლევის შემდეგ! იგი კი ფრიად გამბედავი მოგზაური და მხედარი იყო! რომენსმა გამოიკვლია შეთვისების სისწრაფე კითხვის საშუალებით და, აი, რა აღმოჩნდა: ზოგი მიცემული მასალის წაკითხვას დიდ ხანს მოუნდა, ბოლოს ჩქარა წამკითხველმაც ისეთივე ნიჭი გამოიჩინა წაკითხულის გადმოცემაში, როგორიც პირველებმა. ესენი სრულებითაც არ აღმოჩნდენ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი! რომენსმა თავისი ცდა გაიმეორა ცნობილ მეცნიერებსა და ლიტერატორებზე და აღმოჩნდა, რომ უმეტესი მათგანი ნელა და მძიმეთ კითხულობს.

ამ ფაქტების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაკვირვებული მასწავლებლის შთაბეჭდილებას გაცილებით მეტი ფასი აქვს საქმისათვის, ვიდრე სხვა და სხვა პედანტიურ და სინამდვილესთან ხშირათ შეუსაბამო ცდასა და ზომას. ასეთ გაზომვას მნიშვნელობა აქვს მაშინ, თუ ამავე დროს დავკვირვებივართ ამ პირთა მოქმედებასა და ყოფაქცევას და ეს დაკვირვება მომხდარა თვით მასწავლებელთა მიერ, რომელთაც აქვთ თვალნი ხედვად, სალი გონება და რამდენსამე შეუგნიათ ადამიანის ბუნების მიდრეკილება.

მერწმუნეთ—არავინ უნდა წუხდეს იმის გამო, რომ მან თავის არსებაში აღმოაჩინა სისუსტე რომელიმე ელემენტარული ნიჭისა.

ცხოვრებაში მნიშვნელობა აქვს გონების ზოგად მუშაობას, ხოლო ნაკლი ერთის რომელისამე ნიჭისა შესაძლოა შევსებულ იქმნას სხვა ნიჭიერებათა ბეჯითი მოქმედებით. შესაძლოა ხელოვანი მხატვარი იყოს ადამიანი მხედველობითი სურათოვნების გარეშე, ან ბრმა იყოს და კარგი მკითხველი, ან მეხსიერებას მოკლებული და დიდი მეცნიერი! თითქმის ყველა შემთხვევაში იხსნის ადამიანს საგნით გატაცება — თუ თქვენ საკმაო ძალით მიისწრაფვით რომელისამე მიზნისადმი, ყოველთვის მიაღწევთ მას. გსურთ სიმდიდრე — გამდიდრდებით; განათლება — განათლდებით; გსურთ იყოთ კეთილი — გახდებით ასეთი. თქვენ მხოლოდ ნამდვილად უნდა გქონდეთ ასეთი სურვილი, და გსურდეთ სწორეთ განსაზღვრული რამ, და არა ათასი მასთან შეუსაბამო საგანი.

გალტონისა და სხვების აღმოჩენა ძრიად მნიშვნელოვანი იყო — ახლა ჩვენ ვიცით, თუ რა რიგ ძლიერი განსხვავებაა ადამიანთა შორის წარმოდგენილებათა ძალის მიხედვით. ახლა უკვე ცნობილია ის ფაქტი, რომ მხედველობითი სახის განსაზღვრულობა, სავსეობა, ზომა ძლიერ განსხვავებულია ადამიანებში. ზოგიერთ ადამიანში ეს მხედველობითი ძალა ძლიერ განვითარებულია, ზოგში კი — ძლიერ სუსტობს; ეგევე შეიძლება ითქვას სმენელობითი სახეებზედაც. ბოლონდელი აღმოჩენა, რომ წარმოდგენილებას სხვა და სხვა სახეს შეესაბამება ტვინის განსაზღვრული ნაწილით. გვაძლევს ფიზიკურ საფუძველს ასეთი შეუსაბამობის განსამარტებლათ. ეს ფაქტები საყოველთაოთ ცნობილია და აქ დამჭირდება მხოლოდ მათი გახსენება. ერთი შეხედვით მათ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მასწავლებლისთვის. მართლაც, მასწავლებლებს ურჩევდენ მოწაფეები დაეყოთ ჯგუფებათ მათი წარმოდგენილების მიხედვით და ასე ესწავლებინათ. პატარა კლასში გამრჯელი მასწავლებელი უეჭველათ მიაღწევს მიზანს, მაგრამ ჩვეულებრივ კლასში ამის გატარება შეუძლებელია. ერთად ერთი პრაქტიკულად სასარგებლო წესი, რომელსაც იძლევა ეს ფსიხოლოგიური ანალიზი, ის არის, რომ მასწავლებელი უნდა მოქმედობდეს და სარგებლობდეს შთაბეჭდილებათა ყველა სახით. — იხასეთ, სწერეთ, ხატეთ, დე, იმუსაიფონ თვით მოწაფეებმა, სწერონ, ხატონ, უჩვენეთ მათ სურათები, ტაბულები, გეგმები, და სხვა და სხვა, — ამ აუარება ნაირ-ნაირ შთაბეჭდილებებში თითოეული მოწაფე ბუნებრივათ მიაგნებს იმ საგანს, რომელიც მას უფრო დაამახსოვრდება, პირველ დაწყებით სწავლებაში ეს პრინციპი შთაბეჭდილებათა სხვა და სხვაობისა უკვე აღიარებულია და აქ ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ.

ეს წესი, რომლის მიხედვითაც უნდა ვსარგებლობდეთ მრავალ სხვა და სხვა გზით, ძლიერ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ყმაწვილებმა არა თუ დაიხსომონ, შეიგნონ კიდეც. ეს წესი წითელი ძაფივითაა გატარებულ სწავლების მთელს სისტემაში.

თორმეტი წლის წინათ პროფესორ ებინჰაუსმა გამოიკვლია კანონები მეხსიერებისა. ამისათვის მიმართა უაზრო მარცვლების დაზეპირებას და ამ საშუალებით გაზომა გულმავიწყობა. ებინჰაუსის მეთოდი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მანამდი კითხულობდა მთელს რიგს მარცვლებისას, სანამ უნაკლულოთ არ დაიზეპირებდა. რიცხვი, თუ რამდენჯერ უნდა წაეკითხა ესა თუ ის რიგი მარცვლებისა, იყო საზომი დასწავლის სიძნელისა თითოეულ შემთხვევაში. მაგრამ საკმარისია რამდენიმე წუთის შემდეგ გავიმეოროთ ამ რიგათ დაზეპირებული, რომ მაშინვე წავიფორხილოთ. აქ საჭიროა ხოლმე გამეორება და აღდგენა მეხსიერებაში უკვე გამქრალი მარცვლებისა. ებინჰაუსმა სისტემატიურათ იკვლია და აღმოაჩინა რამდენიმე შესამჩნევი ფაქტი. აღმოჩნდა, რომ დავიწყების პროცეს

პირველ ხანებში უფრო სწრაფად სწარმოებს, ვიდრე შემდეგ და შემდეგ. ერთი სიტყვით, ებინგჰაუსის ცდა გვიჩვენებს, რომ იმ საგნებსაც კი დაუტოვებიათ ჩვენს მეხსიერებაში კვალი, რომელთა გახსენებაც არც თუ ისე ადვილია ჩვენთვის. ჩვენს არსებაში მოხდა ცვლილება იმის გამო, რომ ჩვენ ეს საგნები ოდესღაც გაგვიცვნია. წინააღმდეგობის ძალა ჩვენი ტვინის სისტემაში სხვა გზას დაადგა. ჩვენ უფრო ადვილად ვითვისებთ, დასკვნა, რომელსაც ვღებულობთ ჩვენ დებულებათგან, ცოტა სხვა რიგი იქნებოდა, რომ ეს ცვლილებები არ მომხდარიყო. უკანასკნელს გავლენა აქვს ჩვენი შემეცნების ასპარეზზე.

მასწავლებელს შეუძლია აქედან პრაქტიკული დასკვნა გამოიყვანოს. ჩვენ უოველთვის მეგირდების წარმატებას ვზომავთ ეგზამენების და მაგვარი საშუალებით. ამავე დროს ძლიერ მცირე ფასსა ვდებთ იმ ცოდნას და იჭს, რომელიც სიტყვით არ გამოითქმის. მოწავეს, რომელიც ამბობს,—ვიცი, მაგრამ ვერ მითქვამსო,—ჩვენ ვაყენებთ იმასთან, ვინც მართლა არაფერი იცის. ეს დიდი შეცდომაა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ცოტა რამ გავიხსენოთ საკუთარი ცხოვრებიდან, არ უნდა დავივიწყოთ კი, რომ ყოველივე ჩვენ მიერ განცდილი თავის კვალს ამჩნევდა ჩვენს ხასიათს და ხელს უწყობდა ჩვენში ასეთის თუ ისეთის მიდრეკილების გამომუშავებას. ცოცხალი მეხსიერება დიდი ბედნიერებაა, უმრავლესობა კი ძლიერ ბუნდოვანად გაიხსენებს სხვა და სხვა საგნებს, რომლებთანაც ოდესმე საქმე ჰქონია. ექიმი და იურისტი თავიანთ დასკვნას ძლიერ იშვიათად იძლევიან მაშინვე.—ესენი იმით განირჩევიან სხვებში, რომ იციან, თუ სად მოძებნონ ის მასალა, რომელიც უნდა მიიშველიონ კითხვის ასე თუ ისე გადასაჭრელად. ვისაც სპეციალური განათლება არ მიუღია, ის ხომ ვერც მასალას მოძებნის, ან რომ მოძებნოს, ვერც რასმე გაიგებს, რადგანაც არ ესმის სპეციალურ, ტეხნიკურ გამოთქმათა მნიშვნელობა.

იქონიეთ მოთმინება და თანაგრძნობით მოეპყარით იმათ, ვინც გამოცდის დროს შესაბრალ მდგომარეობაში ვარდება, დიდი გამოცდის დროს, რომელსაც ცხოვრება დაგვიყენებს წინ, ადვილად შეიძლება, ესენი დაწინაურდენ და ისინი კი, ვინც დალაგებით და სხაპა-სხუპით გიპასუხებს წითელი მაგიდის წინ,—უკან ჩამორჩნენ.

ასეთია უმთავრესი პუნქტები, რომლებზედაც, ჩემის ფიქრით, უნდა შევჩერებულიყავით ამ საუბრის დროს. პრაქტიკული მიზნისთვის აქედან შეგვიძლია ასეთი დებულება გამოვიყვანოთ: მოგონება—იგივე აზროვნებაა. დავუმატოთ კიდევ, რომ მეხსიერებაში განსამტკიცებლად რომელიმე შთაბეჭდილებისა საჭიროა და ფრიად საჭირო დაკავშირება მისი უკვე ნაცნობ მასალასთან. დაკავშირება—იგივე აზროვნებაა. და თუ ჩვენ ამ დაკავშირებას მეტის ყურადღებით მოვეპყრობით, ახალი საგანი უფრო ადვილადაც გაგვახსენდება საჭირო დროს.

დ. თ—ძე.

# ჰიგიენა

(წერილი პირველი)

## X.

ნახშირმჟავა გაზს დიდი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ბუნებაში. ჰაერში გავრცელებულ ნახშირმჟავა გაზს მცენარენი ხარბად ეწაფებიან —მწვანე ფოთლებით შეისუნთქავენ ხოლმე, —დედის ძუძუსავე სწოვენ, ფოთლებში მყოფ ხლოროფილის (მწვანა) მარცვლები, მზის სინათლის დახმარებით, ნახშირმჟავა გაზს არღვევენ: მჟავბადს, თითქმის სრულიად, ჰაერსავე უბრუნებენ, ხოლო თითონ მცენარე **სრულაად ათვისებს ნახშირბადს** (ნახშირს) და ცოტაოდენსაც მჟავბადს, მწვანე ფოთლებში ნახშირმჟავა გაზს დახვდება ხოლმე აგრეთვე წყალი და ამიაკი, ყველა ამ მასალათა ერთი მეორეზე ზეგავლენით, ზედმოქმედებით **იბადება** წარმოსდგება და შენდება ის უსაჭიროესი ნივთიერება, რომლითაც შესდგება ყველა მცენარეთა ხორცი, სხეული.

დიაღ, მოდი ნუ დაიჩოქებ და თაყვანს ნუ სცემ **მცენარის შემოქმედებით ძალას!** ნეტა თუ რა ძალა აქვს მცენარეს, რომ არა ორგანიულ მასალიდან **ქმნას** ჰბადებს ორგანიულ სხეულს, გვიმზადებს იმ მასალას რომლითაც ჩვენ და ცხოველები ვიკვებებით. მცენარე არის მწარმოებელი, ჩვენ კი მომხმარებელნი. მცენარენი გვაძლევენ სარჩო-საბადებელს, საჭმელ-სასმელს, ყოველგვარ მარცვალს და ხილს, საშენ მასალას, შეშას, ნახშირს, ქვანახშირს, ტანისამოსს და სხვ. და სხვ....

აზრი რო უკეთ განვმარტოთ, მთელს ბუნებაში აი როგორ ტრიალებს სიცოცხლის ჩარხი: ჩვენი ამონასუნთქი ნახშირმჟავა გაზი, რომელსაც ცოტაოდენი წყალიც ურევია, მცენარეთათვის ნამდვილი უკვდავების წყაროა. მცენარენი ითვისებენ იმას, რაც ჩვენთვის სასუნთქელად აღარ ვარგა, შხამია, ხოლო უკანვე გვაძლევენ ჩვენს უკვდავების წყაროს — **მჟავბადს**. ასეთი დიდი დამოკიდებულება სუფევს მცენარეთა და ცხოველთა შორის.

ამიტომაც თავისუფალ ბუნებრივ ჰაერში ყოველთვის უცვლელად რჩება რაოდენობა ჩვენთვის საჭირო **მჟავბადისა** და მცენარეთათვის საჭირო **ნახშირმჟავისა.**

## XI.

ღრმა მაღაროებში, სადაც მადნეულობას და ქვანახშირს ან შავქვას სთხრიან, აგრეთვე ჭაში, ღრმა სარდაფებში, პურის ორმოებში, ქვევრში და სხვ., იმდენად გროვდება და ძლიერ ხშირად იმდენათაც სჭარბობს ხოლმე **ნახშირმჟავა გაზი,** რომ ადამიანს და ყოველ ცხოველს შხამავს, სულსა ხუთავს, წელიწადი ისე არ გაივლის, რომ რამდენიმე სული ადამიანი არ იმსხვერპლოს ნახშირმჟავა გაზმა *).

---

*) ჩვენ თითონ გვახსოვს მეტად სამწუხარო ამბავი, რომელიც ეჭვი არ არის უვიცობიდან წარმოსდგა: ჯავახეთში, სოფ. ბარალეთში, რამდენიმე წლის უხმარი პურის ორ

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისთავად ნახშირმჟავა გაზი შხამი არ არის და თუ რო ცხოველები შიგ იხრჩობიან, მიზეზი ის არის, რომ ადამიანი სულს ვეღარ იბრუნებს ხოლმე იმ ჰაერში, სადაც მჟავბადი კლებულობს და ნახშირმჟავა გაზი კი სჭარბობს.

ადამიანი რო სუნთქავს თვითეულ საათში ორ მისხალზე მეტს ნახშირბადს (ნახშირს) წვავს თავის სხეულში. ესე იგი დღეში ორ გირვანქაზე მეტს ნახშირმჟავა გაზს ამოისუნთქავს ხოლმე. ამოსუნთქული ჰაერი შეიცავს 4% ნახშირმჟავა გაზს (ზომით) და სხვა რამეებიც ურევია. ამიტომაც როცა ერთს ოთახში ბევრი ხალხი გროვდება ერთმანეთს უმასპინძლდებიან ნახშირმჟავა გაზით *).

ყველა ჩვენგანს უეჭველია დაეზიზღება

---

მო ახადეს და შიგ ბიჭი ჩაგზავნეს ამოსაწმენდათ. ბიჭი ჩახტა ორმოში თუ არა, დაძახება ვერც-კი მოასწრო წამსვე გაიგუდა, სამწუხაროდ ჩახტა მეორე, ამან დაიძახა მიშველეთ დავიხრჩეო, ჩახტა მესამე, ჩახტა მეოთხე და ასე ოთხი სული ვაჟკაცი ორმოში თავყვებივით ამოიხრჩო — გახდნენ მსხვერპლი უვიცობისა.

კახეთში სოფ. ყვარელში საურმე დიდი ქვევრი ახადეს გასარეცხად. ორი ვაჟკაცი ჩავიდა. ჯერ მხიარულად ღონივრად უხახუნებდენ სარცხს, მერე კი ჩაჩუმდნენ. სამწუხაროდ ჩახტა მესამე, ამას მიეშველა მეოთხე და ოთხივეს სული ამოხდათ ნახშირმჟავა გაზისაგან. ქვევრში როცა თხლეს ინახვენ, მაშინაც აქ ძლიერ ბევრი ნახშირმჟავა გაზი გროვდება, წელიწადი ისე არ გაივლის, რომ თხლის მეჭაშადის სურვილმა ჩვენში რამდენიმე დედაკაცი არ იმსხვერპლოს, ჩაეყუდებიან ხოლმე ქვევრში თხლის ამოსაღებად, სული წამსვე ეგუბებათ და ქვევრში ყირამალა ჩავარდნილი ნახშირმჟავა გაზში იხრჩობიან.

ცრუ მორწმუნე ხალხისაგან ხშირად გაიგონებთ: ამა და ამ ადგილას განძია დამარხული, მაგრამ ი ოხერი „ეშმაკი დაჭპატრონებიაო“... ესე იგი სადმე ძველ ნასოფლარში შეხვედრიან საუკუნოებით დაცულ, დახურულ—დახშულ სახლს, ან ნასაყდრევს, ანუ რამე ორმოს და ქვევრს, რომელსაც გარეთა ჰაერი რამდენიმე წლით აღარ ხვდება, აღარ უდგება და შიგ მყოფი ჰაერი კი დიდი ხანია აშმორებულია. ჰაერში რაც კი მჟავბადი იყო მთლად დაიხარჯა ნახშირმჟავა გაზის შექმნაში, ვინაიდგან როცა რაიმე იხრწნება და ლპება ანუ შმორდება მჟავბადს ყლაპავენ და ნახშირმჟავა გაზს ჰქმნიან. ჰო და როცა იმ „ეშმაკის ბინას“ ერთ წერაქვს დაჰკრამ და მუშტის ტოლა ადგილს შეანგრევ, იქიდან უეცრივ გამოვარდება ნახშირმჟავა გაზი, ცხვირში ეცემა კაცს და ბურთივით დასცემს ხოლმე.

ამისთანა შემთხვევებში ორმო იქნება თუ ქვევრი ან ის „ეშმაკის ბინა“ უნდა ფრთხილად ახადოთ, მერე ჯერ დააცადონ ვიდრე დახშული ჰაერი (ნახშირმჟავა გაზი) ამოიწმინდება და მისი სამაგიერო ახალი, საღი ჰაერი ჩავა. რომ უფრო გულარხეინად იყოთ, ჩასვლის წინეთ ასე მოიქეცით: გრძელ ჯოხზე წმიდა სანთელი გაამაგრეთ და ანთებული ჩაუშვით. თუ პირთანვე გაქრა საშიშოა, თუ შუა გზაზე გაქრა, ჯერ არ ამოწმენდილა და თუ რო ორმოს ან ქვევრის ძირამდე ანთებული ჩავიდა შიში აღარაფრისაა. სანთლის მაგიერ შეგიძლიათ ანთებული ჩალა იხმაროთ. უფრო საეჭვო ადგილას ქვევრი იქნება თუ ორმო, ან ის „ეშმაკის ბინა“ დღე ერთ დღეს პირღია ეგდოს და მერე ჩადით. იმისთანა საჩქარო რა იქნება, რომ ერთ დღეს საქმეში ვერ მოითმინოს.

*) ეკლესიებში ხშირად უწუხდება ხალხს გული, ამის მიზეზიც ისევ ნახშირმჟავა გაზია. აღდგომის ცისკარზე ანუ თორმეტ სა-

ჭურჭლის ნარეცხის ანუ პერანგის ნარეცხის დალევა — ეს ზიზღი ბუნებრივ, გვაქვს ჩანერგილი. ჰო და ნარეცხის დალევა და ნახმარი ჰაერის (ამოსუნთქულის) ხელმეორედ უკანვე ჩასუნთქვა ერთი და იგივე კი არა **შხამია** თავის მოწამლვაა.

მართალია ბუნებრივ, ალღოთ **ინსტინქტი** აქაც გვშველის — უჰაეროდ გულ შეწუხებულნი გარეთ გავრბივართ, მაგრამ ხშირად ამას ვერ ვასწრობთ.

**ილ. ალხაზიშვილი.**

(შემდეგი იქნება.)

.....................................

ხარების კითხვაზე, როცა სანთლები ბლომად იწვის, სანთელი ჰაერიდან მჟავბადს ხარჯავს და სამაგიეროთ ჰაერს უბრუნებს ნახშირმჟავა გაზს, ამასვე არიგებს ეკლესიაში შეკრებილი ხალხიც: ეკლესიის ჰაერიდან მჟავბადს სვამს, თავის სხეულში ნახშირს სწვავს და სამაგიეროდ ამოსუნთქვის დროს ნახშირმჟავა გაზით ავსებს ეკლესიას. აშკარაა იმდენ სანთლებს

.....................................

და ხალხს საკმაოდ ველარ მოსწვდება კერძი მჟავბადისა და თავისავე ამოსუნთქულ ნახშირმჟავა გაზში ეხუთება სული, სწორედ ისე როგორათაც ჩვენს ჩიტს დაემართა პირწაკრულ მინის ქილაში, ანუ რაც დაემართათ ბარალელ თახს ვუკავს ორმოში და უგარელ თიხ ვაუკავს ქვევრში.

---

# მოკლე საუბარი

## ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

### IV.

ახლა ჩვენი ყურადღება ეგრედ წოდებულ სასუნთქავ ასოებზე ან ორგანოებზე შევაჩეროთ. ეს ასოები ჯერ კიდევ ცხვირიდგან იწყება. ცხვირი აფრასავით აღმართული კაკნატელათი ორ ნაწილად განიყოფება: მარჯვენა და მარცხენა ცხვირის ნესტოთ. ეს ნესტოები შიგნით დაფარულია ლორწოიანი გარსით და შესავალში ბეწვებით. ივით კაკნატელა და ნესტოები ცოტა მიხრილ-მოხრილია — რათა? — ეს ბუნების ოინია. გარეგან შემავალი ჰაერი ეტაკება ამ ნესტოების მოხრილებს, ჩერდება იქ და სტოვებს თვალით უხილავ სხვა და სხვა არსებათ, რომელთაც მიკრო ორგანიზმებს უწოდებენ, და მტვერს. ლორწოიანი გარსი ზედ იკრავს იმათ და შემდეგ თავისი მოციმციმე ბუსუსებით ცდილობს უსარგებლო და მავნებელი ნივთიერებანი სხეულს ააშოროს და გარეთ გამოიტანოს. ამაში მას თვალსაჩინოთ ეხმარება თვალიდგან ცხვირში ჩამავალი ცრემლი. ამისთვის კი თვალის უბიდგან ცხვირის ნესტომდე პაწაწკინტელა მილია გავლებული. ცხვირის შესავალში ბალანიც სულ ტყუილად არ არის ამოსული. — მისი დანიშნულებაა ცხვირში შემავალი ჰაერი გაწმინდოს და დაბლა გასუფთავებული გაგზავნოს. ცხვირის სხვა დანიშნულებაზე შემდეგში მოგელაპარაკები. ცხვირის ნესტოები თანდათანობით ხახაში გადადიან. აქ, ენის ძირში, საყლაპავ მილთან ერთად სასუნთქავი მილი იწყება, რომელსაც ამ ადგილას ყია ჰქვიან. ყია შემდეგ ორ ტოტათ იყოფა და გადადის ეგრე

წოდებულ „ბრონხებში“ *). ბრონხი ორია მარჯვენა და მარცხენა. მარჯვენა ტოტი ამ სასუნთქავი მილისა, ან მარჯვენა ბრონხი, რომლის დანიშნულებაა მარჯვენა ფილტვს ემსახუროს, უფრო მოკლეა და ფართო, ვინემ მარცხენა. ბრონხები განზე და თან ძირს ალმაცრად მიემართება, თვითეული თავიანთ ფილტვისკენ. ფილტვებში შესვლის დროს თვითეული ბრონხი, ფიწლის მსგავსათ ორ ტოტათ იყოფა, რასაც მცირე ხარისხოვანი, ან „ნამეორედები“ ბრონხი ეწოდება მარცხნით ეს ნამეორედები ბრონხი თითქმის ერთ ნაირი ზომისაა; მარჯვნით კი იგი მალე ახალ ტოტათ იყოფა, რაც მარჯვენა ფილტვის სამს ნაწილს შეესაბამება. შემდეგ ეს ნამეორედები ბრონხი კიდევ პატარ-პატარა ტოტებათ ნაწილდება. ახლა მათ ნამესამედები, ან მესამე, ხარისხოვანი ბრონხი ეწოდებათ. ბრონხის უმთავრესი ტოტიდან გამოდიან განის ბრონხში, რომელთაც ძირს დაქანებული მიმართულება აქვთ: ამათ შემდეგ სხვა ტოტები ჩამოსდევენ და ამნაირად ბრონხი, რაც შორს მიდის ფილტვების სიღრმეში მით უფრო პატარ-პატარა ტოტებათ იქცევა, თვალით უჩინარი ხდება და ფილტვების თვითეულ კუნჭულში დაითვლება.

ფართო ბრონხები თავის შენობით სასუნთქავ ყიას მოგვაგონებენ—მათი კედლები ერთნაირი კაკნატელითაა აშენებული. ვიწრო ბრონხებს კი ცოტა სხვა ნაირი შენობა აქვთ. შიგნითა პირი ყველა ამ ბრონხებისა დაფარულია ლორწიანი გარსით, რომელიც მრავალშრევლიანი მოციმციმე კანისგან შესდგება. ამ კანს „ეპიტელს“ უწოდებენ. ამ გარსის ასეთ შენობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯანმრთელობისათვის. აქაც ლორწოიანი გარსი ზედ იკრავს და აჩერებს მტვერსა და მიკროორგანიზმებს, რაც კი ცხვირს გამოეპარება, ან ჩასუნთქვის დროს პირიდგან ფილტვებისკენ მიექანება. მოციმციმე გარსი კი თავის მოძრაობით ამ მტვერს და მიკრო-ორგანიზმებს ქვევიდგან ზევით მოერეკება, რომ მერმე ხველების საშვალებით სხეული მათგან გაანთავისუფლოს. სასუნთქავ მილის გარსში მოთავსებულია მრავალი პაწაწკინტელა ჯირკვლები. ამ ჯირკვლების გამოსადენი მილი ირიბულათ ხვრეტს ლორწოიან გარსს და ამ უკანასკნელსავით მოციმციმე კანითაა დაფარული. ბრონხებსაც აქვს თავისი სისხლის სადენი და მასაზდოებელი მილები,—არტერიები და ვენები, აქვს აგრეთვე ნერვებიც. ამას შემდეგშიაც დავინახავთ.

როგორც ზევითაც ვთქვით ბრონხები, წვრილმან ტოტებათ ქცეულნი, თანდათან ფილტვებში გადადიან. ფილტვი ადამიანს ორი აქვს მარჯვენა და მარცხენა. იგინი ორივე კიპკიპას ცოტა ზევით იწყებიან და მოთავსებულია გულმკერდის სიღრუვეში. უკნიდგან მათ ხერხემლის ძვალი საზღვრავს, გვერდებიდგან ნეკნები და წინიდგან კი გულის ფიცარი. ძირიდგან მათ ეკვრის თხელი და მაგარი სმელ ძარღვებ ნარევი ფართე კუნთი, რომელსაც აფსკა ეწოდება. ეს აფსკა ფილტვებსა, გულის, კუჭ-ღვიძლსა და ტყირპნაწლევებ შორის შუაკედლათაა გავლებული. ფილტვებს გარედგან გადაკრული აქვთ კარგა მკვრივი ორ უბოვანი გარსი. ერთი უბით ეს გარსი თვით ფილტვებს ეკვრის და მეორეთი კი გულმკერდის სიღრუვეში ნეკნების შიდა პირს. ასე რომ ამ გარსის უბეებ შუა თავისუფალი ადგილია დატოვებული. ამას ფერდის გარსი, ან „პლევრა“ ქვიან. ფილტვებში მარჯვენა ტოტი უფრო დიდია და სამი ნაწილისაგან შესდგება, მარცხენა კი პატარაა —მას ორი ნაწილი შეადგენს. ეს იმიტომ რომ მარცხნით გულია მოთავსებული, რასაც თავისი უბით კარგა მოზრდილი ადგილი უკავია.

*) „ბრონხი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სასუნთქავ მილს.

ფილტვები პატარპატარა ნასვრეტებისა და ბუშტებისაგან შესდგება. ეს უკანასკნელნი ისეთი პატარანი არიან, რომ უბრალო თვალით მათი დანახვა კაცს არ შეუძლია. ამისთვის გამადიდებელი შუშაა საჭირო *). ამ ბეშტებს ერთობ სიფრიფანა, თხელი და სათუთი კედლები აქვთ. ეს კედლები ყოველ მხრიდგან დაქსელულია ტვინის ძაფებით,—ნერვებით, და სისხლის სადენი ბეწვეული მილებით არტერიებით და ვენებით. ესენი კი თავის კედლებით თითქმის ერთმანეთს ეკვრიან. ფილტვებს დიდი დანიშნულება აქვს ჩვენი არსებობის საქმეში. მათი საშვალებით ჩვენ ვსუნთქავთ. სუნთქვის დროს კი გარეთ ჰაერიდგან ფილტვებში ჩაგვაქვს ყოველ სულდგმულისათვის აუცილებლათ საჭირო ნივთიერება „მჟავბადი" **) და ამოგვაქვს ჩვენი სხეულის ცხოველ-მყოფელობის და შემოქმედობის ნაყოფი, უსარგებლო და მავნებელი „**ნახშირის სიმჟავე**" ***). ეს ამნაირად ხდება: ყოველი სუნთქვა ორი მოქმედებისაგან შესდგება: ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისაგან. ჩასუნთქვის დროს ჩვენს გარშემო ჰაერიდგან მჟავბადი და სხვა და სხვა ჰაერგვარი მიექანება ჩვენი ფილტვებისკენ. აქ იგი ჩაედინება თვით უპატარაეს კუნჭულებამდე, ფილტვების ბუშტებამდე. ამ ბუშტებს, როგორც ვთქვით, სიფრიფანა კედლები აქვთ. ამ კედლების გარსს ედება ჩანასუნთქი ჰაერი და რადგან ჩასუნთქვა ძალოვანია, ამიტომ ეს ჰაერი მყისვე სისხლის სადენ მილებში—არტერიებში გადადის, წმენდს და ახალისებს სისხლს და მასთან ერთად უგზავნის სხეულს მასაზდოებელ და მაცოცხლებელ ნივთიერებას. ამოსუნთქვის დროს ფილტვები იკუმშება, ძირიდგან მათ აფსკა აწვება და სისხლისაგან მოტანილ უსარგებლო ნახშირის სიმჟავეს ფილტვების დაცარიელებულ ბუშტებში გადმოდენის და აქედგან კიდევ გარეთ გამოიტანს. ადამიანის სიცოცხლის დროს ფილტვები მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. ისინი ხან დაზმით ხან იკუმშებიან და ხან იშლებიან ამას ხელს უწყობს ჯერ თვითონ ფილტვების შემადგენელი საწილების სიმტკიცე-უდრეკელობა და მერმე ნეკნების, აფსკის და მთლათ მთელი ფაშის მოძრაობა. თუ ვინიცობაა ფილტვების მოძრაობა შესდგა—ადამიანი მოკვდება, რადგან სხეული მჟავბადს ვეღარ მიიღებს, ნახშირის სიმჟავით გაიჟღენთება და მოიწამლება.

რომ ფილტვებმა წესიერად იმუშაონ და სავსებით შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, ამისთვის საჭიროა, მათში ჩამავალი სასუნთქი მილები თვით პირიდგან დაწყებული სადები იყვნენ, რომ ფილტვის თუ ყოველი არა, უმეტესი ნაწილი მაინც მისი პაწაწკინტელა ბუშტებებისა და მათი ნასვრეტებისა თავისუფალი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფილტვებს მუშაობა გაუძნელდება, დაიწყება სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობა, იმისდა მიხედვით თუ რა მავნებელი ნივთიერება დამკვიდრდება ფილტვებში და რაოდენი ადგილი ექნება საერთო მუშაობას გამოკლებული.

ექიმი **ევ. გ. ლოსაბერიძე.**

(შემდეგი იქნება)

*) გამადიდებელ შუშის იარაღს, რომელსაც ამისთანა საჭიროების დროს ხმარობენ „მიკროსკოპი" ეწოდება.

*) მჟავბადი წარმოადგენს ერთნაირ ჰაერგვარს, რომელსაც არც გემო აქვს და არც ფერი და ხელს უწყობს წვას, შეგვიძლია მოვახდინოთ ასეთი ცდა: მჟავბადი ჩაუშვათ ჭიქაში და ახლოს მიუტანოთ ნაკვერცხალი, ან მოკიდებული კვარი, იგი მაშინვე ბრდღიალით აინთება. ეს იმას ნიშნავს, რომ მჟავბადი საჭიროა წვისთვის და ხელს უწყობს მას.

**) ნახშირის სიმჟავეც ჰაერგვარია და ასე მიტომ ეწოდება, რომ ნახშირის წვისაგან არის წარმომდგარი. იგიც უფერულია და ხელს არ უწყობს არც წვას და არც სიცოცხლეს. მაგ. ჭიქაში, რომელშიაც ნახშირის სიმჟავა მოქცეული ანთებული კვარი რომ ჩაუშვათ. მაშინვე დაქრება. კვდება აგრეთვე თაგვი ასეთ ჭიქაში დამწყვდეული.

# ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი

და

# მისი პოეზია

## დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო

(გაგრძელება)

გ. 2. არ შეეძლო ვახტანგ ორბელიანს, საქართველოს წარსულის ესდენ მოტრფიალეს, არ შეხებოდა ქართველთა სასიქადულო მეფეს დავით აღმაშენებელს და თამარს... დავითი ითვლება გელათის მონასტრის დამაარსებლად... პოეტმა გელათს უძღვნა პოეზიით აღსავსე ლექსი, რომელშიც ნათქვამია, რომ გელათი აღშენდა ხელით ძლიერით... გელათის წიაღშივე განისვენებს „დიდი დავითი"... ამ ორს სიტყვაში ბევრი რამა ჩაქსოვილი... მართლაც, დავით აღმაშენებელი ერთი იმ მეფეთაგანი იყო, რომლის მსგავსი იშვიათად მოევლინება კაცობრიობას. მან პირველმა დაამყარა ერთმთავრობა მთელს საქართველოში და საქართველოს დაუმორჩილა მრავალი პროვინცია... იმის დროს ქართველის სახელი ჰქუხდა... იმას უყვარდა სომხები, ბერძნები, რუსები, მაჰმადიანები ქართველებთან თანასწორად. უიმისოდ თვით თამარ დედოფლის ძლიერება შეუძლებელი იყო... მანვე მტკიცე საფუძველზე დაამყარა ქართველთა ერის განათლება (სკოლები) და უზრუნველ ჰყო მისი ზნეობრივი განვითარება... (რუის-ურბნისის კრება) თამარ დედოფალს პოეტი ახსენებს თავისს შესანიშნავს ლექსს „ობოლ"-ში. ეს ობოლი რუსთაველია... ამან განათლება დაამთავრა საბერძნეთში და დაბრუნდა სამშობლოში. თამარის მეფობის ჟამს... დაბრუნებულმა მგოსანმა

„ნახა სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად სდგებოდა,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა...
დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე შვენიერი და მოღიმარი,
მისი სიტურფე, მის სინაზე, მის თვალთ ნათელი,
ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი.
მაშინ აღმოხდნენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბიანი, სავსენი სიბრძნით,
მოკამკამენი, წყაროს წყალნი, ვით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი!"

იმავე ლექსის მეშვიდე თავში პოეტი გამოხატავს რუსთველის მიერ თამარ დედოფლისადმი „ვეფხის ტყაოსნის" მირთმევის სურათს... დედოფალი ზის ტახტზე ფიქრით მოცული... დიდებულთ კრება ტრფიალებით უმზერს მას.. ბრძანა დედოფალმა:

„მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები!"

მოგვარეს რუსთაველი, რომელმაც მოახსენა დედოფალს შემდეგი:

— დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა!"

ამაზე დედოფალმა ღიმილით უპასუხა:

„ეს ლექსნი შთაბეჭდილნი გაქვს შენ ცით მადლით:
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება,
ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!"

ამ სახით პოეტს ის აზრი აქვს გამოთქმული ლექსს: „ობოლში", რომ რუსთველის

„ვეფხის ტყაოსანი“ შედეგი იყო თამარის დიდებულის მოღვაწეობისა. ამ მოღვაწეობამ („ნათელმა სახემ“) აღუძგერა რუსთველს გული და გაუძლიერა პოეტური აღმაფრენა. ამის მეოხებით ეს უკვდავი ნაწარმოები მტკიცედ შეკავშირებულია ქართველთა ცხოვრებასთან და გამსჭვალულია ქართული სულით, უოველივე ცდა, ამ აზრის საწინააღმდეგოდ მიმართული, ამაოა და წყლის ნაყვას მოგვაგონებს.

## გ. 3. ირაკლი მეფე და საქართველოს რუსეთთან შეერთება.

თავისს სახელოვანს პაპას ირაკლი მეფეს პოეტი ახსენებს თავისს ლექსებში... ის გატაცებულია მისი სიმამაცით, რომელსაც აღათრთოვანებდა თავგანწირული, მამულისშვილური გრძნობა... მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლე სხვა რა იყო, თუ არა განუწყვეტელი ომები სამშობლოს მტრებთან... პატარა კახის ხმლის და მისი გამჭრიახობის მეოხებით დროებით მაინც წელში გაიმართა ქართლ-კახეთი, მისი სახელი შორს ჰქუხდა... ევროპაში და რუსეთში აღტაცებულნი იყვნენ ძველთა მეფის ირაკლის სიმამაცით (ლუსსინგი, დიდრო, ეკატერინე მეორე)... ავიღოთ თუნდ ასპინძის ომი 1771 წლისა. ვახტანგ ორბელიანი შეეხება ამ ომის ერთს შემთხვევათაგანს თავის პოემაში: „ირაკლი და კოხტა ბელადი“... ასპინძის ომის დაწყებამდის ირაკლი შეებრძოლა ხმალ-და-ხმალ ლეკთა ბელადს კოხტას... პოეტს ხელოვნურად აქვს აღწერილი შეხვედრა ირაკლის და კოხტა ბელადისა... ირაკლი

„მბრწყინავით
თვის კვირცხლის თვალით
განსვენებული ელოდინება
მომგვრგვინავს მტერსა
და მშვენიერსა
თვის რაშის კისერს ეალერსება...
ტანი დაბალი,
შუბლი მაღალი
თვალი გამჭვრეტი, ვით არწივისა,
მოშაო ფერით,
პალარა წვერით,
მოსილი მკერდი; ბეჭი გმირისა...

შეიქნა ბრძოლა ქართველთა და ლეკთა შორის. და სწორედ ამ დროს ერთი გმირი (კოხტა)

„მრისხანე ხმითა
შიშველის ხმლითა
პატარა კახსა საბრძოლად იწვევს...
ორი კამარა რაშმა იკმარა:
შაისევანი *) ეძგერა კოხტას...
ირაკლის მჭრელმა
იელვა ხმალმა...
კოხტა ბელადი გაერთხო მიწას!“

ამ პოემაში მკითხველის ყურადღებას იქცევს ის მამულისშვილური გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ეს ნაწარმოები. მხურვალე მამულისშვილური გრძნობა ღრმად ავითარებდა მგოსანს იმ ბარბაროსულის მოქმედების შესახებ, რომელსაც ეროვნული დაჩაგვრა ეწოდება. პოეტს ვერ გაუგია, თუ მტერ[ს] რად სურს ქართველი ერის წახდენა, მის[ი] დაჩაგვრა.

„მტერო, რა გინდა, რას გვერჩი,
ჩვენი წახდენა რადა გსურს?!
ნუ თუ ალაზნის შვენება,
მის წალკოტები ჩვენთვის გშურს?!

მაგრამ ძალადობა, რომლის საძირკველი უმთავრესათ ეკონომიური საკითხია, სამართლიანობას არ დაგიდევს. ლეკები ავიწროვებდნენ ქართველებს მრავალ გზის თავდასხმ[ით] უფრო იმის გამო, რომ თავისს სამშობლო[ში] ისინი შიმშილით იხოცებოდნენ. მათ სურდა[თ] თარეშით, თავ-დასხმით, ბრძოლით ლუკმა მო[...] პოებიათ... უბრალო შურს, მტრობას აქ ად[...]

*) ირაკლის ცხენის სახელი.

გილი არა ჰქონდა.. ნივთიერი კეთილდღეობის შეძენის აღვირახსნილი სურვილი ლეკებზე ერთი ასად უფრო კულტუროსანს ერს იძულებულ ჰყოფს მათზე უფრო დასაძრახისი უსამართლობა და ძალმომრეობა ჩაიდინოს, მხოლოდ მოხერხებულად, ნიღაბის აფარებით...

თავის ლექსში „იმედი„—პოეტი იმავე ირაკლის შეეხება... ის გამოგვიხატავს მას ხოჯა აღა-მაჰმედ ხანთან შესანიშნავი კრწანისის ბრძოლის წინ. (1795 წ. 11 ენკ.) .. მეფის თავგანწირულებით გამხნევებული

„სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება
და ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!



ვახტანგ ორბელიანი.

მთელი სიცოცხლე ირაკლისა, პოეტის აზრით, გრძელი ბრძოლა იყო. ირაკლის, რომელიც საქრისტიანო კულტურას წინა აზიაში ხმლით იცავდა, საქმით თანამგრძნობელი არავინ ჰყავდა... „სხვათა ჭირით ლობეს ჩხირით“—სწორედ ისე იყო იმ დროს. ვინ რას დაგიდევდა, თუ მცირე რიცხოვანი ქართველი ერი თვისი მამაცის მეფის მეთაურობით მაჰმადიანთა აუარებელ ძალას ეომებოდა... საქმიერობითის თანაგრძნობის მაგივრად, დანარჩენი ქრისტიანი ერები ქებას უძღვნიდნენ ქართველებს და რჩევას აძლევდნენ... ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, რომ სრულიად უანგარო სიყვარული არ არსებობს;—უმრავლესობა თავისს ჯიბეს, თავისს საკუთარს სარგებლობას, თავის ერის კეთილ დღეობას

ემსახურება და სხვისი ჭირი თავისს ჭირად არ მიაჩნია... ჩვენს პოეტს ეს ჭეშმარიტება ღრმად შეგრძნებული აქვს... ამის გამო ის, როდესაც მაჰმადიანთა წინააღმდეგ ირაკლის თავ განწირულს ბრძოლას შეჰხედავს, კეთილ შობილურის გულის წყრომით ეუბნება დასავლეთის ერებს:

„დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრე-
ბოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალწინა, თქვენს
კარს ჰწყდებოდით?!
თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით.

ამითგულდაწყვეტილი ჩვენი პოეტი მათს დანაშაულს მათს შვილებსაც აკისრებს...

„შვილებსაც კი ხშირად გაზისთ შავი ბეჭედი
არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი,
მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გე-
დებათ,
მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი რასმე გეგებათ!..

პოეტის აზრით, ირაკლი მეფეს გათვალისწინებული ჰქონდა საქართველოს უკიდურესი მდგომარეობა, მისი პოლიტიკური სხეულის დაუძლურება, რომლის წინააღმდეგ საჭირო იყო ნამდვილი და გადაჭრილი ზომების მიღება. იგი ეომებოდა მტრებს თითქოს უიმედობით გამსჭვალული საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ... საქართველოს პოლიტიკურის სხეულის უძლურება დამტკიცდა 1795 წლის კრწანისის ბრძოლის ჟამს.—როდესაც ირაკლის არ მიეშველნენ თავისი შვილები ჯარით და სამშობლოს ბედი ამით განსაცდელში ჩააგდეს. შვილთა მიერ ასეთი გულგრილობა სამშობლოს საუკეთესო ბედის მიმართ უწყლულებდა გულს მხცოვანს მეფეს... ეს გარემოება აქვს სახეში პოეტს, როდესაც ამბობს, რომ

„მას აღარ ვფიქრობთ იმ გმირს (ირაკლის)
მაშინ (კრწანისის ბრძოლის დროს) რა ცეცხლი
სწვავდა,—
სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა“.

კულტურის, განათლების, ქრისტიანობის მოტრფიალე მეფე ბრძანებდა, პოეტის სიტყვით

„უსჯულოთ მამულს არ მივცემო,
არა და არა!“

ის წინააღმდეგი იყო მაჰმადიანობისა და მასთან სამუდამო კავშირს გაურბოდა.

სარწმუნოებასთან შეკავშირებული იყო ქართული ეროვნობა. ირაკლი იბრძოდა ორივეს დასაცველად. ეს აზრი ნათლად სჩანს პოეტის ლექსიდამ: „ირაკლი და მისი დრო“.

„ის ებრძვის ლეკესტანს,
ებრძვის აზათ-ხანს,—
ზედ ევფრატზედა დგას და გზას იჭერს,—
ოსმალებს მარჯვნივ,
სპარსელებს მარცხნივ...
აღტაცებით მას ევროპა, უმზერს!

იმას ეშინოდა, რომ ძველი ივერი მაჰმადიანებს არ დარჩენოდათ და იმათ მაჰმადიანობა არ შემოეტანათ საქართველოში... ამის შემდეგ, პოეტის აზრით, მოისპობოდა თვით ქართველობაც... ის ფიქრობდა, ვაი თუ

„გაწყდეს ძველი
ივერთ სახელი,
წმინდა ტაძარნი მიწას დაეცნენ,
შეგინებულნი
და დარღვეულნი
ერთა უწმინდურთ და ველურთ დარჩნენ“

ქართველთა ცხოვრების დროშაზე ყოველთვის ეწერა შემდეგი სიტყვები:

ბრძოლა „სჯულისთვის
და მამულისთვის“

თავის გარშემო იცქირებოდა მამაცი მეფე და რწმუნდებოდა, რომ საქართველოს კარგი არა მოელოდა რა. გარშემო ესიგნენ მოსისხლე მტრები, ფანატაზმით გამსჭვალულნი, და შიგნით, შინაგანს ცხოვრებაში ერის გმ

თილდღეობას ძირს უთხრიდა შუღლი, მტრობა, გაუტანლობა,—რომელთ საუკეთესო მაგალითს მეფის ძენი და მის ძენი იძლეოდნენ... ქართველთა რიცხვი მცირდებოდა,—ერის საუკეთესო, ღონიერი და ჯანსაღი შვილები ბრძოლის ველზე ისოცებოდნენ; მომავალი უღონო და სნეული ნახევრად ჯანსაღების ხელში რჩებოდა... მეფის მემკვიდრე და დანარჩენნი წევრნი თავისს პირადს სარგებლობას სცემდნენ თაყვანს... მეფეს ღევან ბატონიშვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ღირსეული მემკვიდრეც არ ჰყავდა. რაღა დარჩენოდა მას, თუ არა შეერთება საქართველოსი იმ ერთმორწმუნე რუსეთთან, რომელიც იმ ხანად ძლიერდებოდა და რომელთან კავშირით თუ ახლო მომავალში არა, შორეულ მერმისში მაინც მოელოდა თვისი საყვარელი ქვეყნისთვის არსებიის სარგებლობას. მოუსმინოთ პოეტს:

„მძლავრდება მტერი,
მცირდება ერი;
ირაკლის გული უწყალოდ კვნესის ..
ირაკლიმ გულს დაისახა:
„მანამ ქვეყნად არს, არის ცოცხალი,
არ მისცემს მტერსა
მონად თვის ერსა,
არ ჩაეგება ქარქაშს მის ხმალი...
როცა მოკვდება,
ვიღა დარჩება,
ირაკლის ხმალი ვინ ატრიალოს?
სახლში არვინ ჰყავს,
ის ნათლად ხედავს,
უნდა ერის წინ მან აღიაროს...
და აღიარა:
„არვინ მყავს, არა!“
და ჩრდილოეთი აჩვენა თითით.
ბრძანა ვიბრძოლებ,
მანამ ვიცოცხლებ;
აღარ ვიქნები—მას ესრს შეერთდით.

ამის მეოხებით დღეს „ჩვენზე ქრისტეს ნათელი მნათობს“. თვისის ანდერძით რუსეთთან შეერთების შესახებ ირაკლი მეფემ „გადაგვარჩინა“... ის სხვა საკითხია, თუ ირაკლი რა პირობების დაცვას სთვლიდა საჭიროდ საქართველოს რუსეთთან შეერთების ჟამს. ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, და ვახტ. ორბელიანი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ერთი და იმავე აზრისანი იყვნენ... ამ შეერთებას ეს მგოსნები პრინციპიალურად თანაუგრძნობდნენ,—მიუხედავად სხვა და სხვა გარემოებისა და მოსაზრებისა. ხსენებულ პოეტთა ამ გვარ შეხედულების შესახებ სხვა და სხვა აზრი არსებობს ჩვენს მწერლობაში. ჩვენც გვსურს ჩვენი აზრი გამოვსთქვათ ამავე საკითხის შესახებ... ამის გამო აქ მოვიყვანთ ჩვენივე ჯერ დაუბეჭდავი წერილიდამ: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“ ერთს ადგილს, რომელსაც აქვს კავშირი ამავე პოეტის ლექსთან: „საფლავი მეფის ირაკლისა“... ეს ადგილი რამდენადმე განმარტავს ხსენებულ პოეტების საერთო შეხედულებას ამ ფრიად-მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. „საფლავი მეფის ირაკლისაო“—ამ ლექსში, რომელიც 1842 წელსაა დაწერილი, პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, მუხლთ-მოდრეკილი ირაკლი მეფის საფლავის წინ თაყვანს სცემს ამ მეფის ანდერძს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. პოეტი აღტაცებულია იმის გამო, რომ ქართველი ახალთაობა რუსეთში იძენს განათლებას და მოაქვს მამულში „განათლება და ხმა საამო“. ჩვენი ახალგაზრდები რუსეთიდამ

„ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად,
სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი..
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;
ვერღა' ურყევს მას განსვენებას მისი აღტყელვა;

შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა. .

თავისუფლების მოყვარული პოეტი, უღვლის დაჩაგვრის და შევიწროების წინააღმდეგი, მუხლს იდრეკს ირაკლი მეფის საფლავის წინაშე, რომლის სახელთან არის შეერთებული საქართველოს სამეფოს პოლიტიკური თავისუფლების მოსპობა. რა მოსაზრების ძალით ურიგდება პოეტი ირაკლი მეფის ანდერძს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ?

ბარათაშვილი (როგორც სხვა ზემოდ დასახელებული პოეტები) მომხრეა კულტურის ბრძოლისა ეროვნული განვითარების მოსაპოებლად. საქართველოს აღადორძინებს, თითქო ასე ამბობს პოეტი, ევროპასთან დაახლოება და ევროპის და რუსეთის საუკეთესო მეცნიერთა და მოღვაწეთა აზრთა და იდეალთა შეთვისება ქართველ ახალთაობის მიერ. მაგრამ ესეც არ კმარა, მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებული ქართველები უბრუნდებიან სამშობლოს და მის მხურვალე ცის ქვეშ უხვად სთესვენ მეცნიერების და ცოდნის თესლებს. ნიჭიერი ქართველი ერი, მქონებელი თვისი ეროვნული ძველი საკმაოდ მდიდარი კულტურისა, ითვისებს ცოდნას და მითი იუმჯობესებს თვის ცხოვრებას, თუ ერს ცოდნა აქვს, ის თავისუფალია. ყოვლად მხსნელი და ყოვლად მძლე მეცნიერება—იფარავს ერს გადაგვარებისაგან და აძლევს მის ეროვნულს არსებას აღორძინების უტყუარს სახსარს. უამისოდ კი თვით დამოუკიდებელი ერი დაკარგავს თავის უფლებას და სხვის, უფრო მცოდნე ერის, მონა გახდება: ტყუილად კი არ ამბობს ფრანგთა პოეტი ბერანჟე: „ცოდნა თავისუფლებაა, ცოდნა სინათლეა; უიმისოდ კი მონობაა, განათლების შესაძენად ქართველს ერს გარემოებანიც ხელს უწყობენ. მას აღარ სჭირდება ძველებურად გარეშე მტრებთან ბრძოლა, და მის ცის ქვეშ მშვიდობაა დამყარებული. მთელი თავისუფალი დრო მას შეუძლია მოახმაროს სწავლა-ცოდნის შეძენას და ნივთიერს აღორძინებას... სწორედ ამაშია წინდი მისის საუკეთესო მერმისისა, მისის განათლებისა, მისის გაევროპიელებისა... ქართველმა, მაშასადამე, ილიასი არ იყოს, „უნდა მოიკლას წარსულ დროებზე დარდი და სდიოს სხვა ვარსკვლავს“, განათლების გარდა საქართველოში მის შვილებს რუსეთიდამ ჩამოაქვს „ხმა საამო“... მასალად იმ დროს, როდესაც ეს ლექსია დაწერილი (1842 წ.) ევროპაში გაისმოდა საუკეთესო გვამთა ხმა მუშათა და დაჩაგრულ ერთა გათავისუფლების შესახებ. თვითონ რუსეთში გაისმოდა ხმა გლეხთა განთავისუფლების შესახებ, და ვრცელდებოდა მოწინავე ფილოსოფოსთა და მეცნიერთა აზრები რუსთა შორის. ქართველი ახალგაზდობის უმცირესი ნაწილი მაინც ხარბად ეწაფებოდა განათლებას რუსეთში და ახალ იდეებს თავისს სამშობლოში ავრცელებდა... ბარათაშვილს სრული იმედი ჰქონდა საქართველოს მომავალ კეთილდღეობისა და ამიტომ ეუბნება ირაკლის: „აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძს ნამაგსა“... ქართლს უწოდებს „ახალს ქართლად“... პოეტის შორს მჭვრეტელი გონება, წინასწარმეტყველების, წინასწარ-გრძნობით დაჯილდოებული, იდგა ქართველების დროებითის ხასიათის შეიწროებათა და უსიამოვნებათა გარეშე. იცქირებოდა შორს, იმ მყობადში, როდესაც სიმართლე სძლევს სიბნელეს და თითოეულს ერს მიენიჭება ის, რაც მას ბუნებისა და განგების მიერ აქვს იდეიურად მინიჭებული და ნამდვილად კი წართმეული აქვს ძალმომრეობის და მტარვალობის მეოხებით. პოეტი გრძნობს მას, რასაც უბრალო მომაკვდავი ვერ იგრძნობს... ის პირდაპირ, უსაშუალოდ ითვისებს ჭეშმარიტებას... ის იმას არ დაგიდევს, თუ ვისმეს მისი აზრი არ ესიამოვნე

ბა. ვახტ. ორბელიანს ეს მოსაზრებანი ექნებოდა სახეში, როდესაც შეეხო ირაკლი მეფის საქართველოს რუსეთთან შეერთების ანდერძს, და სთქვა მოკლედ, რომ ირაკლი მეფემ „გადაგვარჩინა“-ო...

ჩვენი პოეტების ასეთს შეხედულებაში გამოხატულია ქართველი ერის ადრინდელი, ისტორიული მოლოდინი რუსთაგან შველისა და დახმარებისა. და არა მარტოოდენ არისტოკრატიულ-ფეოდალური სოფლ-მხედველობა: ერის გულის ნადებს ხომ ისე ნათლად არავის გამოთქვამს, როგორც პოეტი, ცის მიერ მოვლინებული ერის წინამძღვრად და მასწავლებლად. საქართველოს წარსულის შესახებ ვახტანგ ორბელიანი მეტად დიდის აზრის იყო. 1881 წელს, როდესაც ჩვენში გარუსების პოლიტიკის საწინააღმდეგოდ და გასაქარწყლებლად ჩაისახა ძლიერი ეროვნული გრძნობა (დრამა „სამშობლო“) პოეტმა დასწერა ლექსი: „ორი შენობა“ და სწორედ ამ ლექსში გამოთქვა თავისი აზრი საქართველოს ძველის და ახლის შესახებ. რა გათენდება, პოეტი ორს შენობას ხედავს. ერთს მათგანში სიცოცხლე და მოძრაობა სჩანს, მეორე კი საფლავსავით გაუსულია. თვისი გარეგნობით, თვისი წალკოტით, და მდელოთი ახალი შენობა იზიდავს მგზავრის თვალს.

„მაგრამ მის კედელს, ამ დროს ნაშენს,
მის კირსა და ქვას,
ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი
და არც ღონე აქვს“.

ამ შენობას სეტყვა და ქარი დაარღვევს და მისი ნანგრევნი დედამიწის ზურგიდამ გაჰქრებიან. მასთან ერთად გაქრება მისი კვალი და მისი ხსენება: „არ აქვს წარსული, მომავალი მას არ ექნება“.. მეორე შენობა წინაპართაგან აღშენებულია და დროით სავსეა... მაგრამ ეს შენობა საბრალო შესახედავია: უპატრონოა, აოხრებული და დახავსებული. მის შუაგულში ბალახია ამოსული; მისი არე-მარე ეკლით და შამბით მოცულია. ეს შენობა შვიდასის წლის შენობაა. ის მაინც მაგრად სდგას, არ ეშინია არც დროთ ბრუნვის, არც ქარიშხლისა. მისი კედლებიც რომ დაინგრეს, ნაშთნი მაინც დარჩებიან:

„დარჩება მისი საუკუნო ქვეყნად ხსენება...
მაგრამ დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება!“

ქართველთა ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში (ახალი შენობა) ისეთს პირობებში მიმდინარეობდა, რომელნიც მათს ეროვნულს განვითარებას ხელს არ უწყობდნენ. ამ ცხოვრებას არ ასაზრდოებდა თვით არსებობის ცხოველი წყარო. ის ისეთს გზაზე იყო დამდგარი, რომელსაც ქართველი ერი უტყუარ გადაშენებისაკენ მიჰყავდა... ქართველების ზრუნვა და მეცადინეობა საზოგადო განვითარებისა და ეროვნული არსებობის უზრუნველყოფისათვის იყო მკრთალი და სუსტი... ეს, როგორც ქვემოდ დავინახავთ, რამდენადმე თვით ქართველების ბრალიც იყო. პოეტი შიშობდა, რომ ქართველების მიერ დაწყებული ახალი შენობა არ დანგრეულიყო. ყოველს შემთხვევაში ის ვერ შეედრება ძველს შენობას, აღშენებულს იმ დროს, ოდეს ქართველი ერი პოლიტიკური თვით არსებობის მადლით სტკბებოდა... ქართული ძველი კულტურა დროს შესაფერისად ძლიერი იყო. მხოლოდ აწინდელს ქართველებს არ აქვსთ შნო და ხალისი თავისი წარსულის კულტურის შესწავლისა, თორემ ეს კულტურა რომ სხვისი ყოფილიყო, ქვეყანა იხილავდა მრავალ ტომიანს თხზულებებს, ამ კულტურის შესასწავლად დაწერილს. გავიხსენოთ, რამდენი გამოკვლევა არსებობს რუსულად უმნიშვნელო თხზულების: „Хожденіе игум на Даніила“-ს გამოსაკვლევად!.. ჩვენში კი მშობლიურს არაფრად აფასებენ და აკაკის არ იყოს, „შინაური მრუდე არის, გარეული სწო-

რია“... ამისდა მიუხედავად, პოეტი იმედს არ ჰკარგავს და ბრძანებს: „დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნებაო“. უქმად არ ჩაივლის მამა-პაპათა ღვაწლი, მათი საქმეების გაცნობა ქართველობას ოდესმე გამოაღვიძებს და ხელს მოაკიდებინებს სერიოზული მუშაობისათვის თვისის გონებრივი, ზნეობრივი და ნივთიერი კეთილ-დღეობის და ეროვნული არსებობის უზრუნველყოფის მოსაპოებლად. გაიღვიძებს თვით შეგნება ქართველის ერისა, გაძლიერდება მისი თვით-ცნობიერება, და მაშინ თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერას დააკლებენ მას.

### დ. სამშობლოს აწმყო და მომავალი.

„მთის ქალი და მოგზაური“, ამ ლექსში გამოხატულია მთის ქალის სიყვარული სამშობლოს მიმართ. მოგზაური, რომელიც მოხიბლა მთის ქალის სიმშვენიერემ, სთხოვს უკანასკნელს მას მეუღლედ გაჰყვეს, აღუთქვამს ყოველს ბედნიერებას სატახტო ქალაქში, ზღვის ნაპირს, მთის ქალი გადაჭრით უარს ეუბნება:

„მე ჩემი ქოხი მირჩევნია შენს დიდს პალატსა,
შენს ყვავილთა წალკოტს, შვენიერსა და გულწარმტაცსა.
მე აქ ვშობილვარ, აქ გავზდილვარ, აქ უნდა მოვკვდე,
ჩემი სამარე უნდა იყოს ისევ დიდი კლდე!“

მთის ქალი გატაცებულია თვისი სამშობლოს მხოლოდ ფიზიკური სიყვარულით კი არა—ასეთი სიყვარული თვით პირუტყვებსაც კი აქვსთ,—არამედ შეგნებულის სიყვარულით, რომელსაც მთელს მისს ბუნებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და სამშობლოს ისტორიის ცოდნით დაგვირგვინებულია. მთის ქალს უყვარს მთელი საქართველო. მისი აწმყოთი, მომავლით და წარსულითა. ის არ ჰგავს რაფიელ ერისთავის იმ ხევსურს, რომელსაც მხოლოდ თავისი სალი კლდეები და თავისი ბუდე უყვარს... მთის ქალი ეუბნება მოგზაურს:

„როდესაც ხოლმე მის (მყინვარის) გადასვლა მე მომიხდება,
ვხედავ ჩემ თვალწინ საქართველო გადაშლილია,
რა ბუნებითა, რა სიტურფით შემოსილია!
მარცხნით კახეთი, მარჯვნით ქართლი, უკან იმერი,
მიდგას თვალწინა თითქმის მთელი ძველი ივერი!
ან კი რად მინდა მე სამშობლოდ უცხო ქვეყნები,
თუ ვერა ვხედავ ფრიალოზე თამარის ციხეს
და დიდს ტაძარში გამოხატულს მის ნათელს სახეს.
მამამ ცოტა რამ მომცა სწავლა და განათლება
დედამ კი გულში ჩამინერგა მე საღმრთო მცნება
მოვალეობა დიდი დიაცთ, გზის არ შეცდომა,
გულის სიწმინდე და სიმშვიდე, შურის შორს დგომა,
გლეხებთან ძმობა, შეწყალება ქვრივ-ოხერისა
და სიყვარული. ჩვენის მიწის ჩვენის კერისა,
პატივისცემა მოხუცისა და მისი სმენა
და რუსთაველის შვენიერი და ტკბილი ენა!“

ამ ღრმა აზროვანს სიტყვებს განმარტება არ ეჭირვება. მთელს ამ ლექსში არაა გამოხატული თვის სამშობლოს მიმართი იწრო, შეუგნებელი სიყვარული (შოვინიზმი), რომელიც აიძულებს ერთი ერის შვილთ სძულდეთ მეორე ერის შვილნი: არა, მასში გამოხატულია ბუნებრივი გრძნობა და ის ჭეშმარიტება, რომ თითოეული ადამიანი ბედნიერად და ჯანსაღად გრძნობს თავის თავს თვის მიწა-წყალზე, თვისი მშობლიური ბუნების ჰაერით გარე შემორტყმული, ენატრება თვის თანა ერთ ტომის შვილთა შორის ცხოვრება. აქ მას თვით ტანჯვაც უადვილდება და სიკვდილიც კი ნეტარებად მიაჩნია...

„ხმა სამშობლო ქვეყნისა“... ამ ლექსში სამშობლო (საქართველო) ეუბნება თავისს შვილებს, რომ ის ღმერთმა დაბადა

„სიმდიდრით სავსე...“
მაგარის ხელით
ჩემი წიაღი ამოიკვლიეთ;
ნუ გეძნელებათ,
ნუ გებრკოლებათ,
ყოველს სიძნელეს შრომითა სძლიეთ.
ძენო იგონეთ,
ოფლით იშრომეთ:
ოფლით, შრომითა აღმოცენდება
ტკბილი ნაყოფი,
ჩემს მკერდში მყოფი;
თქვენთვის არს იგი, სხვას ნუ დარჩება!“

მართლაც სიღარიბის და დაბეჩავების მიზეზია სიზარმაცე და უზრუნველობა... ზარმაცი ერი ცხოვრების მსვლელობას უკან ჩამორჩება და ბოლოს გადაშენებას ვერ ასცდება. მისი ავლა-დიდება, მისი სამკვიდრო სხვა, უფრო გონიერს და მშრომელს ერს დარჩება. ტყუილად ხომ არ სთქვა შოთამ:

უცებნი (უვიცნი) მოსრნეს (მოსპოს) მცოდნეთა
ცოდნამან, ხელოვნებამან.

საქართველოს ბუნება მდიდარია. აუარებელი განძია ჩამარხული მის წიაღში. ქართველმა უნდა შეიძინოს განათლება, შეისწავლოს თვისი სამშობლოს ბუნება და მისი სიმდიდრე, გამოიკვლიოს მისი წიაღი და უპირველეს ყოვლისა თვით ისარგებლოს იმ მიწის სიმდიდრით, რომელიც უხვად მორწყულია მის მამაპაპის სისხლით და გაპოხიერებულია მის წინაპართა ძვლებით. ამის მეოხებით ის წელში გაიმართება, გაღონიერდება, ნივთიერი სახსარი შეეძინება... ხომ ამასვე გვიმოძღვრებს ბრძნული ქართული ანდაზა: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“?!

**ილ. ფერაძე.**

(შემდეგი იქნება)

# როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ჭაობი

ბედნიერი იყო მწყემსი ალესო. არ იცოდა მან ის, რაც ჩვენ ეხლა ვიცით. რაც დილიდამ საღამომდე ჩვენს გულის ოხვრას შეადგენს.

იცოდა მან მხოლოდ დილის სიცილი, საღამოს მინაბული თვალეზი, მთვარის სიზმრები, ქუხილი—გრგვინვა გულისა, ბნელი ღამე—ვით უძირო გამოცანა, მთის წვერვალი, სადაც ის ინახავდა თვის სალამურს და ბარი, რომელიც მას თვის ქალა-ტყით ბანს ეუბნებოდა.

ხშირად, ძრიელ ხშირათ დაუბამს მას თვის სალამურის ჰანგებზე ცელქი ნიავი, მთის ქორბუდა ირემი, მინდვრის ჯეირანი, მაგრამ თვით კი ყოველთვის თავისუფალი იყო, როგორც ნატვრა.

წელი წელს მისდევდა, საუკუნე საუკუნეს აღარ ახსოვდა, მაგრამ ალესო, ეს განგების შვილი, მაინც მწყსიდა თვის ფარას ლალ-მინდორ-მთებში.

ერთხელ მან ჩვეულებრივ შეშალა თვისი სამწყსო მთის ქედებზე, თვით კი ავიდა წვერვალზე, რომ აქედამ აემღერებინა სალამური, აეთამაშებინა ჯიხვი, მიერწ-მოერწო მთის ბალახი. და აჰა, დაადვა თვის თითები გულის სიზმრებს და აალაპარაკა ფიქრები. მღერის მთა, მღერის ბარი,

თრთის მინდორი, ყვავილთა გუნდრუკი იცრება ზესთა-ზე ტრაპეზზე.

„დიდება მწყემსს ალესოს!"
„დიდება და სიხარული;"
„მადლი მის სალამურს!"

ეხმაურებიან ჰანგებს მთის სალი კლდეები, ყოველი ბგერა სალამურისა მიდის შორს, შორს, თავს ევლება ლამაზ მიდამოს და კვლავ ბრუნდება ალესოსთან, რომ პასუხი მოუტანოს მის გულს, მის ლაპარაკს.

„დიდება მწყემსს ალესოს!"
„დიდება და სიხარული!"
„მადლი მის სალამურს!"

ეხვეოდა ნიავი ფურჩულით ალესოს თითებს. მაგრამ ამ ხმებში მოისმოდა ერთი ხმა, რომელიც აქნობამდე არ გაეგონა ალესოს, რომელსაც არ შეხვედროდა აქნობამდე მისი სალამურის მფრინავი ჰანგი და არც გამოლაპარაკება მას აქნობამდე.

ტკბილი და საამური იყო ეს ხმა: ის ჰკოცნიდა სალამურის თვლებს, ეხვეოდა თვით სალამურს და ნელნელა. ეშვებოდა ალესის გულში. შეიცვალა თვით სალამურის ჰანგიც. ტკბილმა ნაღველმა შემოუარა გარს მხიარულ ჰანგებს და შეახვია ის- როგორც ვარდი საღამოს ბინდმა.

პირველათ იგრძნო ამ წუთს ალესომ ობლობა მთისა, ობლობა ბარისა, ობლობა თვისი თავის. პირველათ დაინახა მან, რომ უგულო იყო ბალახთა თრთოლა, ყვავილთა კისკასი, წყაროს სკრიალი, რომ ის, რაც მის გულში ლაპარაკობდა არ იყო არსად, რომ სალამურის მხიარული ჰანგები სჭკნებოდნენ ნელნელა მის ნაღვლიან ფიქრებზე.

„ოოხ", ამოიკვნესა ალესომ ღრმათ, და აკვნესა სალამური.

ის მას ეძახდა და ეს იყო პირველი კვნესა **იმისათვის**...

საშინელი რამ იყო ეს კვნესა, მან ელვასავით გაურბინა მთის წვერვალებს, და გაკვეთა ღრუბლები.

იჭექა ცამ, ადგა გრიგალი. გმინავდა დედა-მიწა.

ისიც ალესოს სალამურთან ერთად ეძახდა მას...

და აი, როდესაც ჩადგა ჭექა-ქუხილი, ალესომ დაინახა **ის**: უბრალო ლამაზი მთის ყვავილი, რომელიც აქნობამდე ყინულ ქვეშ იყო მიმალული.

ალესოს სალამურმა დაადნო ბორკილი ყვავილისა.

ალესოს სალამურმა იპოვა **ის**, რომელიც მის გულს ეძახდა, რომელიც სალამურს ელაპარაკებოდა, მაგრამ ალესო კი ვერ იცნობდა მას აქნობამდე.

მაშინ აამღერა სალამური მხიარულათ ალესომ:

„შენ ხარ ყვავილი,
მთაზე დარგული,
შენ დაგეძებდა,
გნატრობდა გული.
შენა ხარ წყარო,
ტკბილ სანეტარო;
შენ გიმღერ ფსალმუნს,
წმინდა ტაძარო!
შენ ხარ მთის შვილი,
ნაზათ გაზდილი,
წმინდა, უმანკო,
ბავშვის სიცილი!

მღეროდა ალესოს სალამური.

მთის ყვავილი კი იშლებოდა მის ჰანგებზე, იზრდებოდა ლაღად და იცინოდა; იცინოდა, როგორც ბავშვი, როგორც თვით ნაკადული, რომელიც მის ფესვებიდამ გამოჩუხჩუხებდა.

ელვაზე უსწრაფეს მოეფინა სალამურის ხმა მთასა და ბარს, მან ამცნო ქვეყანას:

რომ ერთი მთის მაღალ წვერზე
ყვავილი რამ ამოსულა,
რომ პირველათ ეს ყვავილი
მწყემს ალესომ ინახულა.
საკვირველი მცენარეა:
ყველას გულზე იფურჩქნება,
მოვიდეს და ინახულოს,
ვისაც უნდა უკვდავება!

მღეროდა ალესოს სალამური და ატყობინებდა ყველას სასიამოვნო ამბავს.

და ყველაზე უპირველესათ მის ჰანგს ყური მოჰკრა მკერვალმა ქალმა, ის მეტის-მეტი შრომა სიღარიბისაგან, მოღრუბლული, ფერ-მკრთალი, როგორც უდროვოთ მოწყვეტილი ია, იჯდა თვის პაწია ქოხში ამ დროს და მღეროდა ნაღვლიანათ:

გულსაფარს ცრემლით ვასველებ—
საკერავს დაედინება,
საბანსა ვქარგავ ფარჩისას
მე კი არ დამეფინება.
ნემსი მუშაობს—ნემსივით
ნაღველი მჩხვლეტავს გულშია,
ჯანი და ღონე ილევა,
ილევა ლუკმა პურშია.

მღეროდა მკერავი ქალი, მაგრამ უცებ ცრემლისაგან დასველებულს მის გულსაფარზე ათამაშდა ალესოს სალამურის ჰანგი:

შენ ხარ მთის შვილი,
ნაზათ გაზდილი,
წმინდა, უმანკო,
ბავშვის სიცილი...

„ნუთუ ქვეყანაზე არის სიცილი... სიცილი უმანკო"?...

დაეკითხა ქალი ალესოს ჰანგს და სალამურის ხმაში ისეთი წკრიალი შემოესმა, რომ თვითაც გაიღიმა.

მის გულს ეძახდა ის იდუმალი ხმა, რის ფერმკრთალ ლოყას მთის ბალახი იდუმალათ ელამუნებოდა.

ქალმა დაუშვა ძირს საკერავი და დაუგდო ყური თვის გულის ბაასს.

დღიდგან თვისის გაჩენისა პირველათ იგრძნო მან, რომ შესაძლებელია მისი გულიც ტკბილათ ატოკდეს, ტკბილათ თრთოდეს.

„მე მასთან წავალ! ჩაელაპარაკა ის შუქს, რომელიც მის გულს მოჰხვევნოდა და მოავლო თვალი თვის დაღვრემილ მონას.

ოთახის ნახევრათ ბნელ კუთხიდამ ვილაც აჩრდილი აწვდიდა მას პურს გაშვერილი ხელით.

„იყავ წყეული!" შესძახა მან აჩრდილს და გაიჭრა გარეთ.

„ჩემკენ წამო, ჩემთან მოდი,
ჩემს გულ-მკერდზე მოისვენე,
მწუხრზე მზეებრ ჩამო გულში,
დილით მზეებრ გაითენე",

მღეროდა მთის ყვავილი ალესოს სალამურზე და იტაცებდა თვისკენ ყველა მას, ვინც პირველათ იგრძნო მის ხმაზე უმანკო გულის სიცილი.

„მე მას თან წავიყვან!"... წაიფურჩულა ქალმა და შეიჭრა გზის პირას მდგარ სამჭედლოში:

ახალგაზრდა მჭედელი გელია—ნახევრათ ტიტველი, მთლათ ოფლში გავლებული ამ დროს ლომივით ებრძოდა გავარვარებულ რკინას. რამდენიც უფრო ურჩობდა რკინა და არ ემორჩილებოდა მის კვერს, იმდენათ უფრო მძლავრათ იბერებოდნენ მჭედლის მკლავზე კუნთები, ამ კუნთებში დუღდა ფოლადი, რომელიც ცეცხლის წითელი ნაკადულივით

მიდიოდა ძარღვებში, ძარღვებიდამ გადადიოდა კვერზე და აქ შეკუმშული, კვლავ შემაგრებული, როგორც მისი კუნთები, ეშვებოდა ელვარე რკინაზე, რომელიც ვარსკვლავის სხივებივით ჰფანტავდა ნაპერწკლებს ჰაერში.

„იქით! გესმის, იქით!“ შეაშტერა ქალმა გელიას აღგზნებული თვალები და ხელი გაუშვირა მთისკენ, საიდამაც მოისმოდა სალამურის ხმა.

გელია შედგა, ჩააშტერდა ქალს თვალებში დაუგდო ყური სალამურს და გაიღიმა, გაიღვიძეს მისმა დაფოლადებულმა ტუჩებმა, ეს იყო მისი გამთბარი, გალღუებული გულის ნაპერწკალი. ნაზი იყო ხმა სალამურისა, მაგრამ უფრო მძლავრი, ვიდრე მისი კვერი...

ეხლა მას მხოლოთ სალამურის ხმა კი არ ესმოდა—ესმოდა როგორ მღეროდა მის ანგებში ქალის ღიმილი, მისი ათრთოლებული მკერდი. მან წადგა წინ ნაბიჯი და იდუმალი ჰანგი ჩაიკრა რკინასავით მაგარ მკლავებში.

* * *

ისინი უკვე მთაზე იყვნენ და მთის ბალახთან ერთად მღეროდნენ ალესოს სალამურზე.

მაგრამ მარტო ისინი არ იყვნენ აქ. აქ იყო გულდაკოდილი მეომარი, რომელიც მთის ყვავილის ფურცლებით იგრილებდა იარებს, იყო აქ უიმედო ავადმყოფი, რომელიც სალამურის ყოველ ჰანგზე უბრუნდებოდა სიცოცხლეს, უბრუნდებოდა იმედს... იყო აქ მეცნიერი, რომელსაც თვისი დღენი დაელია იმაში, რომ აეხადა ფარდა **უხილავისა** და ხილულ ექმნა იგი კაცთათვის, მაგრამ... ამაოთ. ის ეხლა ჰალარა შერთული ლომივით იწვა ყვავილის ფესვებიდამ მოჩუხჩუხე წყაროს პირს და ყურს უგდებდა ვით ლაპარაკობდა **ის**. ფარდა უხილავისა ახდილიყო... მოსულიყო აქ დაყუდებული, განდგომილი ამა ქვეყნიდამ, გასული უდაბნოდ. მას კერპი თვისი მიეტოვებინა ქართათვის და ახლა უგალობდა ფსალმუნს მთასა წმინდასა. იყო აქ გლახაკი, რომელიც ახლა მედიდურათ გადაჰყურებდა ძირს გადაშლილ მდიდარ ქალაქ-დაბებს. აქ იყო ყველა ის: ვისაც სალამურის ჰანგმა გაუფანტა გულში ჩაწოლილი სევდა.

„დიდება მწყემს ალესოს!“

„ვაშა მთის ყვავილს!“

გრგვინავდა ერი და გახვეული ტკბილ ჰანგებს გალობდა სალამურთან ერთად ფსალმუნს:

„ვინა აღვიდეს მთასა წმინდასა
და შეიმოსოს ვითა უფალი,
ვინ უყოფს ამბორს ყვავილს მთისასა
მუნით ხელთ იპყრას ძალთა რამ ძალი!
ჰანგთ საფეხურზე ავედით წვერვალს,
მთისა წყაროში სევდა ილესოს,
დიდება ყვავილს, ყვავილს მთისასა,
დიდება მწყემსსა, მწყემსსა ალესოს!“

მომღერლების მკერდზე ნიავი ათამაშებდა ყვავილის ფურცელს და ჰანგს სალამურისას.

ჩაჰკვროდა ალესოს გულსა ყვავილი, ჩაჰკვროდა ისე, თითქოს სამუდამოთ აღარ აპირებდა განშორებოდა მის მკერდს, მას იქ გაედგა ფესვები, ის იქ ალესოს გულში ჰსვამდა ნექტარს და აფეთქებული მის გულის წიაღში ჰქარგავდა ალესოს სალამურს ყვავილებით.

თვით მთის წვერვალი თანდათან იზრდებოდა, მიდიოდა მაღლა, მას თითქოს ჰსუროდა ცას ზევიდამ მოჰქცეოდა, მას

ჰსურდა ევლო ასე უსაზღვრო სიმაღლისაკენ და მიდიოდა ის ზევით, ისე, როგორც თვით ალესოს სალამურის ჰანგები, როგორც მიწაზე დაბმული აწყვეტილი სიყვარული, რომელიც მთის ყვავილის ფურცლებში თამაშობდა და მიჰქროდა დაუსაბამო სივრცეში.

სწორედ ამ დროს მთას ახალი სტუმარი ეწვია. სტუმარი მთაზე მჭედელ გელიას გაკაფულ ბილიკით ამოვიდა. სახე მისი გოროზი იყო და თვალნი მისნი მედიდურათ გამოიყურებოდნენ. მაგრამ როდესაც მან დაინახა მთის ყვავილი, ის ათრთოლდა, წადგა მისკენ ნაბიჯი, წაატანა ხელი, მაგრამ ყვავილი ლანდივით უსხლტებოდა მის თითებს. ხოლო სურვილი ყვავილის მოწყვეტისა უფრო და უფრო ძლიერდებოდა მის გულში, მაგრამ ამაოთ... ყვავილი ალესოს ჰანგთან მიდიოდა ზევით... ისევ ზევით.

„შენ ჩემი იქნები!“ შესძახა მან და მიჰმართა გვერდზე მდგომ გლახას, რომელსაც ყვავილის ფურცელი უმშვენებდა გულს:

„ეი, შენ, მოწყვიტე ჩემთვის ეს ყვავილი!“ გლახამ დუმილით უპასუხა.

„მაშ შენ“!.. მიუბრუნდა მჭედელს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო—გელია მთის ყვავილს ჰკოცნიდა.

„არც შენ?“ შეეკითხა იგი ქალს, რომელიც ნაზათ მოსვენებულიყო გელიას მკლავზე.

ისევ დუმილი...

სალამური კი კვლავ მღეროდა, კვლავ დასტრიალებდნენ მთის წვერვალს მისი ჰანგები.

„ხა, ხა, ხა, ხა, ხა!“ გაიცინა საზარელის ხმით ახლათ მოსულმა და გაიცინა ისე, თითქოს გაიცინა მთის წვერვალზე კი არა, არამედ მიწის წიაღში, იქ შავს ჰურღმულში. მის ხმაში, მის სიცილში დნებოდა ქვა, დნებოდა ლითონი, და მისი სიცილი გადაქცეული ცეცხლათ და ორთქლათ აქანებდნენ დედამიწას აქეთ-იქით.

„ის ჩემი იქნება!“ წარმოსთქვა მან კიდევ ხარხარით და გადააბნია მთის წვერვალს ოქრობი.

ყვითელმა ლითონმა გაიწკრიალა ჰაერში და მოებნა გარშემო მთის ყვავილს. და ამავე წუთს აირია ყველაფერი ერთმანეთში. მეომარი, რომელიც აქნობამდე მუხლმოდრეკილი იდგა მთის ყვავილთან, წამოიჭრა ზეზე, იშიშვლა ხმალი და დაუწყო კაფვა მარცხნივ და მარჯვნივ... ის გზას იკვლევდა ოქროებისკენ. გლახა გულზე დაცემული ლოდივით ჰკრეფდა ლითონს და თვალებ გაელვარებულმა მჭედელმა ისეთის სიძლიერით გასტყორცნა ქალი, რომ საბრალო კლდის ნაპრალში გადაექანა. თვით კი იმავე ლითონს მიეტანა ასაკრეფათ.

დინჯი მეცნიერი ჯომარდ მობურთალივით გასდევდა ლითონს და მშვიდი განდეგილი აფთრის კლანჭებით ომობდა.

ითელებოდა მთის წვერვალი, მთის ყვავილზე ნამის ცვარებს ეპკურებოდა სისხლი. ერთი მეორეზე გადადიოდა, ერთი მეორეს უღადრავდა თავ-პირს და ალრჩობდა გააფთრებული. თვითეული ლითონი ხელიდამ ხელში გადადიოდა. ხან ერთს, ხან მეორეს ევსებოდა ულევ ოქროთი ჯიბე-უბე, მაგრამ გაჩნდებოდა თუ არა მას კისერზე ვისიმე მაზე უფრო ლონიერის ფრჩხალები, ის ისევ ცარიელი რჩებოდა.

„ჰო განშორდი სულო ბოროტო,
განშორდი ადგილს ამას წმინდასა,
ნუ ჰბილწავ შენი არამი ფეხით,
ყვავილს უფლისას, ყვავილს მთისასა!
ბელზებელო, ორთქლ-ცეცხლის შვილო,
თვითონ მშობელო ჯოჯოხეთისა,
განშორდი ადგილს, ადგილს უფლისას,
ნუ, ნუ ჰბილწავ ყვავილს მთისასა!“

გაიხმაურა წყევა კრულვითა ალესოს სალამურმა.

„ხა, ხა, ხა, ხა, ხა!“ უპასუხა სიცილით ახლათ მოსულმა და ამ სიცილში მოისმოდა გუგუნი დამდნარ ლითონისა, გუგუნი ცეცხლისა და ორთქლისა, რომელნიც ტიკინასავით ათამაშებდნენ დედამიწას.

„ოქრო! ოქრო!“

„სიკვდილი ალესოს!“

აგანგაშდა ბრბო და მისი თვალები ამ დროს წარმოადგენდა ერთს დიდ ელვარე რგოლს, რომელშიაც გამოსჩანდა წყურვილი ოქროსი, წყურვილი სისხლისა...

„ჩავქოლოთ! სიკვდილი ალესოს!“

დაიღრიალა ჯოჯოხეთმა და მთის წვერვალი შეიღება ალესოს სისხლით.

„ხა, ხა, ხა, ხა!“ მოისმოდა ქვათა ზუზუნში საზარელი ხარხარი, იცინოდა ბრბო, იცინოდნენ ქვები, იცინოდა თვით ოქრო, რომელსაც ერთმანეთს სტაცებდნენ ხელში ადამიანები.

მთის ყვავილმა დახარა თავი ძირს და ახლათ მოსულმა შებოჭა ის თვის ფრჩხალებში.

დაჰკრა უკანასკნელათ ალესოს სალამურმაც, დაჰკრა ჰანგი ქვათა ზუზუნში ალესოსთან სამუდამოთ გამომშვიდობებისა, წაიღო ალესოს გულიდამ მოწყვეტილი ოხვრა, და გადასცა ნიავსა და ქარიშხალს.

ეს სული იყო ალესოსი, ის სტოვებდა გამწარებულს, სიძულვილით ავსებულს გულს და მიდიოდა შორს, შორს მიუწდომელ სივრცეში, რომ არაოდეს აღარ დაჰბრუნებოდა დედამიწას.

გაპნეულ ოქროს გარშემო კი კვლავ მოისმოდა ხრიალი, კვნესა და საშინელი ხარხარი.

„შენამც გადაქცეულხარ ჰაობათ!“

დაიკვნესა უკანასკნელათ ალესომ, მოისვენა სალამური მკერდზე და დახუჭა სამუდამოთ თვალები.

წვერვალი მთისა დაეშვა ძირს...

„ყა, ყა, ყა“... აყიყინდნენ ბაყაყები,
„სსსსს“... ასისინდნენ გველები.
აირია ჰაი-ლუა...

აშმორებულ მწვანის ზედა პირზე თავმომწონეთ დასცურავდა ჯოჯო და იტკმანურებდა პირს პაწია ბუზებით.

მხოლოთ ერთათ-ერთი ლერწამი ამოვიდა ჰაობის შუა გულში, აიყარა მაღლა; და მიაშტერა ცას სევდიანი თვალები.

ის ეძახოდა ალესოს... ის ისევ ალესოს ეძახოდა.

ი. ევდოშვილი.

# ოცნება და სინამდვილე

უძ. გ. ქუჩიშვილსა და ან. კილასონიას.

(ფანტაზია ორ სურათად)

## სურათი პირველი

სად ზურმუხტ ჯუბით მოქარგულნი კოპწია ბორცვნი
ვითარც ძუძუნი აზიდულან თვალის წარმტაცად,
ფირუზსა ცას გაუმხელენ პირველ ხვაშიადს
თან იპკურებენ აიაზმას მარგალიტის ცვრად;
სად მოკიაფე მთიებისა ვერცხლის დალალნი
ჯავარ-აყრილსა საბალნაროს ჩაჰკონებიან;
მათი სხივებით დაფერილნი ღრუბლის ქულანი
ცად ატყორცნილსა მარმარილოს დამსგავსებიან;
სად ნაკადული, ცვარ ანკარა, სალ კლდის ნაჟური
ჩუხჩუხით მოსჩქეფს ბექობებზე, ცელქობს მოლხაზად,
ვარდ-ზამბახ—ია, ნარგიზი და იასამანი
ვით გულის სატრფო შეჰფოფინებს ცის კულ-მკერდს ნაზად;
სადაც ნიავი, მოხიბლული ნექტარის წამით
ბულბულს შეჰქმნია რაყიფადა—ვარდს ეცილება,
ხან გაუკოცნის ქურდულადა ტუჩ პობილ კუკურს,
ხანც ციურ არსთა საგალობლით ეფსალმუნება,—
მუნ ზე გარდამო მადლითა და ნიჭით ცხებული
გადმომდგარიყო პირ-მწყაზარი გრძნობის მგოსანი
და კრიმანჭულით, სიმფონიურ ხმათა წკრიალით
ჰგალობდა ტკბილად, ვითარცა გზის უცხო ფრთოსანი.
— ვიშ, პოეზიის-თაიგულად შეკონილ მხარეს,
სულის წარმტყვევნელს, საოცნებოდ ფიქრთა ამშლელსა,
ფერად-ფერადად ისმის ფრთოსანთ ჭიკჭიკ-სტვენა
ყვავილთა ბუჩქნი ამშვენებენ მის სარეცელსა.
აგერ მთოვარე, ნელ მოვარე, დისკო გადახრით,
ამაყ გედივით მისრიალებს ლაჟვარდსა ცაზე,
იმის ეშხისგან აყვავილდნენ ცთომილ—ვარსკვლავნი
და ციმციმითა ჩამომწკრივდნენ ვრცელ რძისა გზაზე *).

---

*) რძის გზა—ცაზე გავლებული სითეთრე. მდაბიო ხალხი უწოდებს ირმის ნახტომს.

მოკვდავსა უცხოდ მოქარგულსა სურათთა მზერით
გული მიხარის, „მავიწყდება საწუთროება"
და ვით ჰანგები ეფინება კრიალა ცასა,
ისე ზენაართ სამყოფისკენ მიჰქრის ოცნება.

დროვ, უსრულებელ ჟამთა სრბოლისა,
ნუ, ნუ მიფრინავ გამალებითა,
შესდექ, დამტოვე მარად ჭაბუკად
დამატკბე ციურ ნეტარებითა.

შენი ბუნება,
ოცნების გრძნება
აფერადებულ-აყვავებულა
შენს ბულბულსა,
ეშხით მორჭმულსა
მუსიკთა უტკბეს აჩქამებულა.

თვით მყინვარიც კი ექსტაზში მოდის
მთვარის სხივების ამბორებითა,
და ილამაზებს თვალ შეუვალ თხემს
ყინვისგან ნაკვეთ ვარაყებითა.

მეც, გრძნობის მეფემ, მსურს გავიხარო,
შევსვა ნექტარი უკვდავებისა,
ციურ მნათობებს დაუკავშირდე
გავხდე თავადი ლხენა შვებისა.

როგორც ნიავმა, მსუბუქის ფრთით ლაღად მფრინავმა
აალივლივოს ტბის ტალღები მოვერცხლებული,—
ეგრეთ სიმღერამ უმშვენივრეს ფერიებისამ
აუმღელვარა ახალ-გაზდას სათუთი გული.

**ფერიები.** ყრმაო, ყრმაო, ტან ზარიფო,
რად უმონებ ფიქრებს თავსა,
მიუწდომელ ნატვრაშია
რისთვის ჰკარგავ ძვირფას წამსა?

ჩვენსკენ ჰქროდე დაყრდნობილი
ოცნებისა ოქროს ფრთაზე,
ჩვენში არის უნაკლულოდ
სინარნარე, სილამაზე.

**მგოსანი.** ვინა, ვინა ხართ, მოვლენილნო ანაზდეულად,
ვინ ამითრთოლეთ უცნაურად სმენის სიმები?
სულის ტრფიალმა ფრთა აისხა ჰაეროვანი,
გული ზღვად მექცა, ამჩქეფარდა გრძნობის სიმები.

თუ აქამდისინ ტკბილად მიჩნდა ქვეყნად ცხოვრება,
აწ მეჩვენება ბიბლიურის ედემის დარად,
ოცნების კოცნამ ფაქიზ გრძნობას მიუძღვნა შვებში,
გარდავიქეცი მოწკრიალე სფეროსის ქნარად.

ვითარ მოგიძღვნათ, მშვენიერნო, ქებათ-ქებანი
ორძალი ჩემი თქვენს საქებრად ვერ გამოდგება,
ელვა გამკრთობი თქვენს ბაგეთა ნაზი ღიმილი
მოკვდავისაგან ვერაოდეს ვერ დაფასდება.

რაც თქვენ გამოჩნდით, სირთ შეწყვიტეს ტკბილი მაყრული,
მთიები ველარ აბრწყინებენ ლეჟვარდსა ცასა,
ვარდი თქვენს ლაწვთა მომშურნობით ფერს ჰკარგავს, სჭკნება,
ციმციმ-კრიალი აღარ გააქვს სუმბულზე ცვარსა.
რაც ნარნარობს,
ბრწყინავს, ნაზობს
მოკეკლუცობს,
მოკისკასობს,
თქვენს წინაშე იჩრდილება,
როგორც მზესთან ვარსკვლავთ კრება.
მე როგორღა მოგწვდეთ თქვენ,
მავიწყდება ალმა-ფრენა,
ვიწვი ვნების სხივთა გზნებით,
ვაჰ, ვილუპვი თქვენის გრძნებით.

**პირველი ფერია.**

ოხ, მარტვილო, უსუსურო, ქურციკივით რასა კრთები?
სიყვარულის ფერიებსა ეგრე რისთვის უშინდები?
აგერ ჩემი დაიები ვით მღერიან ტკბილი ხმითა,
მოქნილ რხევით ცეკვაობენ უბიწოო კისკისითა.

წამო ჩვენთან, ბალ-წალკოტში მოგიკრეფავთ ფურჩქვნილ სუმბულს,
უკვდავების მგოსნად გაქცევ, მოგანიჭებ ჰანგსა გრძნეულს.
საუცხოვო ფსალმუნებით განაცვიფრებ მთა და პარსა,
შურით სიმნი დასწყდებიან ეოლოსის გრძნეულ ქნარსა.
ჰა, იპკურე ბალსამოსი ბროლ-ფიქალის ფიალითა,
სილამაზის ზღვის ტალღებში შესრიალდი ტრფიალითა.

**მგოსანი.** ოხ, განაგრძევი, კვლავ განაგრძე, უცხო მშვენებავ,
ზღაპრულ სურათთა გარდამშლელი ეგ საუბარი
წარმტაცი არის. ცის წიაღზე იათ შლილობა,
ხოლო იმაზე მომხიბლავი შენ ხმის ნარნარი.

იყავი ჩემი, ჰე მშვენებავ, გვედრი, გენუკვი
არ ჩამომშორდე ტკბობის სურვით დამონებულსა,
ოდნავი შენი დაშორება, სარცევ სულისა,
გაპარტახებს იმედის ბაღს აყვავებულსა.

უცნობ არ ხარ, გნახე ერთხელ, მაგრამ სად, როდის?
შენთვის გაჭრილი მეჯნუნივით [1]) ხელად ვიდოდი
და თუ იყავი შენ ფერია ბედნიერების
უცხები შვილი დედა-მიწის რას მივხვდებოდი?

შენი ვარ, შენი უცხო-ზექალო,
მიიღე აჯა ჩემის გულისა,
შენს ლალის ტუჩებს მსურს ზედ დაადნეს
ამბორი ჩემის სიყვარულისა.

რაც მეპოვება წმინდა საუნჯე
კვარცხლ ბეკად გიფენ, გწირავ მსხვერპლადა
და ჩემი ფიქრი ერთია მხოლოდ:
გულის უფალო, შენი ვარ მთლადა!

---

ბედნიერების ნაზი ფერია
ყრმას ვნებით ღელვილს გულს მიიხუტებს,
აისხავს ფრთებს და მიეფარება
ფირუზოვანსა ეთერის ზვირთებს.

* * *

უცრივ, თითქოს სიწყვდიადე ჯოჯოხეთისა,
გულ-ქვა, ვერაგი ქარტეხილი აკვილონისა [2])
ხათხით-ხარხარი შემაზრზენელ ავ-სულეთისა
სისხლის გამყინი სუნთქვა ქშენა ლიბიტონისა [3]),—
ერთად შეერთდა, შეიკუმშა და საზარელი
წარმოშვეს არსი, სიშმაგისაგან შხამის მფრქვეველი.

---

[1]) მეჯნუნი—სიყვარულის გრძნობით აღგზნებული გმირი თეიმურაზ მეფის პოემისა ,,ლეილ-მეჯნუნიანისა''.

[2]) აკვილონი—ღმერთი გრიგალისა.

[3]) ლიბიტონი—ღმერთი სიკვდილისა.

**სატანა.**

ხა, ხა, ხა, ხა, ხა, უგუნური ადამის შვილი
კვლავ ეპირება უკვდავების მოპოებასა,
ჰსურის მსოფლიო ჰარმონიას შეუხმატკბილდეს
შემოქმედების ძალს სწირავდეს ქებათ-ქებასა.
სწადის აგოს სიყვარულის წმინდა ტაძარი
იქ, სად ვაპირებ ჯოჯოხეთის ბჭეთა აღმართვას,
ჰსურს ოცნებისა კვარცხლბეკადა ზეცა იხმაროს
მაშინ, როდესაც მას დრაკონი უპირებს დანთქვას.
არა, ვერ ჰპოვოს ვერასოდეს ადამიანმა
ქვეყანაზედა ნეტარება და უკვდავება,
უკვდავი არის მხოლოდ შური, სხვა ყოველივე
ბედის დაღმართზე სასიკვდილოდ მიექანება.
დღეს იმ მგოსანსაც თუმც იმედი ესალმუნება,
შორს არის მისგან კაეშანი და ურწმუნება,
მაგრამ ის მხოლოდ ოცნებისა არის ცთუნება,
წუთიც და ჩემის ჯადოსნობით დაითრგუნება.

## სურათი მეორე.

მწუხრი არის. წყვდიადსა
შთაუნთქავს არე-მარე,
გულისა ხვაშიადსა
პირ-გაბადრული მთვარე
არ უმხელს ვარსკვლავთ კრებულს
ხომლად გაბრწყინვალებულს.

ტბის ტალღას სთვლემს გრძნებითა,
გედთა ქარავანს სძინავს,
ნიავი ლაღ ფრთებითა
ველზე აღარ დაფრინავს.

ბროლ-თეთრ გულა ყვავილნი
ნაზად არ ირხევიან,
სურნელს ვით ტაბლას წმინდას
უხვად არ იკმევიან.

ძირს დახრილ კოკორზედა
ცის ცვარნი არა თრთიან,
ღამის დუმილში რაღაც
განსაცდელს მოელიან.

ვით ტიალ სასაფლაოს
ახლად გათხრილ სამარეს
ქალწული სულის უტკბესს
ძვირფასს მიჯნურს აბარებს,

ლილის-ფერ ლოყობს იხოჯს,
იგლეჯს ხუჭუჭ დალალებს,
სისხლის ცრემლების ტბაში
სწვავს შავ-მაყვალა თვალებს

განწირულის ქვითინით,
სულთქმის ურვა-გლოვითა,
სატრფოს გაყინულ ტუჩებს
ჰკოცნის ტუჩთა თრთოლვითა.

შემოქმედების ძალას
აღარ ემუდარება,
საყვედურს უთვლის, სწყევლის,
მედეას ედარება;—

სწორედ ასე ბნელ ტევრში
ბნელი ღამის მთეველი,

ზარნაშო გაჰკიოდა
გულის სატრფოს მძებნელი.
მისი მწუხარე ხმები
ცაში იფანტებოდა
და კაცთა სავალალოდ
სევდათ ქანდაკდებოდა.
მდინარე ამ ხმის მსმენი
შფოთავდა, იმღვრეოდა,
ფაფარს ჰშლიდა ქაფისას
სწრაფად მოზვირთდებოდა.
დაეშვებოდა გრგვინვით
ხევ-ხუვში ეშვებოდა,
მაგრამ კაეშნიან ხმებს
ვერას გზით ჰშორდებოდა.

---

ტიტანივით ზვიადი
შავი მთების გრეხილი
გატიტვლებულ თხემებით
ცათამდე აზჯენილი,—
ამ უმთვარო ღამეში
უფრო შავად მოსჩანდა,
მუნ გულისა მომწყვლელად
რაღაც ხმები ისმოდა.
ის მთის სახელი იყო:
„სავანე მგოდებელთა“
დასაბამიდან დღემდე
გაჩენის დღის მგობელთა.
ყველას, ვისაც ცხოვრება
ფუჭად ეჩვენებოდა,
არარაობა კაცთა
გულში ლახვრად ჰხვდებოდა.
ვინც ცხოვრებასთან კავშირს
გაწყვეტას აპირებდა,
ჟამის და სივრცის იქით
სრბოლას ეჩქარებოდა,—
ყველა სტოვებდა სოფელს,
აქეთკენ მოილტვოდა,
სოფლად შეუცნობელ სულს
აქ უმალ მოიხმობდა.

მათთან ერთად ხარხარით
ზარ-დამცემის ხმებითა
ჰიმნს ეტყოდა სატანას
სავსე თაყვანებითა.
იწამებდა, რომ მისი
არს მეუფება ქვეყნად,
რომ კაცთ იმედის მთები
იქცევა არარად... მტვრად.
რომ ქვეყნის დასაბამდის
სცოცხლობდა ლუციფელი,
რომ მისი გრძნებით სუფევს
ეს ცრუ წუთი-სოფელი.
იწამებდა რა ამას,
შეჰხედავდა ზიზღით ცას
და წყვდიადის ფრთებითა
წყევითა-ყვედრებითა
ცაში აიჭრებოდა
და არ ყოფნის მხარეში,
უსაზღვრო სამარეში
სწრაფად გადეშვებოდა.
შავ-მანტიით მოსილი
წყვდიადის პირმშო შვილი
მყრალი, გულ-ამღვრელი
მსახვრალ ცელ ამოწვდილი,
მუნ მოფრინდა სატანა
ყინვის მფრქვეველ ფრთებითა
და მთას გაეხმაურა
ჯოჯოხეთურ ხმებითა.
მთამაც სახე იცვალა,
ყვითელ ფრად შეიღება
და კვლავ ახალი მსხვერპლი
მორჩილად შეაგება.

*
* *

ლაჟვარდოვან რძის გზითა
ნარნარ ხმათა წკრიალით
ფერიებისა დასი
ოქროს თმათა ბრჭყვიალით
მიჰქროლავდნენ სწრაფადა
ვით ფიქრი მეოცნების

ვით მხედველნი *) სამყაროს
შემომქმედ-მეუფების.
სპეტაკ ღრუბლის ქულაზე
ნაზად მისვენებული
მიჰქონდათ თან მგოსანი
კენარ-დამშვენებული.
მთვარის სხივებისაგან
წმინდად ამოქარგული,
ცისარტყლის ფერადებით
უცხოთ დამშვენებული,
შავ ხუჭუჭა თმებზედა
ედგა გვირგვინი ნაზად;
შეჰშვენდა, შეჰფეროდა
ეთერის შვილის მსგავსად.
შავი მთიდან საზარი
სატანელის ხარხარი
ლაჟვარდოვანსა ცათა
აიკლანკა სწრაფათა,
ცისიერთ ჰარმონიას
უკვდავსა, მარადიულს,
ნაზ გრძნობათა პოემას
საოცნებოდ მოქარგულს,
ელვაზედ უსწრაფესად
მკაცრ აკორდათ შეერთო
და გაამეფა ზესკნელს
ჟამი საჯოჯოხეთო.
ბუნების მზერით დამტკბარს,
ნეტარება განცდილსა,
უმანკოდ მომცინარეს,
სიყრმის ვარდათ ფურჩქვნილსა
ყრმას რა ესმა ხარხარი,
მოსწყდა ცრემლი ობოლი,
ათრთოლდა... აკანკალდა,
ვითარც ვერხვის ფოთოლი.
იწყო მზერა იქითკენ,
საიდან ხმა ისმოდა
—ნუ, ნუ ცძებ შავს მთასა!
ნიმფა ევედრებოდა.
ცრემლებს სწმენდდა თვალთაგან,
გულში გრძნობით ეკვროდა.
—იცოდე, მთის დანახვა
ალგისპობს ნეტარებას,
სიცოცხლის ძაფს ჩაგიწყვეტს,
გაუფლებს მწუხარებას.
—ნუ მზერ საბრალო ბავშვო,
ნუ მზერ, ნუ გევედრებით,
საცაა საბალნაროს
ბუჩქნართ მივეფარებით.

მაგრამ ყრმას ფერიების ხმები აღარ ესმოდა,
სისხლ ნარევის ცრემლებით მდუღრად ილველფებოდა
მოსთქვამდა: ვაჰ მიმრიდა „შავ მთამ“ წრფელი ოცნება
კავშნით მომეწამლა მტკიცე სარწმუნოება.
ჩემის ყრმობის აკვანსა, ჩემსა მშობელს ქვეყანას
გარეწარი უმღერის ველურსა სულთათანას.
მათი ვაების ხმები ცაში ქანდაკდებიან.
მათი ალმოკვნესანი ბასრ მახვილად მხვდებიან.
ამ დროს შავი მთიდანა კვლავ მოისმა ხარხარი,
შავ-სხივებით განათდა მაღლა ცა, ძირს მთა-ბარი.
ყრმათა გუნდი სოფლიდან ლტოლვილთაგან შემდგარი,
სახე გვემულ ნატანჯი, შემაზრზენელ-შემზარი
უჩვეულო ქვითინით, სულთქმის ურვა-გლოვითა
ჩალურჯებულ თვალთაგან ნიანგის ცრემლთ ფრქვევითა,
არ ყოფნისა მხრისაკენ ზენაარის წყევითა
გადეშვნენ განაცრულნი ავს-სულთ მქეჯნავ ხმებითა.

*) მხედველნი—თვალები.

**მგოსანი.**

ვაი ჩემს ყოფნას, ვაი ჩემს თვალებს,
ამის მნახველმა ვით ლა ვიხარო,
ოცნების ფრთებზე მისვენებულმა
შვების ცრემლები ვით ლა დავღვარო.

მეგონა ქვეყნად ტრფიალის ღმერთი
ჰქსოვდა კაცთათვის ოცნების სიზმარს,
მეგონა ციურ ანგელოსთ დასი
აფსალმუნებდა დავითისა ქნარს.

მეგონა ღვთისა სახიერება
ცისკრისა სხივებს კიბეთ ჰხმარობდა
და ცამდე აწვდილ მთების თხემებთან
ვით გულის სწორთან ლაზღანდარობდა.

მეგონა წმინდა სიყვარულის ნიჰს
ყოველი ძალა ეუფლებოდა,
ბუნების მკერდზე ტრფობის პოემა
ციურის ცვრებით იწერებოდა.

ვაჰ, რასაც ჩემი ოცნება ჰხადდა,
ყოფილა მხოლოდ სიზმრის ნაყოფი
და განწირულსა ქვითინს მოუცავს
თანა-მოძმეთა სადგურ-სამყოფი.

წმინდა ტრფიალი—მხოლოდ ბგერაა
საგოდებელის ზღვაში ჩანთქმული,
მშვენიერება—სადა სახეა
მცდარ მზერისაგან გამოწვეული.

მარადისობა და უკვდავება
მოჩვენებაა ავადმყოფ ფიქრის,
უკვდავი არის არ ყოფნის მხარე
და ყველა არსიც იმისკენ მიჰქრის.

**ფერიები.**

ოხ, ყრმაო, ყრმაო, მოდი ცნობათა,
დემონიურ ხმას ნუ მიუგდებ ყურს,
აგერ, ნანატრი მხარე გამოჩნდა
გესმის? უსტვენენ ციურ სალამურს.

იქ ხელთ-უქმნელი ტახტი დაუდგავს
სამარადისო ყოფნის გაზაფხულს
ლექსთ წყობის ღმერთი შენთვისა ჰკონავს
პოეზიისა ნაზსა თაიგულსა.

მაშ, მოჰხიევი სულს სევდის ძაძა,
იმედის სხივით კვალად იკვებე,
სიმღერა მწყობრად ამოჰკიდევძ
ცელქი, გიჟმაჟი და მეოცნებე.

ნუ, ნუ ჰფიქრობ „შავსა მთაზე“
გეხვეწებით წმინდა ცრემლით,
თორემ წუთიც... და განწირულს
ვეღარაფერს ვერ გიშველით.

მალე დაჰკრავს ქარიშხალი,
მძლავრად მოგხვევს სუსხიან ფრთებს,
კოკობ-ვარდათ შლილ სიცოცხლეს
მქირდავივით გამომტაცებს.

**მგოსანი.** ეჰ ფერიებო, ოცნებისა ტკბილ სახსოვარნო,
ჩაქოთებულს გულს თქვენი რჩევა არ ეკარება.
უსაზღვრო სევდით დაიცარა გრძნობა-გონება,
სასოწარკვეთა საფლავიდან მეალერსება.

არღა მახარებს არაფერი... არრა მეფრთიოვნებს,
აღარ მწამს ხატად საეღემო მშვენიერება,
უკვდავი არის მხოლოდ წყევა, ბედითი კრულვა,
უკვდავი არის მარტოთ-მარტო ამაოება.

—

კაეშნის მთაზე შესაზარელ უფერო არსთა
კვლავ გააჩაღეს არე-მარე ყვითელ სხივებით,
კვლავ აღიტაცნენ შემაზრზენელ აღტყინებითა
კვლავ ახმაურდნენ ჯოჯოხეთურ ზარ-მხდომელ ხმებით,—
და ფერიების დასიდანა ურვით ლტოლვილი,
სათანაელის თილისმისა ბედ-კრული მსხვერპლი
კოცონში ჩასწვეს... ქარტეხილმა არ ყოფნის მხარეს
ზრიალ-ღრიალით გაიტაცა იმისი ფერფლი.

**დ. თურდოსპირელი.**

კიევი. დეკ., 1911 წ.

# გახრწნილი

(ვუძღვნი დაუვიწყარ მასწავლებლის მელიტონ იესეს ძის ჩოგავაძის ხსოვნას)

Ერთხელ ნავით წავედი სანადიროთ. მოულოდნელად აღელდა ზღვა, აგრგვინდა, აღრიალდა, მთებსავით ამართული ტალღები კიდით კიდემდე მრისხანეთ დაგორავდენ და კლდის ნაპრალებს შეუპოვრათ ეხეთქებოდენ. შეცძრწუნდი და ზენაარს შევევედრე სიკვდილის მსხვერპლი არ გავმხდარიყავ. ტალღებმა გამისროლეს უცნობ კუნძულზე.

მშიოდა, გავაჩინე ცეცხლი და შევსწვი გედი, რომელიც ზღვის პირას მოვკალ. უეცრივ ადამიანის ოხვრა მომესმა, დავინახე რაღაც არსება ჩემს ახლოს მოკრუნჩხულიყო და მიმქრალ თვალებით მომჩერებოდა, საშინელება რამ იყო; მაგრამ როდესაც კარგად დაუკვირდი, დავრწმუნდი ამ არსებას არავითარი ზიანი არ შეეძლო და რიხიანათ შევეკითხე:

— შენ ეი! ადამიანი ხარ?

— ოდესმე ვიყავ!

— ეხლა?

— ეხლა შენც კარგად მამჩნევ. ვინცა ვარ.

— იქნებ გშიან?

— მეტის მეტად.

— მაშ ახლოს მოდი.

— ძალა არ შემწევს დავიძრე ადგილიდგან.

ძლიერ მენარებოდა ჩემი ნანადირევი ხორცი მისთვის გამეზიარებინა, მაგრამ რაღაც სიბრალული ვიგრძენ და რამოდენიმე ძვლიანი ნაწილი გადაუსროლე. როდესაც კუჭი გამოვიკვებე, არხეინათ წამოვწექ ცეცხლის პირას. ის საკვირველი ცხოველი ისეთი გამომეტყველებით მომცქეროდა, ვიგრძენ საუბარი სურდა დაეწყო, მე კი ფიქრებში გავერთე და დამავიწყდა მეზობლისათვის შეკითხვა მიმეცა. მას, უთუოდ მოთმინება ეკარგებოდა ჩემს დუმილზე. განა არ ვიცი ეგეთ საიდუმლოებით მოცულ ადამიანთა მნეჩვეულება? ისინი ყველაზე მეტს სცდილობენ ალგიძრან ცნობის მოყვარეობა და პირველ შემთხვევისთანავე მზათ არიან აამოძრაონ მახვილი ენა, დომხალივით ჯურევენ ერთმანეთში სიცრუესა და სიმართლეს და მოგიყვებიან რაღაც დაუსრულებელ ზღაპარს, მეზიზღებიან საიდუმლოებით მოცული პირნი, არ მიყვარს როდესაც თავის თავზე მიამბობს ადამიანი.

— რაინდო! რა შემთხვევით მოხვდი ამ კუნძულზე?

ეს კი ერთდაგვარი დონ-კიხოტია გავიფიქრე გულში. ვინ მე და ვინ რაინდი?

— სანადიროთ გამოველ.

— ამოდენს ხანს აქა ვცხოვრობ და ერთი მონადირეც არ მინახავს.

— მართლა? დიდი ხანია რაც აქა სცხოვრობ?

— დიდი ხანი უნდა იყვეს.

— რა გინდათ აქ მარტოდ მარტოს?

— გავშორდი ამაოებით მოცულ სამყაროს და ამ განმარტოების კუნძულზე ვატარებ არსებობის უკანასკნელ წუთებს.

— მე სიამოვნებით მოგისმენთ თუ სურ-

ვილი გაქვთ მიამბოთ თქვენი თავგადასავალი. მიუგე მე და პირი ვიბრუნე მეორე გვერდზე, ეს ერთგვარი საშვალება იყო არ შეემჩნია ჩემი ცნობის-მოყვარეობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩაახველა, ხმა გაიწმიდა და დაიწყო:

— ბავშვობიდგანვე დაეპატრონა ჩემს გრძნობას ბოროტი სული და გულის სიღრმეში გააჩაღა ვნების ნაპერწკალი, გამოურკვეველი სურვილები მიმონებდენ, რაღაც მიუწდომელს ვესწრაფებოდი. გული თრთოდა, სული განმარტოებას თხოულობდა, გავიქცეოდი მინდვრად, შევყვებოდი კვარცხლ ბეკებს, დავეშვებოდი ჭალაკის პირებს როდესაც დავიღლებოდი, წამოვწვებოდი ნაკადულის პირს, ნანათ მესმოდა წყლის დუდუნი და მეძინებოდა. ვნახულობდი საუცხოვო სიზმრებს, თითქოს მესხმოდა მსუბუქი ფრთები და მაღალ ხის მწვერვალებს თავს ვევლებოდი, ვკონავდი ყვავილების გვირგვინს და მიმქონდა ცის მშვენიერ დედოფალთან. მხოლოდ საღამო ხანს დავბრუნდებოდი სახლში, ჩაუდებდი მოხუცებულს აღმზრდელს კალთაში თავს და ვსთხოვდი ზღაპრები ეამბნა, ის გულ-კეთილი ქალიც დაუზარებლად ასრულებდა ჩემს წადილს. მეტად მიყვარდა „მეფის შვილი“, რომელსაც თითქოს ძალა ჰქონდა მინიჭებული ყოველ-გვარ ნატვრის აღსრულებისა. მეც ბევრს ვნატრობდი დაიმედოვნებული, ოდესმე ყოველ წადილს მივაღწევდი. ვნატრობდი გამომსხმოდა ფრთები, გადავფრენილიყავ შორს, ცხრა მთას იქით ზღაპრულ უცხო მხარეში.

ცხრა წლისა ვიქნებოდი, როდესაც სკოლაში მიმაბარეს. ჩემს წინ ერთი მეტად მშვენიერი, გულკეთილი ბავშვი იჯდა, მხიბლავდა მისი წყნარი მშვიდობიანი თვალები, წაბლის ფერი თმის ქულულები. თავისუფალ დროს ჩავკიდებდი ხელს პაწია ნაზ თითებში, მოუჯდებოდი გვერდით და ზღაპრებს უამბობდი, ვასიამოვნებდი როგორათაც შემეძლო და როდესაც მის ნაზ ტუჩებს ღიმილი გადაეკროდა, მსურდა თავდავიწყებით ჩავკონებოდი ვით პეპელა სურნელოვან ყვავილს, მაგრამ მრცხვენოდა, ვწითლდებოდი, სურვილს ვერ ვაღწევდი და ვიტანჯებოდი და როდესაც მან სკოლაში სიარულს თავი გაანება, თავზარი დამეცა, ავად-გავხდი და სიკვდილისაგან ძლივს გამოისყიდეს ჩემი სიცოცხლე.

ეჰ განა არ ვიცოდი სიცრუეს მიამბობს მეთქი? გავიფიქრე და გაჯავრებულმა რიხიანად შევძახე:

— შენ ბაირონი ხარ თუ ლერმონტოვი?

— არც ერთი და არც მეორე, რაღაც მზგავსება კი სუფევს.

— შენ უთუოდ ლექსებსაც სთხზავ!

— დიახ ვწერდი, მაგრამ მისმინე და ყოველივეს დაწვრილებით გიამბობ.

— ღმერთო ჩემო კვლავ სიცრუეს დაიწყებს: განაგრძე!—

— თოთხმეტი წელი შემისრულდა თუ არა აბობოქრებულ ზღვათ გარდმექნა გულის გრძნობა. ვნების ნაპერწკალი ჯოჯოხეთის ცეცხლსავით სწვავდა ჩემს სხეულს...

დავიწყე უშინაარსო, ულაზათო ლექსების წერა, ბოროტ სულის ზე შთაგონებით. შემდეგ გადავწერდი პაწია ქაღალდის ნაგლეჯებზე, გავაღებდი ფანჯარას და ნიავის მსუბუქ ფრთებს ვატნევდი იმ მოსაზრებით რომ, ვინმე დაინახდა მიწაზე გდებულს, აიღებდა და წაიკითხავდა. სულს სიამაყე ჩაექსოვა, ჩემს თავს უკვე ჰენიოსათ ვრაცხდი და რათა უფრო ყურადღების ღირსი გავმხდარიყავ, ყოველ ლექსს მსხვილი ასოებით ვაწერდი ქვეშ „ახალ-

გაზდა მგოსანი თერთმეტ-თორმეტი წლისა" სიმართლე აღვიარო, ხშირად ამოვიწერდი კიდეც უცხო ავტორთა ნაწარმოებს და ქვეშ ჩემს ვინაობას ვაწერდი. მკითხველნი განცვიფრებაში მომყავდა აბა ვინ გაიფიქრებდა თუ უსირცხვოდ ვქურდობდი?

ქალწულნი აღტაცებაში მომყავდა; ნაზათ მესაუბრებოდნენ, იგეთი მომხიბლავი ღიმილი უკრთოდათ სახეზე, თითქოს მანიშნებდენ: ჩვენი ქანდაკებასავით თლილი გულ მკერდი მზათ არის შენთვის, ოღონდ მოგვიახლოვდი და ღირს გვყავ შენი ალერსისო.

სულს სულ სხვა სწყუროდა, ის მილიონის ვცნერას მზგავსს სატრფოს პოვნას ლამობდა. ზღაპრულ დედოფალთა სახე ჯერ კიდევ არ ამოშლილიყო ჩემს მეხსიერებაში, თავდავიწყებით მივისწრაფოდი მაღლა ცის სივრცეში ღრუბლის ნაკვთებთა შორის, მიწიერი არასფერი აკმაყოფილებდა ჩემს ფრთა გაშლილ ოცნებას. ეგეთ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია უგუნურმა თავმოყვარეობამ. საზღვარი არ უჩნდა ჩემს ნეტარებას, მაგრამ მუხთალი ბედი განა დაინდობს ადამიანს? მალე შეეპარა ნაღველი სულს და მრავალი სევდის ცრემლი დამაფრქვევინა.

ყოველ კალამს, რომლითაც ლექსს დავწერდი, კრძალვით ვინახავდი, როგორც საუნჯეს, ძვირფასს ნაშთს მომავლისათვის, მაგრამ ერთხელ ბოროტმა ბავშვებმა მომპარეს ეს ნაშთი, ეს დიადი საუნჯე.

— ხა! ხა! ხა! გროვნულ მუზეუმისთვის ინახდი?

— დიახ! ეგეთი იყო ჩემი დაბალღმებულ ეონების ნაყოფი.

— ხა! ხა! ხა! სმენას ატკბობს შენი აღსარება, განაგრძე ჩემო კარგო, ასე რომ სამუდამოთ დაიკარგა ეს ძვირფასი ნაშთი აწმყოსა და მომავლისათვის?

— დაიკარგა და ეს შემთხვევა იყო პირველად ჩემი დამღონებელი.

— თუთხმეტი წლისა ვიქნებოდი, როდესაც მეგობრების მეოხებით წამერთო ყოველივე ის, რაც სულის სიდიადეს წარმოადგენდა. წამიყვანეს გასართობათ, ნარკოტულ სასმელებით დამიხშეს, დამიკარგეს მეხსიერება და საროსკიპოში, ჯერ კიდევ უსუსურმა ბალღმა დავკარგე უმანკოება...

ვილაც გახრწნილ მეძავ ქალის სარეცელზე ვიშმუშნებოდი, როდესაც გონს მოველ. განა ამაზე მომაკვდინებელი რამ მოიპოება ცხოვრებაში?

ვსტიროდი, ცრემლს ვაფრქვევდი გარყვნილების სარეცელზე, როსკიპი ქალი კი სატანიურათ ხითხითებდა და მძლავრად მხვევდა თვის გახრწნილ ხელებს.

როდესაც თავი დავაღწიე საზიზღარ დედა-კაცის ტყვეობას, დავბრუნდი შინ, ჩავიკეტე კარები და ერთ კვირის განმავლობაში სალ ჰაერზე არ გამოვსულვარ, ყოველ არსების მრცხვენოდა, მრცხვენოდა იასამანის ყვავილისაც, რომელიც უხვად აფრქვევდა თვის სურნელებას ჩემს სარკმელში.

უმანკოებასთან ერთად დავკარგე სულის სიმშვიდე, ფიქრი, რომ უკვე გახრწნილი ვიყავ, გულს ლახვარს მასობდა, უსიტყვოდ ვთხოვდი შებრალებას ყოველ არსებას, მაგრამ ვინ ვის იბრალებს?

უნებურად შეურიგდი ხვედრს, სამუდამოდ ჩავძირე ცხოვრების მლაშე ჭაობში.

გამძარცვეს, გამატიტვლეს, მომტაცეს ყოველივე, რაც დამესახა წმიდათა წმიდათ, მომამსხვრიეს მსუბუქი ფრთები, რომლითაც ცის ლაჟვარდში მივილტვო-

დი, წამიბილწეს სიყვარულის წმიდა ტაძარი, მომტაცეს სიყვარული, სათნოება და ნაცვლად მძულვარება ჩამინერგეს სხეულში.

ყოველივე ცდა ამაო იყო, შევეცადე წმიდა იდეალურ სიყვარულს, ვცდილობდი სევდის ჩახშობას, არარაობის დავიწყებას. ცად ვაღმერთებდი, განვერთხებოდი მის ფერხთ ქვეშ და სიყვარულს ვთხოვდი. ვსთხოვდი დანგრეულ ტაძრის განახლებას, მას ვძღვნიდი ზე შთაგონებით ნაწერ სტრიქონებს და რაღაც სიამოვნებას განვიცდიდი, ვივიწყებდი ჩემს გახრწნილებას, არარაობას მასთან ერთად წმიდათ და უცოდველად ვგრძნობდი თავს, მაგრამ აქაც მძლია, აქაც დამამარცხა, ის სხვას გაჰყვა! სხვას შესწირა თვისი უმანკოება, მე მარტოდ მარტო დამტოვა ობოლი სული...

ოჰ ალოლ! ალოლ! განა ოდესმე დამავიწყდები??..

ტანჯვაში მწუხარებაში მიჰქროდნენ დრონი, ვერ მოვწყდი სევდას. გავკიცხე ჩემი არსებობა და სიყვარული, გავყევ ვნების ქარიშხალს. შევიქენ ლაღი, ავისხი ფრთები დემონის, მაცდურებას ვთესდი ყოველ უმანკო ქალწულის გულში, ბევრი იყო მსხვერპლი შურის ძიების, რა ერთის გულს მოვხიბლავდი, მეორესთან მივფრინავდი მწუხარების ცრემლი იფრქვეოდა მე კი ვსიამოვნებდი.

სასჯელს ველოდი, მაგრამ სად იყო, თითქოს ზე არსი ვერც კი არჩევს ბოროტს და კეთილს.

მხოლოდ ერთხელ დავიკაჯე.

საუცხოვო ღამე იყო, მთვარის ვერცხლის სხივთა ლეჩაქში გამოხვეული. ცელქი ნიავი სურნელოვან ყვავილთ იდუმალ ზრახვით თავს დასციმციმებდა. მაღლა სართულის აივანზე მელოდებოდა მსხვერპლი მაცდურ სიყვარულისა. გადმოუშთოკი, რომელსაც უნდა ავყოლოდი, მაგრამ საუბედუროთ გაწყდა და გრძნობა მიხდილი განვერთხე ქვა-ფენილზე. ერთი თვის განმავლობაში მწარე ტკივილებს ვგრძნობდი.

ამ გვარათ ვატარებდი დროს და არვინ სცდილობდა ჩემს გადაგვარებას.

მხოლოდ ის, ის მომევლინა მფარველად, მცველად. ეს იყო ჩემი ძვირფასი მასწავლებელი. ეხლაც ცხადათ მევლინება მისი სახე ხუჭუჭა თმა უფარავს თავის ქალას, ღვთაებრივი ღიმილი უკრთის სახეზე.

ოჰ მაპატიე, მაპატიე ჩემო მოძღვარო, თუ მე გახრწნილი ვბედავ შენს მოგონებას. გახრწნილი ვიყავ სულით, ზნეობრივად. უშინაარსოთ ვატარებდი ცხოვრებას, ვით ბრმა ვერ ვარჩევდი ნათელს ბნელისაგან, და თუ ოდესმე ვიყავ ძლიერი სულით, აზრი ჰქონდა ჩემს არსებობას, ვხედავდი ნათელს, ეს შენი მფარველობით, ძვირფასო მოძღვარო, რადგან შენ იყავ ლამპარი, იყავი წყარო ცხოვრებისა და თუ კვლავ შავცურე გარყვნილების მორევში, თუ კვლავ წამერთო აზრი წმიდა იმიტომ, რომ მნათობი ჩირაღდანი ჩამიქრო ულვთო სამარემ, მუხთალმა სიკვდილმა წამართო მოძღვარი, ხალხთა სიბილწემ ამიმღვრია მე წმიდა წყალი.

— რად ღალატობ შენს მოწოდებას? მესმის, გახრწნილ ცხოვრებას ატარებ, ლოთობ და სხვა, ადამიანის სულის ამაღლება კი, სულ სხვა საზრდოს მოითხოვს მითხრა მან ერთხელ.

— ვერ ვიპოვე ის საზრდო და ზეალმაფრენი, ძირს დავეცანე, ძვირფასო მასწავლებელო—სამწუხაროა, მაგრამ ჯერ კიდევ შესაძლოა შენი განსპეტაკება.

— შეუძლებელია! გახრწნილი ვარ სულით.

— შესაძლოა სხეულით, სულით ჯერ არა ხარ.

დავიარებოდი მასთან, ვღებულობდი გონების საზრდოს, გამოველ სამწერლო ასპარეზზედ მის დახმარებით, დღითი დღე იზრდებოდა ჩემი სახელი, კვლავ შევიქენ ქსუბუქ ფრთებით ზე ალმაფრენ უცოდველ ბავშვათ, შემიყვარდა შრომა პატიოსანი.

როდესაც დამაფარებდა ხელს თავზე და მეტყოდა: „აი ხედავ ტევრის ჩრდილიდგან განთავისუფლებულს მცენარის ნაყოფსო, მხიარულების ცრემლს ვაფრქვევდი, შევჩერებოდი მის მშვიდ თვალებს და გადმომქონდა იქიდგან ღვთიური ცეცხლი.

სად არიან სად ისეთი გულ-კეთილი მასწავლებელნი, რომელნიც ყოველ ადამიანისთვის საჭირონი არიან?

სად არიან, სად?

გაზაფხულის სხივი ახლოვდებოდა, შავი ღრუბლის ნაკვთები ცის კიდურს ეფარებოდნენ; მთით მომსკდარი ნიაღვარი თოვლის სითხეს უფსკრულისაკენ მიაქანებდა, ველოდი შვებას, საამო წუთებს და ამ დროს ულმობელმა სიკვდილმა ჩააქრო ჩემი ცხოვრების სხივი, მრავალ ხალხთან ერთად მეც უკან მივყვებოდი ჩემ მასწავლებლის ცხედარს, ვსტიროდი, მწუხარების ცრემლნი, ცეცხლად ფრქვეულნი, ჰაერს მიჰქონდა.

ისიც წამერთო, მისი ნათელიც გაჰქრა ჩემს ბნელ წყვდიადში, დავრჩი ობოლი ცდომილების გზა ჯვარედინზე და ვერც გაუძელ მკაცრ ცდუნებას, კვლავ ვნებივრობდი გარყვნილების სარეცელზე. ცხოვრების სიმკაცრე იყო ჩემი გამხრწნელი. არსებობის პურის მოსაპოვებლათ იძულებული გავხდი ჩამოვშორებოდი საზოგადოებას. ჩემს სასიქადულო ასპარეზს და შორს, მივიწყებულ სოფელში მეცხოვრა.

აი აქ მომევლინა დემონი ქალის სახით.

რავიცი რამ აიძულა ის გაჰყოლოდა ცოლად მოხუცებულ მამაკაცს, როდესაც მისი გული ვნებით თრთოდა და მხურვალე ალერსი სწყუროდა?

ბუნების მკერდზე, საუცხოვო ტყეში, განმიმზადა მე მან სარეცელი ცდომილებისა.

კარგა ხანს ვნებივრობდი, არ მიფიქრია თუ რწმენას ვღალატობდი, ვღალატობდი მცნებას მოცემულს ძვირფასს მასწავლებლისას.

მხოლოდ როდესაც ვიგრძენ, დავშორდი სოფელს, დავშორდი ხალხს, ვიგრძენ დამარცხება გარდაქმნის ბრძოლაში და გავიქეც ბრძოლის ველიდგან. მიველ აბობოქრებულ ზღვის ნაპირს, ჩავჯექ უიალქანო ნავში, მივანდე ტალღებს ჩემი სხეული და აი აქ, ამ განმარტოებულ კუნძულზე გამომისროლა ბედის ჩარხმა.

დიდხანს დავძრწოდი, ვიკვებებოდი მით, რასაც ვპოულობდი. და როდესაც დაუძლურდი დავემზგავსე უსიცოცხლო ჩონჩხს, დავეცი აი ამ ადგილს. მოვკვდები აქ და არვინ გასჭრის ჩემთვის სამარეს.

რა საჭიროა? დეე ყვავ-ყორანნი გაძღნენ ჩემის ლეშით.

ხშირად მომეჩვენება ჩემი მოძღვრის ღვთაებრივი აჩრდილი, ხელს მითითებს ქვეყნისაკენ და მეძახის დაბრუნდიო, მაგრამ არ ძალმიძს აღვასრულო მისი წადილი, სულით გავიხრწენ, გარდაქმნა კი აღარ ძალმიძს...

— აუცილებლად, ვალდებული ხარ დაბრუნდე, საზოგადოებისათვის კვლავ სასრგებლო ადამიანი ხარ, დაგეძებენ, პოვნას ლამობენ.—მიუგე მე თუმცა დარწმუნებული ვიყავ მის პოვნას არვინ

სცდილობდა. ჩემმა სიტყვებმა მკრთალი ღიმილი მოჰფინა მის სახეს, სჩანდა კვლავ სუფევდა თავმოყვარეობა ამ უსიცოცხლო არსებაში.

— ვერ დავბრუნდები.

— ძალ დატანებით წაგიყვან. მიუგე მე; შევისვი მხარზე, წავიღე ზღვის პირას და ჩავსვი ნავში. წინააღმდეგობას მიწევდა, მაგრამ სუსტი ძლიერთან რას გახდებოდა?

ან რად მოვიწადინე მისი წამოყვანა?

ზღვა დასცხრა, დაშოშმინდა, აზვირთებული ტალღები ჩაიძირნენ უფსკრულში

ჩამავალი მზის სხივები გულში ჩაიკრა ზღვამ...

შეღამდა... ცის მნათობნი გამოჩდნენ ზღვის ქვესკნელს, ამ საუცხოვო სურათმა მიიზიდა ჩემი გული, პატარა ტალღები ნაზად ეალერსებოდა, ელამუნებოდა ჩემს ნავის კალთებს...

მიყვარს მე ზღვა, მიყვარს რადგან განუწყვეტლივ მოძრაობს, მიყვარს რადგან ხან მრისხანეთ ღელავს, ხან ნაზად, ირხევა.

მომხიბლავ სურათით შეპყრობილი ვსტკბებოდი, გული სიამოვნებით მიტოკავდა და ვერ შევამჩნიე როგორ გადაეშო ზღვის უფსკრულში ის, რომელიც თავის თავს გახრწნილს უწოდებდა. არ ვიცი რად ამჯობინა სიკვდილი ქვეყნად დაბრუნებას. ვერ შევნიშნე მისი განზრახვა და რომ შემენიშნა, შესაძლოა აღარც კი აღმოუჩენდი დახმარებას.

უგუნურმა რად დაირჩო თავი?

მიყვარს მე ზღვა, მიყვარს უძლეველი სტიქია, რადგან თვალ წარმტაცი მშვენიერია და უფრო მიყვარს იმტომ, რომ ზღვას ვადარებ ხალხის ძალას, ხალხის გულს.

მიყვარს მე ზღვა, მიყვარს უძლეველ სტიქიის ზვირთთა სრბოლა.

**მიხ. ბოჭორიშვილი.**

# ალავერდის ტაძარი

ვინც ჰნახავს ტაძარს ალავერდისას,
ის ჰნახავს სახეს თვითონ ღმერთისას:
სიმაღლით ცამდე აყუდებულნი
მოგვითხრობს ჰმუნვით დიდებას ღვთისას.
მის გარეშემო ყვავილების ზღვად
დაფენილია ალაზნის ველი
და ალაზანი—ბრძენი მოამბე—
მიიკლაკნება მშვიდი და ნელი.
ტაძარი—წმინდა მოწამე დროთა
ერს მოაგონებს წარსულს დიადსა
და ქვე დავრდომილთ კვლავ მოანდომებს
ახალს სიცოცხლეს და განთიადსა...
ტაძარო! ერმა შენ მოგაშორა
იოსებ, შენი ამშენებული
და ქეთევანი — წმინდათა დასის
საქებელი და დამამშვენებელი!
იდექ ამაყად და მედიდურათ
უკვდავეთა ძეთა ამბის მთხრობელი!
წმინდა ხალხისა წმინდა ქმნილებას
ვერ წაშლის მტერი დაუნდობელი!

**ი. მჭედლიშვილი.**

1909 წ.

# მარტოობა

აღარ მესტუმრა არწივი,
აღარ დამჯდება თავზედა.
აღარც რო კარგი მალაღებს,
აღარცა ვჯავრობ ავზედა.
სულსა მხდის მტერი, ტყავს მაძრობს,
ჯალათად მადგა კარზედა.
არა სჩანს ჩემი არწივი
რო მხარი დამკრას მხარზედა,
ავენთო როგორც საკირე,
დავიწვა თავის ალზედა.
ან თოფის ჩახმახს მოვზიდო,—
ხელი დავიდვა ხმალზედა.
აღარ ვვარგივარ არაფრად,
დავლაჩრებულვარ ძალზედა.
მოდი, არწივო, სადა ხარ.
შორითვე გიცნობ ხმაზედა
შენს მოსვლას როცა კი ვიგრძნობ,
გამოვიცვლები წამზედა.

მყის ვტოვებ დედა-მიწასა,
გადავსახლდები ცაზედა.
ხან ფანდურს შევაჟღარუნებ,
ხან დავამღერებ თარზედა.
ხან ვტირი, ხანა ვლოცულობ,
ხან. ბრაზს, შხამს ვანთხევ. შხამზედა.
როცა არწივი თან მახლავს,—
მაზის მარჯვენა მხარზედა,
მეფისა მადგა გვირგვინი,
ვზივარ სამეფო ტახტზედა!
შეურაცხყოფას ვინ მკადრებს
სალამს მიძღვნიან ცდაზედა
როცა არწივი წამივა
ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა.
დამმალეთ ნუ გამომაჩენთ,
არ შესცდეთ დამსვათ ჯარზედა.

**ვაჟა-ფშაველა.**

## „შეძლებვია სურველა“

(თარგმანი იზმაილოვიდან)

მოხუცებული მასწავლებელი რაღაც ცუდათ გრძნობდა თავს, სულ ავად იყო. დიდიხნის აუტანელ ჯაფას იგი ძლიერ დაუკავბნა. მას ჭკლები ადგა, თვალები უბნელდებოდა, ის იყო უანგარო დაუღალავი მუშაკი თავის საქმისა, ჯერ კიდევ უმაწვილი იყო, როდესაც გადასწყვიტა მთელი თვისი სიცოცხლე შეეწირა ამ თანამდებობისათვის. მან რამდენიმე ათი წელიწადი რაინდულათ შეასრულა თავისი დანიშნულება: გადაიტანა აუტანელი შრომა და ყოველ-ნაირი ცხოვრების უკუღმართობა. მის ხელში გამოიზარდა ორი ახალი თაობა, რომელთაც მან მოჰფინა ცოდნის ნათელი. მას ჯერ არ სურდა მომკვდარიყო, იმიტომ, რომ მას სწყუროდა სიცოცხლე, სურდა ეცქირნა ქვეყნიერებისთვის, სადაც იგი წარმოადგენდა იმ პატარა შუქის ლამპარს, რომელიც ანათებს მიყრუებულ სოფლის კუთხეში. შეუძლოთ იყო. მაგრამ მაინც მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე,. მოაგონდა ახალგაზდობა, აღფრთოვანდა ამ მოგონებით მისთვის

ეს უკანასკნელი გაკვეთილი იყო. დარეკეს ზარი — გაკვეთილი დაიწყო.

— აბა ბავშვებო — დაიწყო მასწავლებელმა — ჩვენ დღეს უნდა წავიკითხოთ ამბავი წყლის მოძრაობაზე! ყური დაუგდეთ, ეს ძალიან საყურადღებო ამბავია, იკარგება რამე ტყვილათ ქვეყანაზე? ჰა? — არა... დედამიწაზე არაფერი არ იკარგება!.. ბავშვებმა სწრაფად იგრძნეს, რომ მათი მოხუც მასწავლებელს სურს განუმარტოს რაღაც ღირს შესანიშნავი. კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოწაფენი სმენად გადაიქცნენ.

— იღუპება ოდესმე უბრალოთ პატარა წვეთი, რომელსაც თქვენ ზოგჯერ ვერც კი ამჩნევთ?

— არა — აი თუგინდ ის წვეთი, რომელიც დაეცა ამ სტოლზედ, ორი სამი წუთის შემდეგ იგი გაქრა... და მაინც, ბავშვებო, იგი არ დაიკარგა სავსებით ქვეყნიერებისთვის! ის როგორც იცით გაშრა — ე. ი. იგი გარდაიქცა ორთქლათ და სხვა ორთქლებთან ერთად გაფრინდა ქუჩაში, ავიდა მაღლა-მაღლა და უთვალავმა რიცხვმა ამ წვეთებისა, შეადგინეს ღრუბლები, ღრუბლებს გაჭფანტავს ქარი და გადაჰქცევს წვიმათ, წვიმა მორწყავს გამოფიტულ დედა-მიწას. დედა-მიწა გაიჟღინთება; წყალი ჩასწვდება მის გამაგრებულ გულს, მოგროვდება და გაკეთდება ნაკადულები, ნაკადულები ამოხეთქავენ ზევით და დაეშვებიან მდინარეებში შესართავად, მდინარეები ჩავლენ ზღვაში, ზღვებიდან წყალი ადის ორთქლად ცაში და.... მასწავლებელი გაჩერდა.

— დაიკარგა წვეთი? დაიკარგება იგი ოდესმე?

აღელვებული ის მივიდა საკლასო დაფასთან და აკანკალებულის ხელით დახატა წრე.

— სად არის აქ ბოლო, ან დასაწყისი? არც ბოლო აქვს და არც დასაწყისი. ყველაფერს ქვეყანაზე, ბავშვებო, არ აქვს არც ბოლო და არც დასაწყისი. უკვდავია წვეთი... უკვდავია მცენარე... უკვდავია ადამიანი... ყველაფერი უკვდავია. ყველაფერი კვდება იმიტომ, რომ ბოლოს კვლავ მიიღოს თავისი პირველ-ყოფილი შეხედულობა. მასწავლებელი ისე გაერთო, ისე გაიტაცა ამ ახსნამ, რომ, ეტყობოდა იგი ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს იმაში, თუ რამდენათ ეყურებოდათ ბავშვებს იმის სულის კვეთება. მაგრამ საოცარი იყო, მოწაფენი გაინაბენ და გაშტერებული უყურებდნენ მასწავლებელს, თითქოს ბავშვები ჩასწვდნენ იმ ღრმა აზრებს, რომელნიც მასწავლებელმა წარმოსთქვა. დიდი ხანია ეგრე გულმოდგინეთ აღარ უხსნია მათთან მოხუც მასწავლებელს! უკვდავია აგრეთვე, ბავშვებო, სიტყვა. არასოდეს არ მოკვდება სიტყვა. ყოველთვის ის როგორც საღი თესლი ჩავარდება ადამიანის გულში გაიდგამს იქ ფესვებს და აღმოცენდება კეთილ-საქმეთ. მაგრამ სიტყვა იგი უნდა იყვეს გულითადი, თქვენი გულის სიღრმიდგან ამონაკვნესი. იყავით უმწიკვლონი, დიდებული სულით და მაშინ ფუჭად არ ჩაივლის თქვენი სიტყვა. ის იქნება უკვდავი.

გაიგეთ ჩემი ნათქვამი ბავშვებო? მან ღრმად ამოისუნთქა და სკამზედ დაეშვა. კარგა ხანს იგი ხმას არ იღებდა. როცა მან თავი მაღლა აიღო, დაინახა რომ ერთ პატარა შეგირდ ქალს თითი აეშვირა. ალბათ რისმე თქმა უნდოდა.

პატარა ქალი რამდენიმე თვის მოსული იყო სკოლაში და ძლივს კითხულობდა მარცვლებზე. მიუხედავათ ამისა მას სურდა ეთქვა მასწავლებლისათვის, რომ ნამდვილათ სიტყვა უკვდავია. რასაკვირველია ის ისე ვერ გამოსთქვამდა და ვერც ისეთს მაგალითს მოიყვანდა, მაგრამ ნორჩი სულის ძალამ მაინც ათქმევინა თავისებურათ.

— მე მყავდა ბებია — დაიწყო პატარა ქალმა — ის ძალიან მოხუცი იყო. სრულებით არა მუშაობდა. მეტი წილი ეძინა. მე მას ძალიან უყვარდი. ის ხშირათ მიამბობდა ზღაპრებს. ის მოკვდა და მე კი ყველა მისი ნაამბობი

კარგათ მახსოვს, როცა მე ჩემ თავს უამბობ ხოლმე ზღაპრებს, მე მაშინ აუცილებლათ მომაგონდება ხოლმე დიდედას ხმა.

მასწავლებელი ბარბაცით წამოდგა. ის გაოცებული და თან განუსაზღვრელი სიყვარულით უყურებდა პატარა შეგირდს.

— დიახ, დიახ, წაილუღლუღა მან და ვეღარ დაათავა.

მასწავლებელმა ტირილი დაიწყო.

— დაიხსოვნეთ ბავშვებო ეს გაკვეთილი. მე აღარ შემიძლიან... ეხლავე სახლში! წადით... მაპატიეთ... იგი გაჩუმდა და ცოტა ხანს შემდეგ დაიჩურჩულა გასაგონი ხმით:

— მაშ იცოდეთ, რო უკვდავია სუყველა! წაიკითხეთ ლოცვა...

**მესხი ვ. მიქელაძე.**

# სიზმარი

ა.

ღამეა. ღრუბლის შავი სუდარა
სამყაროს სივრცეს გადაეფარა,
დაბნელდა სხივი მცისკროვნებელი,
ცაში დემონმა გადიხარხარა.
შავი ღრუბლები ცას გადაეკვრნენ,
მთვარემ დამალა სახე მღიმარე;
ვარსკვლავნი გაჰქრნენ ცის კამარიდგან,
ღრიალებს ქარი მწარედ მძვინვარე.

ბ.

ამ ჟამს ნაპრალთან მარტოკა ვიდექ,
ბნელ უფსკრულებსა გადავყურებდი;
ნისლით მობურვილ მთისა მწვერვალებს
ნაღვლითა ვსჭვრეტდი და ვდუმარებდი.
დაბლა მოსჩქეფდა მთის ნაკადული;
ახმაურებდა კლდე-ღრეებს ქარი;
თითქოს მსოფლიოს მოევლინებოდა
დღე განკითხვისა გულ შესაზარი.

გ.

ღრუბელში ჩანთქმულ ცის კაბადონზე
სხივი აინთო ვით განთიადი
და მკრთალს ტატნობზე სხივ მოელვარე
თითქოს გამოჩნდა სული დიადი.
ხორცშესხმულიყო ბედკრულთა ბედი,
ანგელოზისა მიეღო სახე,
სხივოსან სახეს ნისლად ბურავდა
სოფლის სიმუხლთე და სივაგლახე.
ხელთ ქნარი ეპყრა... ოქროს სიმებით,
შარავანდედი შუბლსა უბრწყენდა;
და აღგზნებული ზეშთაგონებით
წარწყმედილს ედემს გუნდრუკს უკმევდა.
მყუდრო სივრცეში ჩანგისა ჟღერა
სევდის ჰანგებად ინასკვებოდა,
და მის მთრთოლვარე ციურ კილოში
სოფლის სვე-ბედი იხატებოდა.

დ.

ღვთიური ცეცხლით გამხვალ გრძნობასა
გადაერია ცრემლი მდუღარე,
მწარე ნაღველი გულს დაეპკურა
შევკრთი... ავღელდი ბედ განამწარე.
სმენა ვათხოვე... აზრი მივაპყარ,
მკერდში ჩავიკალ მღელვარე სული
და რა ვიხილე? ქნარს დამღეროდა
წინამორბედი და მოციქული:

ე.

„სამყარო ტრტვინავს კიდით-კიდემდის,
ხარობს სატანა... მეფობს წყვდიადი;
შებორკილია სხივი სინათლის,
პირნაქცევია ცის განთიადი.
არეს დასჩხავის შავი ყორანი,

ბედით დასჯილი ნაზარეველი
ჯვარქვეშ ეცემა ფიქრით ობოლი
და დახარხარებს თვით ბელზე ბელი.
იმედი განქრა... ხსნა არსით არი,
მწარედ ქვითინებს მაგდალინელი;
გაქვავდა მიწა-ცოდვის სამყარო,
დაბნელდა ზეცის ჴასუფეველი.
თავისივე მსგავსთ ცრემლების ტბაზე
ნავს აცელქებენ განცხრომის ძენი;
ჭეშმარიტებას გულში იკლამენ
დამონებულნი—ენა-მეტყველნი.
შემწიკვლულია წმიდათა-წმიდა,
ღმერთად ქცეულან ოქროს კერპები;
ცივს სამარესთან ძაძა მოსილნი
მწარედ იგლოვენ მსხვერპლ გმირთ დედე-ბი...
ამართულია წამების ჯვარი,
გოლგოთაზედა სისხლი თქრიალებს
პილატე ურცხვად იბანს ხელებსა
ძმის დუშმანი კი... სტკბება... ხარხა-რებს...

ყველგან: გოდება, ტანჯვა, მონება
მცირედ თვის ყოფნა გამხდარა მწარე
და ნეტა რისთვის? წუთის სოფელში
ყოველივესა ლუპავს სამარე"...

3.

დადუმდა. ფრთა ჰკრა ეთერს ფრთოსანმა
და ცის უფსკრულსა კვლავ მიამურა,
ღრუბლის ძაძა კი მწუხარე სოფელს
შავ-ბნელი ხავსით გადმოეხურა.
ჟამთა სიავემ დენა განაგრძო
ბუნებამ იწყო კვლავ გლოვა... ზარი.
სოფლის შავს ბეჭს კი მას აქეთ გლოვობს
სულის კვეთება ცრემლად დამდნარი.

**კიკნა-ფშაველი.**

ამ ლექსის მცირე ნაწყვეტი დასტამბული იყო გაზ. „დროებაში" ს. ფ—ლი ფსევდონიმით რომელიც მევე მეკუთნოდა.

ავტ.

---

# ტ ყ ვ ე

## ესკიზი

ვუძღვნი ირ. ევდოშვილს

დილის ცისკარის ვერცხლის თმა,—ძირს გადმოშლილი ფითრდებოდა...

იქ, მთებს იქით ამოცურდა დიდებული მნათობი... თავისი პირველი სხივი,—დილის ცვარს შესტყორცნა, რომელიც სულსა ლევდა, ორთქლათ დნებოდა...

მოჩუხჩუხე, ჩანჩქარი მთისა, ცრემლებს რომ აფრქვევდა, არ ჩერდებოდა,—ფრენით იჭერდა სხივთა კონას მის სხივებში სურათს ხატავდა...—მას შესცქეროდა, ილიშებოდა....

ამართული ბუმბურაზ სალი-კლდეები, ფიქრთა სავანე, სოფლის დარაჯი, ხოტბა შესხმით ეგემებოდა სხივოსანს დღესა...

ცა-ფირუზი, განთიადზე იკაზმებოდა ოქროს რიდეთი...

შორს გაისმა მხიარული ჰანგი, ცას მხიარული, ღვთიური ჰიმნი მოსწყდა და ათრთოლდა სხივი,—სხივი მლხნებისა...

მასთან ჰჟღერდა ჩანგი მგოსნისა.

წალკოტი ოქროს მძივებით მოიქარგა და მის მძივებში ბილილა, ზამბახი და ია,—ბანაობდენ ეთერში კრთოდენ...

ტანჯვის დუმილი, შავ კლდეზედ დაცრემლებული, სხივთა კონებს მისჩერებოდა.—ყველა ესენი ლაჟვარდისაკენ მიილტვოდენ, მზეს შესცინოდენ... მწარე კვნესა შეცვალა სიხარულის ჰიმნათ, და ეს ჰიმნი, ახალ აკორდში შეთხზული ჰიმნი, მგოსანმა თავის ქნარზე აათრთოლა და ჩააქსოვა...

... იქ, იქ საკანში, ნესტიან საკანში ტყვე ბურუსში გახვეულიყო, ამაყ და ნარნარ ფიქრებს შეეპყრო იგი. ბორგავდა, არ ჩერდებოდა. მზის სხივებით განათებულ მის სახეზე, ხან ღიმი გაითამაშებდა, და ხან კიდევ სახე დაემანჭებოდა, მრისხანე გამომეტყველობა დაეტყობოდა ხოლმე.

მან უეცრათ გულშემზარავათ დაიღრიალა: „ვერა, ვერა, ჯალათს, ვერ მოესწრები“...

იგი იატაკზე გაიშხლართა, თვალები ჭერს მიაპყრო და უაზროთ რაღაცას ბუტბუტებდა.

— აი!.. აი... აგერ მისი ნინო... აქეთ რო მოჰყავთ, ძლივს მიასწრო ერთი თვალი გადაევლო თავის სატრფოსთვის... მერე რამდენი ტრფობა, ალერსი, იმედები იყო ამ გამოხედვაში ჩართული.

მოაგონდა მშვენიერი განთიადი... მაისის დილა... ხშირს ტყეში, სადაც ტკბილ-მელოდიაზე გაისმოდა ბულბულის მკვნესარე ჰანგი... სადაც ტირიფი, სიყვარულს სთხზავდა, ტრფობის მორევში ავლებდა... პატარა რუ,—კორდიდან-კორდზე რომ მიხტოდა, არ ჩერდებოდა... როს მთვარის ნისლი, შავი რიდეთი შემოსილიყო... შავი მანტია წამოესხა.

— რა, რა სიამით უფეთქავდათ მაშინ გული, რა ტრფიობის სიმი გაებათ მგზნებარე გულში... რამ მშვენიერი დილა... რა ჰარმონიით და სიცოცხლით სავსე...

—მაგრამ ყველაფერი ეს განქრა, ვითაარცა ოცნება.—ის ბნელ საკანში, დიახ საკანში მოაქციეს და დაატყვევეს.

—...მერე რისთვის?.. რისთვის?.. ეკითხებოდა იგი თავის თავს. განა იმისათვის, რომ სიმართლეს ვქადაგებდი? ჯალათის მათრახს არ დავუდექ,—გამოვექეცი? მის წინ ქედი არ მოვიხარე? ნუთუ ყოველივე გათავდა ჩემთვის? ნუთუ აღარაფერი მეშველება?.. დღეს-თუ-ხვალ სახრჩობელას ყულფში გამაყოფინებენ თავს... მომაშორებენ სამშობლო მიწა-წყალს, ამ მშვენიერ და ლაღ ბუნებას.—ანდა იქნება, შორეულ ცივ ციმბირში, ჩაახშონ ჩემი ამაყი გრძნობა. მომაშორონ სამშობლოს, საყვარელს სამშობლოს... მერე ყველა ეს რისთვის? რისთვის? შენ გეკითხები ჯალათო! ნუ იმალები, მიპასუხე... ახლაც, ახლაც მაგონდება მისი მშვენიერი თვალები, მისი ბროლის, სპეტაკი მკერდი, ტრფობითა სავსე...

ის უეცრათ შეჰკრთა.

— მაგრამ — არა... ის მე არ მიღალატებს! მე მას უყვარვარ! თუ ეს მართალი არ არის, აბა რათ მეფიცებოდა ისე გატაცებით, თვით ცივ სამარემდის ჩემთან ყოფნას ლამობდა... არა—იქნება დროთა—სვლამ მასზე იმოქმედა? სხვაზე გამცვალა!.. სხვა გვარმა სიყვარულის ნაპერწკალმა იფეთქა მის გულში?..

მოაგონდა სიზმარი, წელან რომ არ ასვენებდა: მისი ნინო, ვითომც ჯალათის კლანჭებში თრთოდა და კანკალებდა... იგი მზათ იყო მას ყელში სცემოდა... სიცოცხლე მოესპო...

— მზეო, მზეო, შენ მაინც ნუ დამივიწყებ, შენ მაინც მომხედე! შენი შვების სხივები მტყორცნე, მტყორცნე, შენ წილ-ხდომილ მონას, ნუ დააგდებ ცხოვრების გარე... განბანე ოქროს მძივებით...

ნინოს... ნინოს, მიუალერსე... სხივი აშუქე, სხივთა კონები ძლვნათ მიუძღვენი... მიუძღვენი. –

ერთბაშათ რაღაცამ დაიზრიალა. ტყვე ფიქრებიდან გამოირკვა.

ციხის დარაჯი გარს უვლიდა მის საკანს, შეიხედავდა, მრისხანეთ შეუბღვერდა და კვლავ სვლას განაგრძობდა.

მზე კვლავ ანათებდა...

ცის ზეფირი მინდორ-ველათ დაჰქროდა...

ნიავი წამონაქროლი მთიდან საკანის ფანჯარასთან შესდგებოდა და ყურს დაუგდებდა ტუსაღის ჩივილს, და ამ ჩივილს, ამ მწარე მოთქმას, ყველას ასმენდა, აგებინებდა: მინდორს, ველს, ბუჩქებს, ყვავილებს, და ჩაკრულსა მხარეს...

საკანში კი, საკანში კვლავ კვნესა ისმოდა, მწუხარება მეფობდა...

**ს. ბაირონიშვილი.**

---

# შინაური მიმოხილვა

ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის საქმე; ქუთაისის გუბერნიის მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორის გასპარიანცის უკანასკნელი განმარტება; გაზეთი „შინაური საქმეები" და ექიმი ივ. გომართელი.

Საშინელი ბედი ეწია წელს ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელს. იმ ინცინდენტს, რაც ამას წინად მოხდა ამ სასწავლებლის მოწაფეთა დ უფროსს შორის, მოჰყვა ფრიად სამწუხარო დ შემაძრწუნებელი ამბავი. ამ სასწავლებლის ინსპექტორმა სამოცდა ათი წლის მოხუცმა, კ. ლოლობერიძემ, აღშფოთებულმა იმ უწესოებით, რაც სასწავლებელში დატრიალდა ამ ბოლო დროს, თავი მოიკლა; ამ სამწუხარო ამბავმა მეტად აღაშფოთა ყველა პატიოსანი ადამიანი და ეგონათ, რომ ეს ტრაგიკული ამბავი საუკეთესოდ შესცვლიდა სასწავლებლის საქმესო, მაგრამ ეს ერთი მსხვერპლი საკმარისი არ შეიქმნა და ამას მოჰყვა დათხოვნა ქართველი მასწავლებლებისა. როგორც „სახალხო გაზეთსა" სწერენ ქუთაისიდან წმ. ნინოს სასწავლებლიდან დაუთხოვნიათ შემდეგი ქართველი აღმზრდელები და მასწავლებლები: თეოდოსია კორძაიასი, ვასასი აბაშიძისა, ელენე სუმბათაშვილისა, მართა ლოლობერიძისა, ელენე პეტრიაშვილის ასული და საღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი მაჭარაძე.

უცნაური, ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა სასწავლებელში და თვით საზოგადოებაშიც...

საზოგადოების გაკვირვებას, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, საზღვარი არა აქვს იმის გამო, რომ განსაკუთრებით თეოდოსია კორძაიას ასულს მოეპყრნენ ასე უსამართლოდ. ოცდა შვიდი წელიწადია ეს ადამიანი თავს დასტრიალებს ამ სასწავლებელს. აქ შეისწავლა ანბანი და იმავე დღიდან აღარ მოშორებია მას, უკეთ რომა ვსთქვათ, „არ მოაშორეს, რადგან ხედავდნენ, როგორ უყ

ვარდა მას იგი, თავს ევლებოდა, ულოლავებდა. იგი სასწავლებლის უფროს ქალის თანაშემწედ ითვლებოდა, ხოლო ნამდვილად უფროსობაც მის ხელში იყო და მთლად სასწავლებლის ბედ-იღბალიც. რამდენი უფროსი ქალი გამოიცვალა, რამდენი ჭირი და ვარამი გადახდა ამ სასწავლებელს, არა ერთჯერ უფროსობის თანამდებობაც შესთავაზეს, მაგრამ თეოდოსია კორძაიას ასული თანაშემწეობას არჩევდა, ვინაიდან ამ თანაშემწეობით აძლევდა იგი აურაცხელ შემწეობას სასწავლებელს. ოცდა შვიდი წელიწადია თეოდოსია კორძაიას ასული ძიძა იყო ამ სასწავლებლისა, მისი პატრონი, ერთგული სამართლიანი, ბეჯითი აღმზდელი ქალების, მათი დედა...

სწორედ წარმოუდგენელია, რამ გამოიწვია ასეთი სისასტიკეო, —სწერენ ქუთაისიდან „სახალხო გაზეთს".

დევნა ქართველებისა სასწავლებლებიდან ახალი ამბავი არ არის ჩვენში, მხოლოდ ყველა ქართველ მასწავლებლების ასე ერთბაშად დათხოვნას, უსათუოდ სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონდეს და არც შეიძლება ეს მიზეზები დაუფრონ საზოგადოებას, თუ ჩვენი მოკეთეები არ ფიქრობენ, რომ უძაღლო ქვეყანაში ცხოვრობენ და ამიტომ უჯოხოთ გავლაც შეიძლება. როდესაც საზოგადოების აზრით სიმართლე იჩაგრება, ითელება ზოგიერთ პირთა წყალობით, საზოგადოებავეა მოვალე სიმართლეს გამოესარჩლოს და ისეთს ღონისძიებას მიჰმართოს, რომ უსამართლოდ არავინ დააჩაგვრინოს. შესძლებს ამას ქუთაისის საზოგადოება, თუ ჩვეულებრივად მარტო ერთის აშფოთებით დაკმაყოფილდება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

* * *

„ბათუმის გაზეთში" დაბეჭდილია ერთი ახირებული მოთხოვნილება ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მესამე რაიონის ინსპექტორის გასპარიანცისა. გაზეთში ვკითხულობთ:

ყველამ ვიცით, რომ ამ უკანასკნელ დროს ოფიციალურათ ნება დართულია სახალხო სკოლებში 81 წლის გეგმის თანახმათ სწავლება, სადაც რუსული წერა-კითხვის შესწავლა მხოლოთ მეორე წლიდან იწყება ამ გეგმის თანახმათაა შედგენილი დირექციის მიერ და სახალხო სკოლებში სახელმძღვანელოთ დაგზავნილი ეგრეთ წოდებული: „Виды письменныхъ занятій въ начальныхъ училищахъ Кутаисской Дирекціи", სადაც ნათქვამია, რომ დაახლოვებით აპრილიდან საჭიროა ავარჯიშონ ბავშვები რუსული ასოების ელემენტების და ზოგი უადვილესი ასოების წერაშიო—ხოლო ნამდვილათ წერა-კითხვის შესწავლა იწყება მხოლოდ მეორე წლიდან.

ახალმა ინსპექტორმა ბ. გასპარიანცმა გასული წლის შემოდგომაზე დაგზავნა სახალხო სკოლებში სახელმძღვანელოთ „1881 წლის სასწავლო გეგმა". ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ სკოლებში ამიერიდან არ ექნებოდა ადგილი არევ-დარევას, რომ ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული სამოსწავლო გეგმა სავალდებულო იქნებოდა ბ. ინსპექტორისათვისაც, მაგრამ მოვსტყუვდით: იმავე ინსპექტორს ყველა ამის შემდეგ დაუგზავნია სოფლის მასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოთ მის მიერ შედგენილი: „Планъ веденія цисьменныхъ работъ по русскому яз. и ариѳметикѣ въ начальныхъ училищахъ III района

Кутаиской Дирекцiи", სადაც ბ. გასპარიანცი პირველ განყოფილებაში მოითხოვს ყველა იმ სავარჯიშოების გავლას, რომლებისაც დირექციის გეგმის თანახმად სავსებით მეორე განყოფილებაშიც არ არის შესაძლებელი მაგალითად, ბავშვების მიერ შედგენილი პატარა მოთხრობების: აღწერა დღის, სათამაშოების, ცხოვრების, ქუჩების და სხვების მასვე თავის გეგმაში მოჰყავს სანიმუშო აღწერა, მაგალითად ასეთი: „20 აპრილი დღეს ჩვენ მასწავლებლის თანხლებით ვიყავით წასული სასეირნოთ. ჩვენ მოვაგროვეთ იის ყვავილები. ჩვენ ვითამაშეთ ბურთი, ჩვენთან მასწავლებელიც თამაშობდა" და სხვა. ვიმეორებ, ასეთ მოთხოვნილებებს აყენებს პირველ განყოფილებაში, სადაც სუსტ ნორჩ ბავშვებს დედა-ენაზედაც კი ვერ მოუხერხებია ამ გვარათ თავისი აზრების გამოთქმა და ყველა ამას მოითხოვს მას შემდეგ, რაც დირექციის სავარჯიშო გეგმა და თითონ ხსენებული ინსპექტორის მიერ დაგზავნილი 81 წლის გეგმა პირდაპირ, ნათლათ მოითხოვს, რომ რუსული წერა-კითხვის განვლა მხოლოდ მეორე წლიდან დავიწყოთ.

ადვილი წარმოსადგენია ის, თუ ასეთი ერთი-მეორის საწინააღმდეგო მოთხოვნილება რა არევ-დარევას შეიტანს ჩვენს უბადრუკ სკოლებში და რამდენათ შეაფერხებს მეცადინეობის წესიერ მსვლელობასო, სწერს გაზეთი.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ არევ-დარევის ავტორი თვითონ გასპარიანცია, თუ ის გამომდინარეობს მისი უფროსის ბრძანებით. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ფაქტადვე რჩება, როგორც გაზეთი გვაუწყებს და ამ შემთხვევაში მასწავლებლებს მხოლოდ ერთად ერთი ღონის ძიება აქვთ, მათ უნდა გამოიჩინონ იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ ბრმად არ აჰყვნენ იმ გზას, რომელსაც საქმე დაღუპვისკენ მიჰყავს; პირიქით თავიანთი საკუთარ ჭკუა გონებით დაადგნენ და იარონ იმ გზით, რომელიც ნორჩ თაობის წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ხელს უწყობს და სწავლებასაც ნორმალურ პირობებში აყენებს.

*
* *

ქუთაისის სასულიერო წოდების გაზეთი „შინაური საქმეები" გულისწყრომას უცხადებს ჩვენს ნიჭიერს მწერალს ივანე გომართელს და „ნაკადულის" რედაქციასაც.

პირველისადმი გულისწყრომა იმაში გამოიხატება, რომ „გომართელი არ სტოვებს არც ერთს საკითხს, რომ არ შეეხოს. ექიმი ხელობით, იმავე დროს კიდეც დრამატურგობს, ლექტორობს, პუბლიცისტობს, კრიტიკოსობს, ისტორიკოსობს, მსაჯულობს და კიდეც ფილოსოფოსობს და სხ. და სხ. („შინაური საქმეები" № 10 1912 წ.). საზოგადოთ საკმარისად განათლებულის და ნიჭიერის კაცისათვის ძნელი არ არის რომელიმე საგანი, თუნდ იგი მისს სპეციალობას არ შეადგენდეს, საკმაოდ შეისწავლოს და საზოგადოებას თავისი აზრი აუწყოს იმის შესახებ. ბ-ნი გომართელიც, ექვს გარეშეა, ერთი იმ ფრიად იშვიათ ნიჭიერ ადამიანთაგანია, რომელიც, რა საქმესაც ჩაუჯდება და ხელს მოკიდებს, მას მოკლე ხანში შეისწავლის ისე, რომ ზოგ სპეციალისტებსაც კი არ ჩამოუვარდება, და ამიტომ ამისთანა ნიჭიერი კაცის ღვაწლი და მუშაობა არა თუ გასაკიცხია, პირიქით ქებისა და მოწონების ღირსია. მაგრამ „ჩვენებური საქმეების" თანამშრო-

მელს სეფეველელს სულ სხვა აწუხებს. ბ-ნი ივ. გომართელი მარშან, როდესაც მთელის წლით დატუსაღებული იყო, შეუდგა ასტრონომიის შესწავლას, რის შესახებ ქართულად არაფერი მოგვეპოვება, მან დასწერა მოკლედ და გარკვევით ვრცელი სტატია ამ საგანზე აწინდელის მეცნიერულის მეთოდისა და საუკეთესო მეცნიერთა შეხედულობის კვალობაზე. ეს ხელნაწერი მასალა მან წარუდგინა „ნაკადულის“ რედაქციას დასასტამბავად. ყველა სიამოვნებით მიეგება ნიჭიერი ავტორის ამ ახალს ნაშრომს, რომელიც შედარებული და შემოწმებული იქმნა საუკეთესო ასტრონომების ნაშრომთან; ზოგმა ის აზრიც გამოთქვა, რომ ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო და პრემიად მისცემოდა «ნაკადულის» მკითხველებს, რადგანაც ასტრონომიის შესახებ ჩვენ აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილების კვალობაზე არაფერი გვაქვს, ბ-ნი გომართელის სტატია, ყველასათვის გასაგებად დაწერილი, საუკეთესო სახელმძღვანელო იქნებოდა სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის, რომელნიც მოვალენი არიან, როგორც მოწაფეებს, ისე ხალხსაც გადასცენ მეცნიერთა შეხედულობა ამ საჭირო საგანზე.

ბ-ნს სეფეველელს ამოუწერია ზოგიერთი ადგილები გომართელის წერილიდან, გაუსვამს ხაზები ისეთის აზრებისათვისაც კი, რომლებსაც ყველა დასაწყისს გეოგრაფიის სახელმძღვანელოში შეხვდებით, რაც კარგად იციან პირველი კლასის მოწაფეებმა და ბრძანებს: „აქ რამდენი წინადადებაა, იმდენი შეცდომა, სიცრუე, სიყალბე და სიმრუდეაო“. მაგრამ რაში ყოფილა ეს სიცრუე და სიყალბე, არ იკითხავთ? თურმე ქვეყნიერებაზე ყველაფერი ღვთის მადლით გაჩენილა, აღორძინებულა და რადგანაც ბ-ნი გომართელი **ღმერთს, ამ ყოვლად შემოქმედს** ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს თავის სტატიაში, ამიტომ მისი სტატია ყალბი და სიცრუე ყოფილა. აქ მკითხველი უეჭველია დაინახავს, რომ მისტიცისმი ილაშქრებს მეცნიერების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ,,არ ახალია, ძველია'', მაგრამ ბოლო დროს გამარჯვება მაინც მეცნიერებას დარჩა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ევროპიელებზე, ისე მთელს კაცობრიობაზე, რადგანაც მეცნიერებამ უკანასკნელ ხანებში სრულიად გარდაქმნა კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი ცხოვრება. საიდუმლოება და მისი სინონიმი—სასწაული—მეცნიერებაში და სამეცნიერო მეთოდის ენაში არ არსებობს, როგორც არ არსებობს ეს საიდუმლოება და სასწაული ფიზიკოსის და ქიმიკოსის გონებაში. სადაც რომელსამე მოვლენას მეცნიერები ძირამდის მიჰყვნენ და მისი სათავე გასინჯეს, ყველგან და ყოველთვის მიზეზის და შედეგის ამა თუ იმ ურთიერთობას წააწყდნენ, რომელსაც მოვლენა გამოუწვევია. ამ გვარმა აზროვნებამ სამეცნიერო მეთოდიც დაჰბადა. აწინდელი ცხოვრების ვითარება ცხადათ გვიმტკიცებს, რომ სამეცნიერო მეთოდი ერთად ერთი გზაა მათთვის, ვისაც რაიმე უტყუარი ცოდნის მოპოვება სწყურია. ფრანგების ცნობილი მეცნიერი ბერტელო ამბობს: ,,ჩვენს ცოდნას ორი განსხვავებული წყარო როდი აქვს: ერთი ციური, ღვთისაგან შთაგონებული, „გაუგებარის“ წლვდიადისგან გადმომდინარე, და მეორე თავის თავის და სხვების გამოცდა-დაკვირვებაზედ აშენებული. ადამიანი, რომელიც სულ მუდამ რაიმე სასწაულის მოლოდინშია, და ამის დაგვარად თავის სიცოცხლეს აწყობს, უთუოდ

დაიღუპება და დამარცხდება ცხოვრების ბრძოლაში. მსოფლიო ისტორია მოგვითხრობს და ადამიანის ტვინის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ კერძო ადამიანი, ან ერი, რომელიც სასწაულის ან ღვთიური შთაგონების მოლოდინს ცხოვრების სარჩულად იხდის,—სამუდამოდ დაიღუპება მალე, ზნეობრივ, ქონებრივ და გონებრივ სიცოცხლეს მოისპობსო“. აი რა ნაყოფი მოჰყვება მისტიციზმის ქადაგებას, რასაც მხარს უჭერს გაზეთი ,,შინაური საქმეები‘‘.

ჩვენის აზრით კი თუ გვინდა, რომ ჩვენი ერი არ ჩამორჩეს სხვა ერებს და არ დაიღუპოს, უნდა კვალ და კვალ მისდიოს საღ მეცნიერების გზას, განზე გაუდგეს მისტიურს აზრებს და დაეწაფოს მეცნიერების წყაროს. ბ-ნი ივ. გომართელის სტატია, რომელმაც ეს აზრი გამოიწვია, იმდენად საღ მეცნიერულ მეთოდზეა დაწერილი, რომ მისი წაკითხვა და შეგნება სასურველ ცოდნას მისცემს მკითხველს და ,,ნაკადულის‘‘ რედაქციაც, ჩვენის აზრით, კარგად იქცევა, რომ ამ გვარ სამეცნიერო წერილებს ადგილს უთმობს ჟურნალში და ყმაწვილებს აწვდის ნამდვილს მეცნიერულს აზრებს და არა ლეგენდალურ სამეცნიერო ცნობებს. ტყუილად შიშობს ბ-ნი სეფეველელი და იმუქრება, რომ ,,ნუ გაუკვირდება ,,ნაკადულის‘‘ რედაქტორს, რომ შეგნებულმა მშობლებმა ახლოს აღარ გააკარონ თავიანთ შვილებს ასეთი უკუღმართი(?) მიმართულების გამავრცელებელი ჟურნალი‘‘-ო. პირიქით შეგნებული მშობლები იმას უნდა ცდილობდენ, რომ მათმა შვილებმა ნამდვილი საღი მეცნიერული ცოდნა მიიღონ და არა ზღაპრულად შეთხზული სამეცნიერო ამბები. რამდენს ცოდვას ჩაიდენდა „ნაკადულის“ რედაქციაც და მშობლებიც ყმაწვილების წინაშე, როცა ქართულად ჟურნალში მიაწვდიდნენ ზღაპრულ სამეცნიერო ცოდნას, ხოლო იგივე ყმაწვილები აუარებელს რუსულს ასტრონომიულს წიგნებში წაიკითხავდნენ სულ სხვა ცნობებს, სხვა თვალსაზრისით გაშუქებულებს. თუ ყმაწვილი ცოდნის მოყვარეა, იგი ყოველთვის იშოვის წასაკითხად იმას, რაც მას აინტერესებს, ხოლო განძრახ მოტყუილება ბავშვებისა და სიცრუის სწავლება ხომ ქრისტე ღმერთმაც დაჰგმო და მომაკვდინებელ ცოდვათ დასახა.

# რუსეთი

## სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა

Სახალო სკოლის მასწავლებელთა პენსიის დანიშვნის შესახებ ბევრს სწერდენ ჟურნალ-გაზეთებში და ბევრგანაც ეს საკითხი სხვა და სხვა ნაირად იქმნა გამორკვეული, მაგრამ დღემდის სახალხო სკოლის მასწავლებლები მოხუცებისა და მოუძლურების დროს მაინც საკმარისად უზრუნველ-ყოფილნი არ არიან. ყოველს ეჭვს გარეშეა თუ რა უდიერს შრომას ეწევიან სახალხო მასწავლებლები, რომლებიც, აუტანელი შრომის გამო, ჩქარა იქანცებიან და ადრე ჰკარგვენ შრომის უნარს. ამას გარდა სახალხო მასწავლებლები ისეთს მცირე ჯამაგირს იღებენ, რომ ძლივს-ღა ასაზრდოებენ თავის თავს და ცოლ-შვილს. სულიერ საზრდოზე,

როგორიც არის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, კურსები და ექსკურსიები, ფიქრიც ხომ შეუძლებელია, ან როგორ იფიქრებენ ამაზე, როცა თვითონვე ნახევრად მშივრები არიან. ცოლ-შვილიანი მასწავლებლის მდგომარეობა ხომ უფრო აუწერელია; მთელს მათს ავლა-დიდებას მცირე ჯამაგირი შეადგენს, არც მიწა, არც მეურნეობაა მათს ბედზედ.

წვრილი ცოლ-შვილიც ხშირად შიმშილით ეხოცებათ და თავიანთი შვილების აღზრდაზედაც დიდს გაჭირვებას განიცდიან. მთელს თავისს ძალ ღონეს სახალხო მასწავლებელი სხვისი შვილების აღზრდა-განვითარებას ანდომებს და როცა დრო დადგება თავისი შვილების სწავლებისა, ერთის მხრით უსახსრობა და მეორეს მხრით უადგილობა საქმეს უჭირებს, ყველა მაზრაში არ არის საშუალო სასწავლებელი, სადაც სოფლის მასწავლებელს შეეძლოს შვილის მიბარება და თუ სადმე არის ასეთი სასწავლებელი, ბავშვის მიბარება და გამოზრდა მეტად საძნელოა, რადგანაც მისი მცირე ჯამაგირი მარტო შვილის აღზრდას არ ყოფნის და სახლში კი ცოლ-შვილი შიმშილით დაეხოცება. მასწავლებლებს კი ამ საქმეში იშვიათად თუ შველის ვინმე. შინაც მასწავლებელი გაჭირვებულად ცხოვრობს, ხშირად სოფლის მასწავლებლებს ისეთი ბინა აქვთ საცხოვრებლად, რომელიც „ზოოლოგიურ გალიას“ უფრო მოაგონებს კაცს, ვიდრე ინტელიგენტ მუშაკის ბინას. არის კიდევ სხვა მრავალი უარყოფითი მხარე მასწავლებლის ცხოვრებაში, რაც ცუდათ მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. მართლა მეტად მომთმენი და იდეით გატაცებული უნდა ადამიანი, რომ არ იგრძნოს ყველა ის გაჭირვება, რასაც სახალხო მასწავლებელი განიცდის და ამ ნაყოფიერ მუშაობის ჯილდოთ კი, სიბერისა და მოქანცულობის დროს, აუტანელი შიმშილი მოელის. ნება-უნებლიეთ ამ უანგარო მუშაკთ კრიჭაში უდგანან დაუპატიჟებელი სტუმრები: მწუხარება და სიღარიბე. ესენი უდროოდ უთხრიან მათ სამარეს. მაშინ როცა სულ სხვას ვხედავთ საშუალო სკოლების მასწავლებელთა ცხოვრებაში, რომელთაც საკმაო სახელმწიფო პენსია ეძლევათ და შრომის ფასსაც და პენსიასაც გაცილებით მეტს იღებენ, ვიდრე სახალხო მასწავლებლები, უფრო უზრუნველყოფილნიც არიან და შვილების აღზრდაც არ უძნელდებათ. დასაწყის სკოლების მასწავლებლები ასეთს პენსიას არ ღებულობენ. ამას დაუფიქრდნენ ერობა, საზოგადოება და ბოლოს სამინისტროც და შეუდგნენ ბჭობას, თუ როგორ უზრუნველჰყონ სიბერის დროს სახალხო სკოლის მასწავლებელთა ცხოვრება. რაკი ერობას, საზოგადოებას და სამინისტროსაც საკმარისი თანხა არ ჰქონდათ და სახალხო სკოლის მასწავლებელთა რიცხვიც ბლომად იყო, გადაწყვიტეს დასაწყის სკოლების მასწავლებელთა უზრუნველყოფა შეავსონ ჯამაგირიდან %% გამოკლებით და დანაკლისის შევსებით ერობათა და სამინისტროს მიერ. მასწავლებელს განსაზღვრულს დროს განმავლობაში უკლებდენ ჯამაგირიდან განსაზღვრულს პროცენტებს, რასაც ერობა და სამინისტრო უმატებდა თავის საშუალებიდან. მიიღებდენ განსაზღვრულს ჯამს, რომელიც უნდა გაენაწილებიათ იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს იცოცხლებდა პენსიონერი სამსახურის შემდეგ. ამისათვის აიღებდენ ცხრილს, რომლიდანაც დაახლოვებით გამოიცნობდენ თუ რამდენ ხანს იცოცხლებს ადამიანი. მაშასა-

დამე შეგროვებულს ფულს, ჯამაგირიდან შეტანილს პროცენტებს და დამატებულს იმისაგან, ვისაც მასწავლებელი ემსახურებოდა, ჰყოფდენ იმ წელთა რიცხვის მიხედვით, რამდენიც შეუძლია იცოცხლოს პენსიონერმა. აქედან მიღებულს ნაწილადს აძლევდნენ საპენსიოდ, რასაც იღებდა კასის მონაწილე. ამ წესს უზრუნველობისას **დაზღვევა** ეწოდებოდა. ამ სახით ერობაში და სამინისტროში სახალხო მასწავლებლის პენსია დამოკიდებული იყო ჯამაგირზე, სამსახურის რაოდენობაზე და კასის მონაწილის წლოვანებაზე. რამდენადაც პენსიონერი ნაკლები ხნისაა, პენსიაც ნაკლები მიეცემოდა, რადგანაც ცხრილის მიხედვით უფრო დიდხანს შეეძლო სიცოცხლე, ვიდრე იმას, რომელიც წლოვანებით უფროსია. ვინც მეტს ჯამაგირს იღებდა, საპენსიო გადასახადსაც მეტს ახდევინებენ და პენსიაც მეტი ერგებოდა. რამდენადაც დიდხანს უმსახურნია, გადახდილიც მეტი ექნებოდა და პენსიასაც მეტს მიიღებდა. ამას გარდა მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებლის ოჯახობასაც. უმატებდენ ცოტაოდენ პროცენტს ცოლშვილის სასარგებლოდაც. ამ სახით მიიღებდენ რთულს ანგარიშს, რომლის გამორკვევა არც ისე ადვილი იყო. ამ მიზნისათვის შედგენილი იყო ცალკე ტაბულა, რომლითაც გამოარკვევდენ თითოეული მასწავლებლის პენსიის რაოდენობას, არსებობს აგრეთვე აუარებელი სხვა და სხვა პირობები, რომელიც შეტანილია საპენსიო წესდებაში. რასაკვირველია ამ გვარ უზრუნველობის გამო პენსია საკმარისი არ იქნება, რასაც გამოცდილებით ვატყობთ იმ ერობაში, სადაც მასწავლებელთა უზრუნველობისათვის დაზღვევის სისტემა არსებობს. რომ გაადიდონ საპენსიო თანხა და ზოგიერთ შემთხვევაში გაუსწორონ სახელმწიფო თანხას, ზოგიერთი ერობა გამორიცხულ თანხას უმატებს საკუთარს დამატებითს საშუალებას და მაშინ პენსიაც შედარებით მატულობს. მაგალითად მოსკოვის ერობაში საპენსიო კასა თითქმის ორჯერ მეტია, რიაზანის და სამინ. საპენსიო ჯამზე.

აქედან სჩანს, რომ ბევრი ერობა იმ დასკვნამდის მივიდა, რომ დასტოვონ ძველი დაზღვევის წესი თავის მოსამსახურეთა უზრუნველ საყოფელად და გადავიდნენ ემერიტალებზე, ან საზოგადო სახელმწიფოებრივზე. ამის მაგალითს ეკატერინოსლავის ერობაში ვხედავთ: 25 წლის სამსახურის შემდეგ მასწავლებელი, მიუხედავად ცენზისა და ჯამაგირის რაოდენობისა, იღებს წლიურად 300 მან. პენსიას, ნება აქვს კიდევ იმსახუროს და პენსიაც მიიღოს. ჯამაგირიდგან ისევ ის $6^0/_0$ ერიცხება, როგორც სხვა საპენსიო კასებშია, სადაც დაზღვევითი პრინციპი არსებობს.

ეს თვალსაჩინოდა სჩანს ქვემო ცხრილიდან ოთხი ერობისა და სამინისტროს კასისა. ამ ცხრილით ემერიტალურ პენსიას იძლევა ეკატერინოსლავის, მოსკოვის და ტვერის ერობები; დაზღვევით კი — რიაზანის და სამინისტროს საპენსიო კასა. 25 წლის სამსახურის შემდეგ ემერიტალური კასსა ტვერის ერობაში იძლევა 360 მან. პენსიას წლიურად. მოსკოვისა — 307 მან. და ეკატერინოსლავისა 300 მან. ამასთან მოსკოვის ერობამ თავის მისწრაფებით წინ გაუსწრო ეკატერინოსლავის და ტვერის ერობასაც; იგი პენსიას აძლევს 25 წლის სამსახურის შემდეგაც, 30 წლის სამსახურში აძლევს 558 მან. მაშინ როცა ის ორი ერობა შეჩერდა მხოლოდ 25 წლის სამსახურზე.

(შემდეგი იქნება)

# მოწოდება

(ქუთაისის და მისი მაზრის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მიმართ)

მესამე წელიწადია, რაც ქუთაისში დაარსდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, რომლის მიზანია სახალხო წიკნთსაცავსამკითხველოების გახსნა, საყმაწვილო და სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემა და გავრცელება ხალხში, მიყრუებულ ადგილებში სკოლების გახსნა და სხვა... ყველა ამათთვის საჭიროა საშუალების გაძლიერება და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც წევრთა რიცხვი ბლომად ეყოლება საზოგადოების განყოფილებას.

ამა წლის ოთხ მარტს განყოფილების გამგეობამ მოიწვია დამხმარე აგენტები თითოეულ წრიდან და დაწესებულებიდან ორ-ორი კაცი იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა და რა ზომებია საჭირო გამგეობის ნაყოფიერ მოქმედებისათვის და განყოფილების ნივთიერად გაძლიერებისათვის. ორიოდე საათის კამათის შემდეგ დაადგინეს: არჩეულ იქმნას თითო აგენტი ყოველ წრიდან, რომელთაც ჩაჰბარდეს საწევრო წიგნაკები და დაევალოს მათ გასწიონ აგიტაცია თავის წრეში და მიიღონ ზომები წევრთა რიცხვის გასამრავლებლად. სახალხო მასწავლებელთა წრიდან ამომირჩიეს მე და ჩამაბარეს საჭირო წიგნაკები. ამის გამო მოგმართავთ ყველა ამხანაგებს განურჩევლად სქესისა და გთხოვთ ამა აპრილის თვიდან ჩაეწეროთ ჩემთან წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრად; საწევრო ფული წლიურად სამი მანეთია, რომლის გადახდა შეიძლება ათ შაურობით; როდესაც შესრულდება სამი მანეთი, წევრი მიიღებს ჩემგან კანონიერ კვიტანციას განყოფილების ბეჭდით შემოწმებულს. საწევრო ფული და წევრთა სახელი და გვარი გადაეცემა განყოფილების გამგეობას, რომელიც სიას დაბეჭდავს თავის დროზე ანგარიშში. წევრები მოწვეულ იქნებიან გადამწყვეტ ხმის უფლებით საზოგადო კრებებზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **სახალხო მასწავლებლები**, რომელთაც ვალად ადევსთ ბავშვის აღზრდის გარდა ხალხის განათლებისთვის და კეთილდღეობისათვის ზრუნვა, გამოიმეტებენ ერთ კაპიკს დღეში და თანაუგრძნობენ ასეთ განმანათლებელ ეროვნულ დაწესებულებას, არა თუ საზოგადოთ მასწავლებელი, არამედ ყოველი ქართველი, რომელი პროფესიასაც უნდა ეკუთნოდეს იგი, ზნეობრივად ვალდებულია ითვლებოდეს **ამ საზოგადოების** წევრად და თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს სამშობლო ქვეყნის ასაღორძინებლად. ქუთაისის მასწავლებლებს მე თითონ ვინახულებ, გარეშეებს კი შეუძლიათ თუ ისურვებენ წევრობას, მომმართონ შემდეგის მისამართით: Кутаисъ. 3-е городское начальное училище.

**ლადო ბზვანელი.**

# წერილი რედაქციის მიმართ

## სამრევლო სკოლების საბჭოს საყურადღებოთ

„კოლხიდის“ 52 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ. მასწავლებლისა ამ სათაურით: „დვალიშვილების სამრევლო სკოლა და მღვდლის ბასილ ჩხიკვაძის ღვაწლი“. ეს წერილი იმდენათ დამახასიათებელია ეხლანდელ მღვდელ-გამგეების მოღვაწეობისა სწავლა-აღზრდის საქმეში, რომ ზედმეტი არ იქნება მასზე მკითხველის ყურადღება შევაჩერო.

„ვინც მთავრობისაგან სკოლის გამგეთ ითვლება, სკოლას აღორძინების მაგივრათ დაღუპვას უქადის. მცხოვრებლებს თუმცა სულითა და გულით სურთ სკოლისათვის საკუთარი შენობის შეძენა, მაგრამ მათი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩება, ამავე სკოლის მმართველის მღვდლის ვასილ ჩხიკვაძის წყალობით. ეს უკანასკნელი მთავრობისაგან სკოლის გამგეთ ითვლება, სხვას ნებას არ აძლევს უმისოთ იმოქმედოს სკოლის საკეთილდღეოთ, თვითონ კი, თავისი გადამეტებულ ამპარტავნობით და კიდევ სხვა და სხვა უვიც მოსაზრებათა გამო, არა აქვს მიდრეკილება პროგრესს ხელი შეუწყოს“.

თავისთავად ეს წერილი მაინც და მაინც არ იქნებოდა ყურადღების ღირსი, რომ ის მარტო მღ. ჩხიკვაძეს ეხებოდეს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მარტო მღ. ჩხიკვაძე არ არის „რომელიც სკოლის გამგეთ ითვლება და სკოლას აღორძინების მაგივრათ დაღუპვას უქადის“. ასეთია, სამწუხაროთ, თითქმის ყველა ეხლანდელი მღვდელი-გამგენი, რადგან, ბ. მასწავლებლის სიტყვის არ იყოს, „ღარიბ სკოლას ანგარებით სავსე გრძნობის დაკმაყოფილება არ შეუძლია“. იყო დრო, როდესაც სკოლები მათ ინტერესებს ემსახურებოდენ და უკანასკნელნიც ფართედ სარგებლობდნენ... ეხლა კი დრონი იცვალნენ: სკოლებს შემოსავალი სწავლის ფულის ან სხვა რაიმე სახით შემოაკლდათ, აქ კი გამგე-მღვდლებს ხელის ფათური ძლიერ ემარჯვებოდათ; სადვთო სჯულის სასწავლო ფული შეუმცირეს და სხვა და სხვა... რაღა გასაკვირველია, რომ მათ სკოლაზე გული აუცრუვდეთ, არ იზრუნონ; და აკი არც ზრუნავენ, მხოლოდ ამას ისე ფარულად, გაიძვერულად სჩადიან, რასაკვირველია, საკუთარი ტყავის შიშით, რომ ბევრი ვერც-კი ამჩნევს მათ ხრიკებს. სამწუხარო მხოლოთ ის არის, რომ ეს უბრალო რამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუგნიათ, ან არ უნდათ შეიგნონ მათ, ვისაც დღეს ამ სკოლების ბედი აბარია. მაშ, რითი უნდა აიხსნას ის, რომ საბჭო ისევ ძველებურათ ნდობის თვალით უყურებს მათ „მოღვაწეობას“, ავალებს სხვა და სხვა სასკოლო საქმის გარიგებას, იღებს მათ „რაპორტებს“ სახელმძღვანელოთ და ასე გასინჯეთ, ავალებს თვალყური ადევნონ მასწავლებლებს, როგორც სამსახურის დროს, ისე კერძო ცხოვრებაში. ახლა ნაყოფი ასეთი გამგეობისა! თითქმის უმეტესობა, რასაკვირველია, ხეირიან მასწავ-

ლებლებისა გადაკიდებულნი არიან მათ ლვდელ-გამგეებზე, და მის მაგივრათ, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ემსახურონ წავლა-აღზრდის საქმეს, ჩხუბში და დავიდარაბაში ატარებენ დროს. ახლა დაუხოლავებელი კვლევა ძიება მათი საჩივრებისა! და ეს მაშინ, როდესაც ათასი საქირბოროტო საქმეა წამოყენებული.

„სკოლაში ქუდიც რომ შეუგდოთ, განაგრძობს ბ. მასწავლებელი, მაინც არ შევა, თუმცა მას (ჩხიკვაძეს) ორი სკოლა ბარია და მთავრობას ხშირათ ატყობიებს, რომ სკოლაში ვასწავლი საღვთო ჯულსაო, რისთვისაც ერთხელ ჯილდოც იიღო“.

გიჟი იქნება შევიდეს? ეს დრო ხომ ხვანაირათ შეუძლია გამოიყენოს, მავაიითად: მახლობლათ სადმე სამინისტრო კოლა ექნება, ან სასამართლო, ან სოფის კანცელარია და სხვა. ან რატომ ჰგონია ბ. მასწავლებელს, რომ მარტო ჩხიკვაძე სჩადის ამას? განა ცოტაა ისეთი სკოლა, სადაც წლობით არ არის ამ საგნის სწავლება სკოლაში და მთავრობა კი ყურს იყრუებს ან აფუჩეჩებს? მე აქ ფაქტების ჩამოთვლით მკითხველებს არ შევაწუხებ, არა იმიტომ, რომ ხელთ არა მქონდეს, არამედ იმიტომ რომ წერილი ისედაც გამიგრძელდა. ამნაირად, როგორც ამ წერილიდანაც სჩანს, სკოლის გამგე-მღვდლები „ნებსით და უნებლიეთ“ ძირს უთხრიან მათდამი მინდობილ სკოლის საქმეს, საბჭო კი ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს და თუ მომავალშიც ასე დარჩა, ნურას უკაცრავათ, თუ უწინასწარმეტყველო და თან უსურვო, რომ მათ ხელიდგან მალე გამოსცლოდეთ სკოლები და მით განთავისუფლებულიყვნენ მათთან მოსამსახურე მასწავლებელნიც დაუმსახურებელ გაქელისაგან.

ბ. ღ.

# ბიბლიოგრაფია

**ი. იგნატიევი.** „საყოველთაო არითმეტიკა“. (I, II და III წიგნი).

ყველამ კარგად უწყის, თუ რამდენად ღაიბია ჩვენი სასწავლო ლიტერატურა მათემაიკურ შრომით. ჩვენ, —უკუღმართ გარემოებათა წყალობით, —არ მოგვეპოვება რიგიანი სახელმძღვანელო ელემენტარულ მათემატიკიან. ან ვის უნდა დავდოთ აქ ბრალი? მთელი ვენი ახალგაზდობა იზრდება სხვა-და-სხვა სწავლებლებში არანორმალურ, ანტიპედაგოურ პირობებში: ჩვენი სწავლა-განათლება არმოებს უცხო ენაზე. ამის გამო ბავშვი ითვისებს ცოდნას დიდის გაჭირვებით, დიდი ერგიის დახარჯვით. ბავშვი—რაკი უცხო ენაზე სწავლობს— უფრო მეხსიერებას ატანს ძალას, ვინაიდგან რიგიანად არ ესმის, რასაც სწავლობს; მეხსიერება-კი, —ეს დაუშრეტელი წყარო კი არაა, —მალე იღლება, იქანცება; ბავშვი ეძლევა აპატიას და ეკარგება ხალისი სწავლისადმი. გაფუჭდა საქმე! სულ სხვა მოვლენას დავინახავდით მთელი სწავლა რომ სამშობლო ენაზე ხდებოდეს! მაშინ სკოლის საჭიროებისათვის და საზოგადოდ სწავლის შეძენისათვის ყოველგვარი წიგნიც გვექნებოდა; და რაკი დღეს სკოლა არ მოითხოვს ქართულ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოებს, ამის გამო არც იწერება-ეს წიგნები, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ამ მიზნით დაწერილი რამდენიმე შრომა. ამ ზოგადი მიზეზით აიხ-

სნება ის მოვლენაც, რომ მათემატიკურ ცოდნის შეძენისათვის მეტად მცირე წყაროები გვაქვს. ეს მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ მათემატიკური ცოდნა, მათემატიკური განვითარება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას ადამიანის მსჯელობისა, მის მსოფლმხედველობისა და მთელი მისი სიცოცხლისათვის. რაციონალურად დაყენებული მათემატიკური სწავლება, ისე, როგორც ამას მოითხოვენ პედაგოგიის საუკეთესო წარმომადგენლები, არის განხორციელებული ლოგიკა, ანუ თვით ლოგიკა; ამას უფრო აშკარად ვხედავთ გეომეტრიაში. ასე რომ სალ მეთოდებზე დამყარებული სწავლება მათემატიკისა აჩვევს ადამიანს თანდათანობით და მწყობრად აზრების დალაგებას, ანუ ლოგიკურ მსჯელობას. ამ ფორმალური მხარის გარდა, მათემატიკა ფრიად საინტერესოა თავის შინაარსით, ასე ვთქვათ — თავის თავად. მათემატიკა, როგორც სრული, უცდომელი (ТОЧНАЯ) მეცნიერება, უფრო ღრმად და ფართოდ იკვლევს თავის საგანს, ვიდრე მეცნიერების სხვა დარგები. ამიტომაცაა, რომ რომელ დარგშიაც-კი შეიტანეს მათემატიკური მეთოდები, ის დარგი უფრო და უფრო იღებს მეცნიერულ ხასიათს. და ამ გვარად უახლოვდება სრულ მეცნიერებას; მაგალ., ბუნების მეტყველება, პოლიტიკური ეკონომია...

ტყუილად და უბრალოდ კი არ ხედავს ზოგიერთი ფილოსოფოსი და მეცნიერი მათემატიკაში იმ მკვიდრ საფუძველს, რომელზედაც უნდა დამყარდეს მთელი სწავლის შენობა, ანუ მეცნიერების სხვა-და-სხვა შტოების შესწავლა. და თუ ეს მართალია, — მე-კი მართალი მგონია, მაშინ აშკარაა, რომ მათემატიკური ცოდნა, მათემატიკური განვითარება აუცილებელი, უსაჭიროესი გახლავს ადამიანისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ საზოგადოებაში, ოჯახში მეტად მცირედაა გავრცელებული ეს ცოდნა. ესაა იმის მიზეზი, რომ ვერც მოზარდ თაობას ავარჯიშებს ხსენებულ საგანში. იმის გარდა რომ მათემატიკის შესწავლისათვის საჭირო წყაროები არა გვაქვს, საზოგადოება რადგანაც უცნაურის თვალით უყურებს მათემატიკას: ბევრი იმ შეხედულობისაა, ვითომ მათემატიკის შესწავლა შეუძლიათ მხოლოდ ზოგიერთებს, რჩეულებს. ვითომ და მათემატიკას რაღაც განსაკუთრებული ნიჭი უნდოდეს... რა შემცდარი აზრია!.. სალი, გონებით-ნორმალური, ყოველი ადამიანი ადვილად შეისწავლის მათემატიკას. მეტს მოგახსენებთ: მათემატიკის შესწავლა უფრო ადვილია, ვინემ ისტორიისა, სიტყვიერებისა, ლათინურისა და სხვა... ეს იმიტომ, რომ მათემატიკა — როგორც ზემოთაც ითქვა — სრული მეცნიერებაა. და თუ მათემატიკის შესწავლის დროს ბევრი ბავშვი იჯაინება, აქ მიზეზი ბავშვის ნიჭში-კი არა, არამედ მის გარეშე, სწავლის პირობებში, უმეტეს ნაწილად დასაწყისში. ამიტომ გაბედულად მოჰკიდეთ მათემატიკას ხელი და პირველშივე სწორ გზაზე დადექით...

ყველა ამ ზოგად მოსაზრებათა და იმ მიზეზის გამო, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ, მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს მივუთითო ქართველ მკითხველს ზემოდ აღნიშნულ წიგნზე „საყოველთაო არითმეტიკა".

ე. ი. იგნატიევის შრომა წარმოადგენს მათემატიკურ ქრისტომატიას. ამ გვარი ხასიათის ნაწარმოები თითქმის პირველი ცდაა რუსეთში. როგორც დავრწმუნდი ამ შრომის სხვა-და-სხვა ადგილების წაკითხვიდან, იგი უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას მათემატიკურ ცოდნის შეძენისათვის და მათემატიკურ მიხვედრის (СМЕКАЛКА) განვითარებისათვის. წიგნი მდიდარია შინაარსით, როგორც მასალის რაოდენობით, აგრეთვე მის სხვა-და-სხვაობით. მართალია, წიგნში სრულიად არაა დაცული რომელიმე

სისტემა, როგორც ამას ვხედავთ საუკეთესო სახელმძღვანელოებში, და არც არის წიგნი დაწერილი რომელიმე პროგრამის მიხედვით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, წიგნის სამივე ნაწილი რომ შევადაროთ ერთმანეთს, აშკარად დავინახავთ, რომ მეორე ნაწილში უფრო მეტია მასალა და ამასთანავე რთულიცაა, ვინემ პირველში; ამავე მოვლენას ვხედავთ, მესამე ნაწილი რომ შევუდაროთ მეორეს. ასე რომ ყოველი ნაწილი მოითხოვს მკითხველისაგან მეტსაფერ განვითარებას. პირველი ნაწილი იმითაა ხელსაყრელი, რომ მისი მასალით შეიძლება ივარჯიშოს ბავშვმა სკოლის ასაკამდე, თუ რასაკვირველია, მისი **მიხვედრა** საკმარისად ღონიერია. ავტორს ყოველი ღონე უღონია, რომ მისი შრომა ყოველ მხრივ საინტერესო გამოსულიყო: იგი (შრომა) იზიდავს მკითხველს, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. მკითხველის ყურადღებას მივაქცევ წიგნის ამ მხარეს, ვინაიდგან მათემატიკური ამოცანები დღეს საზოგადოდ ადამიანს არ იზიდავს. ეს ავტორმაც კარგად იცის და სწორედ ამისათვის მიუქცევია დიდი ყურადღება ფორმისათვის. მისი წიგნის მთელი მასალა (მცირედი ნაწილის გარდა) დაფუძნებულია მათემატიკურ კანონებზე და თავის შინაარსის ახსნისათვის თხოულობს მათემატიკურ მოსაზრებას, მიხვედრას და ელემენტარულ არითმეტიკის და გეომეტრიის ცოდნასაც. ამ ცოდნას თვით ავტორი იძლევა თავის წიგნში მეტად მარტივ და ადვილ გასაგებ ენით. წიგნი ისეა შედგენილი, რომ იგი დააინტერესებს პატარას და დიდსაც: წიგნის მომეტებული მასალა **მოთხრობის** ფორმითაა დაწერილი, რაც ფრიად საინტერესოდ ხდის წიგნს. წიგნში,—უფრო მის პირველს ნაწილში,—ბევრი იმისთანა ამოცანაა, რომელიც ჩვენში ცნობილია საზოგადოებაში; მაგალ., ოქრომჭედელი და ძვირფასიან ქვების ჯვარი, ან რვა ჩაფი ღვინო გაიყოს ორად სამ და ხუთ ჩაფიან საწყაოთი და ბევრი სხვა. როგორ ექცევა ამ გვარ ამოცანებს ჩვენი საზოგადოება? **პრიმიტიულად**: იმის მაგიერ რომ ყოველ ამოცანას ახსნა მისცეს, **გადაწყვიტოს** და ასე გამონახოს **პასუხი, ის პირდაპირ პასუხს იძლევა.** ნაკითხი ადამიანი სხტალ რჩება: მას ჰგონია, რომ ამოცანაში რაღაცა გულთმისნობაა დამარხული, ვინაიდგან თვითონ ვერ ახსნა და ვერ გაიგო ამოცანის პასუხი. ამოცანის მიმცემი-კი ამაყად უყურებს მოპასუხეს, **თუმცა თითონაც არა გაეგება-რა თავის ამოცანაში**... რომ ჰკითხოთ—როგორ აიხსნება—მაშინვე გიპასუხებთ საიდუმლო არისო. განა იკისრებს თავის უმეცრებას და უცოდინარობას?!... ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ გვარად მოპყრობა ამოცანებისადმი მავნებელია გონებითი განვითარებისათვის. თუ ამ გვარ ამოცანებს ახსნა არა აქვთ, მაშ, ან გონებას რად ვაღალვინებთ მათზე ფიქრით, ან დროს რად ვაკარგვინებთ... ბოლოს და ბოლოს ადამიანს ხალისი ეკარგება საუბარი ჩამოაგდოს ამ გვარ კითხვებზე. იმის გამო რომ ამოცანების ახსნა არ ვიცით, თვით ამოცანებიც მალე ჰქრებიან საზოგადოების მეხსიერებიდან. ყველა ეს ხდება მაშინ, როდესაც ეს ამოცანები წარმოადგენენ საღ მასალას და ნოყიერ საზრდოს ჭკუა-გონების განვითარებისათვის. ბ-ნი იგნატიევი სწორედ ამ მხრივ უყურებს თავის საქმეს: იგი ჰხსნის ყოველ ამოცანას, ბევრჯელ სხვა-და-სხვა ნაირად გადასწყვეტს ხოლმე ერთსა-და-იმავე ამოცანას; და ამ ნაირად ავარჯიშებს ადამიანს; ხშირად წინადადებას იძლევა, რომ თითონ მკითხველმა შეადგინოს მგზავსი ამოცანები. ასე იწვრთნება ადამიანის გონება თავის მიხვრა-მოხვრაში ბ-ნ იგნატიევის წიგნის შემწეობით, მაგრამ „საყოველთაო არითმეტიკის“ სიკეთე, მისი სარგებლობა ამით არა თავდება, მარტო ამით ვერ აიწონება. ავტორს დი-

ლი და სერიოზული ყურადღება მიექცევა თავის შრომისათვის. ავტორი არა თუ მარტო გადაწყვეტას იძლევა რომლისამე ამოცანის ყოველ ცალკე შემთხვევაში, არამედ ზოგჯერ ამა თუ იმ ამოცანათა ჯგუფის განმარტება-ახსნას ამყარებს შესაფერ ზოგად დებულებაზე, პრინციპზე. ჯერ განმარტავს თვით პრინციპს; შემდეგ,—გახდის-რა მას ხელმძღვანელ ზოგად დებულებად,—შეუდგება ამოცანების ახსნა-გადაწყვეტას ამ პრინციპის მიხედვით. ამ გვარად „საყოველთაო არითმეტიკას“ ეძლევა მეცნიერული ხასიათი. მაშასადამე, მკითხველის ჭკუა-გონება ვითარდება, როგორც სიღრმისკენ, ისევე სიგანისკენ. აქედან, აშკარაა, ადამიანი იძენს ლოგიკას, მისი გონება იწრთვნება, **ეჩვევა დისციპლინას თავის მოქმედებაში**,—ყველა დაგვეთანხმება, რომ ამას ადამიანის ზნეობისათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. არა ნაკლებ ღირსია ჩვენი ყურადღებისა წიგნის აი ეს მხარეც. ავტორს თავის შრომაში შეუტანია ისტორიული ცნობებიც. ავტორი ზოგჯერ მოგვითხრობს იმას, თუ როგორ ან სად გაჩნდა ეს თუ ის ამოცანა; ვინაა მისი ავტორი; ან პირველად ვინ შეეცადა მის ახსნას და სხვა... აქ წიგნი აღწევს ორ მიზანს: აძლიერებს მკითხველის ისტორიულ ცოდნას და რადგან ყველა ეს მოთხრობილია საინტერესო ფორმით, ძალაუნებურად აკითხებს მას ამ შრომას. ასეთია—ჩემის აზრით—ე. ი. იგნატიევის წიგნი და რომლის გავრცელება ჩვენ ოჯახში სასურველად მიმაჩნია, ოღონდ იყოს შესრულებული შემდეგი პირობა: ხელმძღვანელმა ჯერ თითონ უნდა გადასინჯოს მთელი წიგნი, გაიცნოს მასალა, შემდეგ სთარგმნოს ქართულად და ისე ავარჯიშოს ბავშვი; ეს უნდა ხდებოდეს სერიოზულად, როგორც აუცილებელი საჭიროება.

დ. ქადაგიძე.

---

ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ტომი I **კიტა აბაშიძისა**. გამოცემა თ. ჩთაურიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი 70 კ.

ჩვენი მწერლობის ერთს დიდს ნაკლს, რაც საკვირველია, ისიც შეადგენს, რომ ჩვენი ნიჭიერი მწერლების ნაწარმოები საკმარისად გარჩეული და დაფასებული არ არის. ეს გარემოება ხელს უშლის მოზარდ თაობასაც ყოველის მხრით შეისწავლოს ჩვენი საუკეთესო მწერლების გონების ნაყოფი და ქართული ენის მასწავლებლებიც მოკლებულნი არიან ისეთს სახელმძღვანელო წიგნს, რომელიც შეუმსუბუქებდა მათ შრომას და სწავლების საქმესაც მეტი ნაყოფი დაეტყობოდა.

ჩვენებურს კრიტიკოსთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენში კარგად ცნობილს მწერალს **კიტა აბაშიძეს**, რომელიც ათი წელიწადია ემსახურება ჩვენი მწერლობის ერთს დარგს, ბეჭდავდა სხვა და სხვა ქართულ გამოცემებში კრიტიკულს წერილებს ქართველ მწერლების შესახებ „ეტიუდების“ სათაურით. ბ-ნი კიტა აბაშიძე თავის კრიტიკულს წერილებში ქართველ მწერლების ნაწარმოებთა გარჩევის დროს ხელმძღვანელობს ფრანსგითა. კრიტიკოსის ბრიუნეტიერის მეთოდს, რომელსაც **ევოლიუციის მეთოდი** ჰქვიან. ამ მეთოდის მიხედვით ხსენებულს წიგნში გარჩეულია ჩვენი საუკეთესო მწერლების ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავის და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებანი. წიგნს თავში ჩართული აქვს ავტორის სურათი და წინასიტყვაობა, ბოლოში „ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი“ („ოთარაანთ ქვრივი და პლატონ კარატაევი). ამ წიგნში ეტიუდები ისეა დაბეჭდილი, როგორც ჟურნალ გაზეთებში ისტამბებოდა. ამის გამო

ბევრს ადგილას ეტყობა ერთისა და იმავე აზრის ხშირი გამეორება. ბ-ნი კიტა აბაშიძის სამართლიან შეხედულობით მე-XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ევოლიუციის შემდეგს საფეხურებს გაივლის: იწყება სალირიკო რომანტიზმით, რომლის მეთაური ალ. ჭავჭავაძე, განმავითარებელი გრ. ორბელიანი, უმაღლეს წერტილამდის ამყვანი ნ. ბარათაშვილი, ხოლო მისი დაცემის დეკადანსის გამომხატველი — ვახტ. ორბელიანი. რომანტიზმი 1850 წლიდან იცვლება რეალურ პოეზიად. მისი დამწყები გიორგი ერისთავი, უდიდებულესი წარმატების გამომსახველი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. რეალიზმის გადაგვარების შემდეგ ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებები დაამკვიდრებენ ნეორომანტიზმს, რომელიც რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შემრჩევია; ვაჟა გახდება ჩვენ ლიტერატურაში სიმბოლიზმის მეთაურად, რომლის ნასახი მოიპოვება უკვე ილიასა და აკაკის პოეზიაში".

ბ-ნი კიტა აბაშიძის დასკვნით ჩვენი ლიტერატურა კვალ და კვალ მისდევს ევროპის ლიტერატურას. სიამოვნებით ვეგებებით ამ გამოცემას, რომლის გავრცელება მასწავლებლებში და საზოგადოთ ჩვენი მწერლობის მოყვარულთა შორის ფრიად სასარგებლო იქნება.

---

„საარაკო თავ-გადასავალი **ტახტის მემკვიდრისა**" ისტორიული ამბავი, დაწერილი **იაკობ გოგებაშვილის** მიერ, გამოცემა მეორე, ფასი 10 კ. თბილისი 1912 წ.

ეს პატარა წიგნაკი, რომლის შინაარსი „ქართლის ცხოვრებიდან" არის აღებული და მდაბიურად გადმოცემული ჩვენი მხცოვანი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მიერ, შეეხება იმ შავბნელ დროს, როცა თამარ დედოფლის მიერ მტკიცედ გაერთიანებული საქართველო, რუსუდან დედოფლის დროს სუსტდება და ორ სამეფოდ იყოფა. საოცარს და აუწერელს ტრაგიკულს სურათს წარმოადგენს ტახტის მემკვიდრის, ლაშა გიორგის შვილის, დავითის თავგადასავალი და რუსუდანის ბოროტი განზრახვანი. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული „ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. იგი ერთი საუკეთესო სახალხო ისტორიული მოთხრობაა, რომლის გავრცელება ხალხში მეტად სასურველია. სასურველია აგრეთვე, რომ ამ გვარი ისტორიული წიგნაკები ბლომად იბეჭდებოდეს და ვრცელდებოდეს ხალხში. ეს წიგნაკი მეორე გამოცემაა, სჩანს მოთხოვნილებაც არის ხალხში ამგვარი წიგნაკებისა.

---

**სიმონ ქვარიანი. ქართველი ერის ტრაგედია** მე-XVII საუკუნეში (გიორგი სააკაძე და მისი დრო), გამოცემა რაჟდენ დათეშიძისა. ქუთ. 1912 წ. ფ. 40 კ.

მეჩვიდმეტე საუკუნე ჩვენის ისტორიისა წარმოადგენს ისეთს ხანას, როცა საქართველო გარეშე მტრებისა და შინაურ განხეთქილების წყალობით დაღუპვის გზას ადგა. ამ დროის ისტორია საკმაოდ დაწვრილებით აქვს გადმოცემული ბ-ნს ს. ქვარიანს ამ წიგნში; მაგრამ მკითხველის მთელს ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი გმირი გიორგი სააკაძე და მისი ტანჯვით ცხოვრება და ზრუნვა საქართველოს გაერთიანებაზედ. ეტყობა ავტორს საკმაო მასალა შეუგროვებია ამ წიგნისათვის, დაწერილია მდაბიურად ხალხისათვის ადვილად გასაგებას ენით, მხოლოდ შიგა და შიგ ზოგიერთი პროვინციალური მართლ-წერა ცოტა არ იყოს საჩოთიროა. ბევრგან ისტორიული

ფაქტები მხატვრულადაც არის აღწერილი. საერთოდ ბ-ნი ს. ქვარიანის ნაშრომში კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც სერიოზული და დაკვირვებით შემუშავებული ისტორიული ნაწარმოები. წიგნს თავში ჩართული აქვს გიორგი სააკაძის სურათი. წიგნის მიზანია დაასურათოს ქართველ ერის საშინელი ტრაგედია მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარი და ამ მიზანს იგი საკმარისად აღწევს. ვუსურვებთ ამ კარგ წიგნაკსაც ხალხში გავრცელებას.

## ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი. დ. უზნაძისა ფასი 75 კაპ. ქუთაისი 1912 წ.

ყველა შეგნებული ერის ცხოვრების მთავარ საკითხს შვილების კანონიერი სწავლა აღზრდა შეადგენს. ამ შეხედულობას ქართული ანდაზაც ეთანხმება: „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო". მართლაც ერის დაწინაურება და პროგრესის გზაზე მსვლელობა შეუძლებელია, თუ შთამომავლობა მაღლა არ იდგება წინაპრებზე.

ჩვენში არც ერთი საკითხი არ არის ისე აბუჩად აგდებული და მივიწყებული, როგორც შვილების აღზრდის საკითხი. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის უნდა იყოს, რომ პედაგოგიური საკითხები ჩვენში იშვიათად თუ ვისმე აინტერესებს; თეორიული პედაგოგიური მეცნიერება ჩვენში თითქმის არც კი არსებობს, თუ სახეში არ მივიღებთ ჩვენი პედაგოგების საკოლო სახმარ სახელმძღვანელო წიგნებს და ზოგიერთ პედაგოგიურ ნაწერებს, რომელიც უფრო დღიური ვარამის საპასუხოდ არის დასტამბული. ამიტომ სიამოვნებით ვეგებებით ბ-ნი დ. უზნაძის ნაშრომს, რომელშიაც ავტორი განმარტავს ზოგად პედაგოგიურს ცნებებს, ბავშვის ფსიხოლოგიის ჩასხვა-განვითარებას, ყურადღებას, ინტერესს, მეხსიერებას და ლაღადულობას. ავტორს საუკეთესო წყაროებით უხელმძღვანელია თავისი წიგნის შესადგენად. წიგნი ღირსია ჩვენებურ მასწავლებელთა, მშობელთა და იმ პირთა ყურადღებისა, ვისაც საპედაგოგიო საკითხები აინტერესებს. ფასი წიგნისა დიდია. საკითხი, რასაც წიგნის ავტორი არკვევს, ჩვენებურ მკითხველებისათვის ახალია, ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ამ გამოცემაში მოექცია პატარა ლექსიკონი—განმარტება და ახსნა უცხო სიტყვებისა და სპეციალ ტერმინებისა, რაც წიგნშია ნახმარი; ხსენებულ საკითხში მოუმზადებელს მკითხველებს, რომელნიც ჩვენში ბლომად არიან, სიტყვების ახსნა წიგნის შეგნებით წაკითხვას გაუადვილებდა.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.

**შეცდომის გასწორება.** ლექსში „ალავერდის ტაძარი" შემდეგი შეცდომაა:

| დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| აყუდებულნი | აყუდებული |
| მოგაშორა | მოგაბარა |
| ამშენებული | ამშენებული |
| დასამშვენებელი | დამშვენებელი. |

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

# „განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი და ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად და ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

**რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.**

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

**1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.**

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

---

## რედაქციისაგან

ძველი ხელის მომწერლებს, ვისაც ხელის მოწერა არ განუახლებია და არც განუცხადებია სურვილი ჟურნალის მიღებაზე, ამ წლის ნომრები არ ეგზავნებათ. რედაქცია ვერავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წერილების გამო ვერ იკისრებს. დასაბეჭდი წერილები უნდა იქმნეს დაწერილი გარკვეულად და ცალ გვერდზე. ვისაც დაკვეთილი ნომერი დროზე არ მიუვა, ან დაიკარგება, რედაქცია სთხოვს შემდეგი ნომრის გამოსვლამდის შეატყობინოს და ადევნონ თვალყური ადგილობრივ, რომ ნომრები არ იკარგებოდეს. სოფლის სამკითხველოებს წარსული წლის ნომრები უფასოდ დაეთმობათ, თუკი რედაქციიდან წაალებინებენ.

ჯ. საყმაწვ

მერ

,,

316/4

გოლთ

ლ

ა ხიაში, თ

191 ᲚᲘᲡ წლის 1-

წერ ვის 12 წიგნი

ვინც გამოი

ქტორი ხიხო

რედაქციაში.

ზის გამვრც. სამ

წლიური ხელის-მ

ლოვანთათვის 24 წ

დ—3 მან.

ОТКРЫТА ПО

„Закавка Рѣчь"

*Годъ изданія, тый.*

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ: Въ въ провинц.

На годъ 6 руб.—коп.

„ р. 50 к.

„ 2 р. 25 к.

„ — 75 к.

*„Закав-*

*казская мъ Д. З.*

*Сараджева.*

Для телеграммъ: *„Закавказская*

*Рѣчь".*

Редакторъ ни Г.

мадзе.

1 იანვრიდან გამო

დიდი ლიტერატ

ოლიტიკური გაზეთ

ᲗᲔᲛᲘ

ეორე)

50 კაპ. ნახ

პ. 1 თვით

ური 5 კაპ.

კანტორის ადრე

Д

ელექტრო-

ცნ მ. ლოსაბერიძის

ქუთ. სახლი №